# ဖြိုးမြင့်

ကျေးလက်ရပ်ကွက်

ဆရာကိုမင်

ชื่อผู้เขียน นายกฤตพัทธ์ ศรีสุขสาร

# ชื่อเรื่องหนังสือ

ตอน

สำนักพิมพ์ตัวอย่าง

*ზახილი იგივე მოძახილია,ხმა ზეციური ხარისა,ზაქისა.ზაქი ზეცას მიმავალი კაცია.მიწას მოვლენილი რჩეული ხარი უფლისა.ზაქის ხმა ხმაა მდუმარე ბერისა.ვითა მწირი უდაბნოს ქვაბისა.მწირის ხმა ესმის უფალსა.ხმა მავედრებელი მოძღვარისა.*
*ზახილი გადარჩენილი ხმაა წინაპარისა.*

*რედაქტორი:* ***ვაჟა შუბითიძე***
*ისტორიის დოქტორი,პროფესორი*
*რეცენზენტი:****ბადრი ცხადაძე***
*ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი*

*რედაქტორ გამომცემელი:****ზაურ ნაჭყებია***
*ტექნიკური რედაქტორი:****დავით ხოსიაური***

*პაპა ხევისპირელი.თბილისი.2024*
*გამომცემლობა ივერიონი*
*N";;;*

*ქართ**ული** ანბანი საიდუმლო სახლია ქართველთა მოდგმის ისტორიისა. „ყოველი საიდუმლოდ ამას ენასა შინა დამარხულ არს“.*
*ქართლი მემკვიდრე ქართულისა.ზედა და ქვედა იბერიის ერთობისა. (**ურ**) და (**ულ**).ქართ(**უ**)ლი ქართი და ულია.(უ)ს დაკარგვა ნიშანი ერთობის რღვევისა.ცალკ-ცალკე დგომა ქართლისა და ეგრისისა.*
***ქა(რ)**თ-ლი-ქარაგმა ზედა რანი.სახლი ზეგანის ლომისა.(ქა) ხეთთა ენას ზე(და).იგივე ზეგანი.(და) სახლი ქალისა.(ლი) ლომი.*
***ქედა**-ქარაგმა (ქვე)სახლი ქალისა.ძველი ზიქურათით (და) ქარაგმაა ორისა.იგივე კოლხას ორი ნაწილისა.მთიანეთი ეგრისი,დაბლობი იგივე დღევანდელი კოლხეთის დაბლობი.*
*(უ) ქართული და იბერიული ქარაგმით ორია.(ურ) და (ულ).ზეგანი-დიდი იბერია.ულ კოლხას მთიანეთი,ეგრისი,იგივე მცირე იბერია.*
*მხედრულ კაბალას ორია:(უნ) და ჯ (უე).სხვაგვარად (ვე).მთავარი უ(ნარ). კაბალა ნარ(14;1;19)34.იგივე ჯ(ხარ).ერთად უ(ხარ),სახლი ხარისა,ზეგანი.*
*(**ნარ**) კაბალა (5;1;1).ჯამი 7(ზენ).ასაკი იბერისა 100(411;511).*
*(ენ)-კაბალა 19(რ).ნიშანის კაბალა (უ;რ).მეორე მნიშვნელობა ვ(ენ).კაბალა (25) ვარ.კაბალის რიცხვი (26).ქარაგმა იბერისა (ულ).ტბელის კაბალის (22) ე ნიშანი დიდი და მცირე იბერიაა.*
***ხიხან**-მხედრულით ხი(33;10)43.კაბალა (ხან;ინ).კაბალა 7(ზენ).რიცხვი 26 (7;5;14).(ხი) ძველი ზიქურათით სახლია ხარისა.*
***ხან**-ტბელის კაბალით:48(33;1;14).ქარაგმა 12(ლას).ხეთთა ქარაგმით ფური ლომისა,იგივე დედა ბოკვერისა.*
***ლას** მხედრული კაბალით (12;1;20).კაბალა (3;1;2).მნიშვნელობა (გ;ა;ბ). ძველი ზიქურათით (ბაგ).ქარაგმა კისერი ხაქისა (ბაგა).*
***ას**-ქართული ქარაგმით კაცი,იგივე ასაკი კაცისა (100).ლ(12)3.ლასის ქარაგმა (3)სამ ასი(300).მიმდევრობით (312).ძველი ზიქურათით (ცი),ასაკი კაცისა (ას).ერთად (312)ცი.თარიღი (412).ქორონიკონით 1192(780;412). თარიღი მეფე ლაშა გიორგისა.(ლ-ას) პირდაპირი მნიშვნელობა:112(12;100).*
***(ლა)** ძველი ზიქურათით (ალ).(112)ალექსანდრიული კალენდარის ქარაგმა.სამას(300) და (112).ეთად თარიღი ლაშა-გიორგისა (412).*
*ლ-ას-(12) და (100) ქარაგმა (12) ასეულისა,იგივე 12-ე საუკუნე.*

*აჭარას დაუწერია ისტორია და გეოგრაფია დიდი და მცირე იბერიისა.*
*ზედა აჭარა ზეგანი (ურ),(ქა)ზედა,იგივე ქართლი,დიდი იბერია.*
*ქედა-ქარაგმა (ქე)ქვე,და(ქალი,იგივე სახლი ქალისა.*
*აჭარა ფარსმანის ეგრისის ნაწილია.ზედა და ქვედა აჭარაარსიანი და აფ-სარი.სახლი კაცისა და (ფარ)სი,სახლი ფურისა,ქალისა.*
*მხედრული კაბალით ლასის მომდევნო (მან).მნიშვნელობა 413(412;1). თა-რიღი (1193).თარიღი მეფე რუსუსდანისა.მ(13)4(დ)ან.(მ-ან) კაბალა (4;6). მნიშვნელობა ორი თარიღისა:(1239) და (1246).ძველი ზიქურათით (46) დაბადებაა.კაბალის რიცხვი (28)კაცი.ქარაგმა:დაბადება ორი კაცისა. (1239)წელი დაბადება ვეფხისტყაოსანისა.ასაკი რუსთველისა (88).ქარაგმა სახლი ორი ხარისა.(1246)წელი დაბადება.კურთხევა მეფე დავით ულუსა. თარიღი მეფე რუ-სუდანის სიკვდილისა.*
***წილ-**(31;10;12).კაბალა 413(4;1;3).თარიღი (1193)წ.თარიღი რუსუდანისა. წ(ილ)-ორი კაბალით 31(43). ქარაგმა (443).თარიღი (1223).თარიღი ლაშას სიკვდილისა.ასაკი მეფისა (31).წილი ნაყარია,ქარაგმა სიკვდილი ორი მეფისა.წილ რიცხვი 53(31;10;12) ასაკი მეფე რუსუდანისა,თამარის ასუ-ლისა. თარიღი (1246).ასაკი მეფობისა (23).*
***აბუსერისძე ტბელი**-ქარაგმა მიმართულება ძველი ზიქურათია.აბუსერ-ისძე მამა ტბელისა,ივანე.აბუსერი პაპა ტბელისა.ივანე პაპა ტბელის ძისა. პაპა სახელი რუსთველისა,ტბელი სახელი მისივე ძისა ლაშასი.ქარაგმა დიდი აბუსერის დიდი პაპა დიდი ტბელია.დიდი ივანეს დიდი პაპა დი-დი აბუსერი.*

***აბუსერი*** — *აბუსერის* — *ძე*
***ივანე*** — *ივანეს* — *ძე*
***ტბელი*** *(ბალა)* — *ტბელის* — *ძე*
***ტბელი (ლაშა)***

***აბუსერი*** — ***ივანე***
***პაპა***
***ტბელი 2*** *(ბალა)* — ***ტბელი 3*** *ლაშა*

*კალიპოს მონასტრის ხელნაწერი:"ქ რ ი ს ტ ე , მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ყ ო ვ ე ლ თ ა ა რ ს თ ა ო , ა დ ი დ ე ო რ თ ა ვ ე ც ხ ო რ ე ბ ა თ ა ს პ ა ნ დ ა ღ უ ტ პ ა*

*ტ რ ი კ ი , ა მ ე ნ“ .ტექსტში დამალულია ამბავი ქართლის ტბელებისა. სპანდაღუტ პატრიკიოსი პირველი ტბელია.პაპა დიდი აბუსერისა,დიდი პაპა დიდი ივანე აბაზასძისა.თარიღი (862).მართვა ერისთავი (913).ბოლო ერისთავი ტბელი,თარიღი (1151).ასაკი პირველი სპანდაღუტ ტბელისა (289).ბოლო ტბელის ძის დიდი პაპა ივანე აბუსერისძე.პირველი ტბელი დიდი პაპაა დიდი ივანე აბუსერისძისა.მათი ერისთავობის ასაკი (316)წ. ბოლო ტბელის ძე მეფე ლაშა-გიორგი.ასაკი მართვის დასაწყისიდან (328)წ. სხვაობა (12) წელი,წაღება ხიხანის ციხისა:(2;10).*

| ქართლი | | ასაკი | | მართვა დასა\| | | დასასრ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტბელი 1 | | 862 | 954 | 913 | 954 | 41 |
| გრიგოლ ტბელისძე | | 896 | 984 | 954 | 989 | 35 |
| აბუსერ გრიგოლისძე | | 933 | 1016 | 989 | 1027 | 38 |
| | **აჭარა** | | | | | |
| | 1).დიდი ივანე აბუსერისძე | 960 | 1051 | 1027 | 1051 | 24 |
| | 2).აბუსერ ივანეს ძე | | | 1051 | 1051 | 1 |
| | 3).გრიგოლ ივანეს ძე (ძმა აბუსერისა) | | | 1051 | 1089 | 38 |
| | 4).აბუსერ გრიგოლისძე | | | 1089 | 1125 | 36 |
| | 5).გრიგოლ აბუსერისძე | | | 1125 | 1149 | 24 |
| | 6).შოთა ფალასძე (აბაზასძე) | | | 1149 | 1155 | 6 |
| | 7).ივანე აბუსერისძე | | | 1155 | 1179 | 24 |
| | 8).ტბელი ივენეს ძე(აბაზასძე) | | | 1192 | 1241 | 49 |
| | ტბელი | 1151 | 1248 | | | |
| | | | | | | 316 |

*აბუსერის ძე ივანეა.ივანეს ძე ტბელი.აბუსერი პაპა ტბელისა.ივანე პაპა ტბელის ძისა (ლაშა).ტბელების მოდგმის დასაწყისი და დასასრული „ორთავე ცხორება“,ქარაგმა დიდი პაპა.ბოლო აბუსერი დიდი პაპაა ბოლო ტბელისა.დამალვის საუკეთესო ხერხი ერთნაირი სახელი მამა შვილისა. ტბელი ტბელისძე.მამა ტბელი დასასრულია ერისთავობისა.შვილი ტბე-ლი დასაწყისი ახალი სამეფო დინასტიისა,ტბელებისა.*

*კარი:I*

**-1-**

- *კაცის მარჯვენას ვლოცავდი,მარცხენას წინა ვცოდავდი.*
- *ცაციამ თქვა:მარჯვენამ დამამარცხაო.*
- *ცაციამ კაცი მოკლა,მარჯვენა მოაჭრესო.*
- *მოვიდა ქალის ამბავი,კაცმა იპოვა დამცავი.*
- *ვერ გამიზრდია ძუა,წაიღებს ქალი თუა.*
- *ქალმა თქვა ვირის ჩივილი,ვირს გასაჭირი ჰქონია,*
  *სახედარს სახლსა ვინახავ,სახლი ვირისა მგონია.*
- *ქალმა თქვა:საღამოს საქმეს გავალო.გათენებამდე მოვალო.*
- *ღარიბმა თქვა:ქურდის საყვარელი ვარო.*
- *კაბამ თქვა:ქალი მაჩვენეთ.კაცი მაძგერეთო.*
- *კაბა ისე დამოკლდა,კა დაკარგაო.*
- *კაბამ თქვა:კაცმა მომიძულა,ქალმა მიმაკრულაო.*
- *ძროხას მინდორი გაუძვირდაო.*
- *ძროხამ თქვა:მოზვერის ხილვა მაღირსა,მერე მომკლაო.*
- *მოზვერმა თქვა:ფურსა დავუგმივარო..*
- *ძროხამ თქვა:დღე და ღამე მწველიანო.*
- *ზაქისა ჭალას ხარია,ზაქისა ზვარსა წყალია.*
- *სადაცა მისვლა მომინდა,გაიგო, თვითონ მოვიდა.*
- *მანამ საყვედურს  გავცემდი,მუქარა მოვიდაო..*
- *მეგონა მარტო ვიყავი,ზომა ცოდნიათ ნიფხავის.*
- *ცოლმა ვერ მოიცალაო, სხვა ქალმა მოიტანაო.*
- *ჩუმად ვუთხარი ხაროსა, ჭორად მიამბეს წყაროსა.*
- *მევახშეს ფული მემართა,გავხდი კურდღელი მწევართა.*
- *შავი,თეთრი და ყვითელი,გამოარჩიე პირველი.*
- *ჩემი უფლება პატარა, დიდის უფლებამ აყარა.*
- *მამას უფლება წამართვეს, შვილის მუშაკი დამარქვეს.*
- *დედობა ქალის ოცნება,უფლებით გამოსაცნობად.*
- *ადრე მეგობარს ვარჩევდი,ახლა ნათესავს ვარჩევო.*
- *ბავშვმა მამად დევი არჩიაო.*

- *პაპა დამარხეს გვიანო, მამის ორმოსა თხრიანო.*
- *ცოლმა თქვა:კაცმა მომიყვანა,თვითონ გაიქცაო.*
- *სვავმა თქვა:ქათამი ვიგემე,ძერა დამიძახეთო.*
- *კაცმა თქვა:ცამდე მართალი, ამხელა კაცი სად არი?.*
- *კაცმა ქვეყანა გაძარცვა,ნაძარცვით მტერსა ჩაბარდა.*
- *მოკეთეს სიკეთე დაუძველდაო.*
- *მტერი მეგონა შორისა,ვპოვე საფარსა ტოლისა.*
- *მეომარმა თქვა:მტერი გავაქცია,მთავრობამ წამაქციაო.*
- *კაცმა თქვა:მთავრობას ვერ გავკიცხავ,ჩემი არჩეულიაო.*
- *ცოლმა თქვა:კაცმა მიღალატა,მთავრობამ გამამტყუნაო.*
- *კაცმა თქვა:მთავრობა მეთამაშება.მოვიდა-მომიგო,წავიდა წავა-გეო.*
- *კაცმა თქვა:ხმოსანი ხმის დაკარგვა ყოფილაო.*
- *კაცმა თქვა:მთავრობას ხმა მივეცი,ენა წამართვაო.*
- *კაცმა თქვა:მთავრობის მოსვლამდე ვირჯები,მოვა ვისჯებიო.*
- *ხმოსანი მეგონა,ფრთოსანი გამოდგა.ვერსად მივაგენიო.*
- *კაცმა თქვა:ხმა მივეცი,ხმას ვერ ვიღებო.*
- *მთავარმა კაცი დაიბარა:ხმის გაყიდვა გითქვია,დაიცადე, ძვირ-დებაო.*
- *მთავრობას სამი ნაკლი აქვსო:მოისურვა, მოვიდა,დარჩაო.*

**-2-**

- *მთავრობას სამი კაცი დაიცავსო:შიშველი, შიმშილი და შიშიო.*
- *მთავრობას სამი მოკავშირე ჰყავსო:მღვდელი,მოძალადე და მოსა-მართლე.*
- *მთავრობას სამი შიში აქვსო:თავისუფლება,თანხმობა და თანას-წორობა.*
- *მთავრობას სამი ზიზღი აქვსო:განათლება მოქალაქისა,გამარჯვე-ბა მეომრისა,გამოჩენა მომავალისა.*
- *სამი რამ წააქცევს მთავრობასა:უსამართლობა,ტუსაღი და მისივე გაუმაძღრობა.*

- *მაცხოვარი ქალაქმა დაივიწყა,ქალაქი ვერ იხილავს მაცხოვარსა.*
- *მეგონა შვილი მომესწრო,უფლება გამიცია.*
- *მამა მოკლეს,უფლება დამარხესო.*
- *მოსამართლეს ეგონა,კანონზე მაღალი ვარო.*
- *მთავრობა კანონს სხვისთვის ამზადებსო.*
- *მთავრობა ყველაზე ხელაღებული მძარცველია.*
- *მთავრობა მონას მოქალაქეზე ძვირად აფასებსო.*
- *კაცმა თქვა:მეგონა თავი ავირჩიე, ქალაქის ბოლო მომიყვანია.*
- *ქათამმა თქვა:ბატმა კაკანი შემაძულაო.*
- *კაცმა თქვა:ბალღის მამა ვიყავი.მოზვერის მამად ვიქეცი.*
- *მომავალი მოდიოდა,წასავალი არ იძროდა.*
- *ძაღლმა ვირი დაინახა,თქვა:ძაღლობა მირჩევნია.*
- *ძმამ ძმას ეზო გაუყო,ღობეს გადაეკიდა.*
- *მთა მთის მოსვლას ელოდა.*
- *მომაკვდავმა თქვა:ბალიში დამიტოვეთო.*
- *ძაღლმა ძვალი იპოვა,თქვა:პატრონის ხელია,ღმერთი ძვლიან ხორცს მომცემდა.*
- *მკვდარმა თქვა:იქ არ გამაჩერეს,აქ არ მიმიღესო.*
- *ცალკ-ცალკე ანგელოზია,შეკრული ტარტაროზია.*
- *მთა მაღალი მეგონა,ბარის თავი ყოფილაო.*
- *მთის ქარი ცივია,ბარისა კაციო.*
- *მთას ბარი უთხრის ძირსაო.*
- *მთას თოვლი ადრე მოვა გვიან წავა,მთის კაცი გვიან მოვა ადრე წავაო.*
- *მთამ მოთმენა მასწავლა,ბარმა წამართვაო.*
- *მგელმა თქვა:მთის ძვალი მირჩევნია,ბარის ხორცსაო.*
- *ბარმა თქვა:ადრე მთა მერქვა,ასაკმა ბარად მაქციაო.*
- *მთის ზაქი თბილი და ღონიერია,ბარისა ცივი და ცბიერიო.*
- *მთის წყალი დაულევია,მას ბარი ვერ მორევია.*
- *კაცმა თქვა:ქალი მთას შეჭიდებიაო.*
- *მთის მოზვერი ბარის ხარად არ გაიზრდებაო.*

- *ანბანმა თქვა:კაცმა ენა მომცაო.*
- *მოძღვარმა თქვა:მჯობი გაზარდე,მოძღვარი დაგერქვასო.*
- *მოძღვარმა თქვა:ამიხდა,გაზრდილმა მოწაფედ მაქციაო.*
- *მომავალმა თქვა:მოძღვარს მოვერევი,მოწაფე მომერევაო.*
- *მოძღვარმა თქვა:ასს გავზრდი.ერთმა ივარგოს-მიღვაწიაო.*
- *ჭკვიანი მტერი მოძღვარს მოკლავსო,ულიცი ჯარს შეერკინებაო.*
- *ღამე ცას მთვარე ანათებს,მიწასა ბნელა, არ აღწევს.*
- *მამამ თქვა:ათი რეგვენის რჩენას,ერთი ზაქი მერჩივნაო.*

*კარი:II*

**-1-**

- *კაცმა კაცი მოკლა.შარი ვერაფრით მოვდეო.*
- *ძმა ძმის სიტყვამ ცოლს შეარიგაო.*
- *შიგნიდან შეკრულ ციხეს გარედან ვერ გატეხავო.*
- *მოვალემ თქვა:მევალეს ფული დაკლებია,ენა დაგრძელებიაო.*
- *მოვალემ თქვა:ვალი მიცემამდე ვიტირე,ახლა გამოვიგლოვეო.*
- *ვალმა მოვალე გადამკიდაო.*
- *რეგვენი ვალის დაბრუნების ხერხს ეძებს,ჭკვიანი უარის გზასო.*
- *მანამ ვალის პირობას მისცემდე, ასიათასამდე დათვალეო.*
- *კაცმა თქვა:ადრე მამას ვემდუროდი,ახლა მამას მემდურიანო.*
- *ბრძენმა თქვა:ცივილიზაცია რეგვენს განვითარება,ხარი პირუტ-ყვი ჰგონია.იცოდეს ზეციური ხარის სიტყვაა,გული გაუსკდებაო.*
- *კეთილმა სყიდვა აკრძალა,ხალხსა მონობა აცალა.*
- *ფულსა მაძლევენ ვადითა,თურმე კვდებიან დარდითა.*
- *მევახშე კაცი მეგონა,კაცის საწური ყოფილა.*
- *მონათა პატრონი გაუგდიათ,მევახშეს ვალი დაუდიათ.*
- *თამასუქს ვარჩევ კაცისა,მევახშემ ტყავი გაყიდა.*
- *ბარმა თქვა:მთა მისივე სიმაღლემ გააცივაო.*
- *კაცმა თქვა:თურმე დღე-ღამე მზეს დაუდგენია.მთვარე დაუჩაგ-რია,თვითონ დღე აურჩევიაო.*
- *ბებერმა თქვა:ადრე მთას ვეძალებოდი,ახლა ბარს მივექანებიო.*
- *კაცმა სიკვდილის შიშით,სიცოცხლე დაივიწყაო.*
- *მომაკვდავს ეგონა:სიკვდილი კარებიდან შემოვაო.*
- *რეგვენი მძინარე ბოდავს,ფხიზელი როშავსო.*
- *ადრე ცოლი მელოდა,ახლა ცოლს ველიო.*
- *ცოლმა თქვა:კაცი ქმრად ვაქციე, სიკვდილმა წამართვაო.*
- *უქნარამ თქვა:საკადრის საქმეს ვერ მივაგენიო.*
- *მონად დაბადებული ბატონს დაეძებდაო.*
- *მონას მონის სიკვდილი შეშურდაო.*
- *მონამ თქვა:ხელგაშლილად ვიცხოვრეო.*

- *მონის მოთმენამ ვირი გააკვირვაო.*
- *ორმა თქვა,ორმა გათქვაო.*
- *ერთის ნათქვამმა მეორე იპოვაო.*
- *პირი და სიტყვა აირია,სხვის სიტყვას სხვა პირი ტეხავსო.*
- *პირი პირობა მეგონა,სიტყვების გაშლა ყოფილაო.*
- *პირმა თქვა:პატრონი რეგვენი მყავსო.არც არავინ უსმენს,არცა პასუხს თხოვსო.*
- *მოკეთე ზღაპარმა შეიფარაო.*
- *სიკეთემ თქვა:კეთილი დაგვიწყიათ,სახლი დაგიცლიათო..*
- *შინ სნეულად ვიწექი,გარეთ წყეულად ვიქეცი.*
- *მოყვარემ თქვა:მძახალი ვარ,მოყვრობას ნუ დამაბრალებთო.*
- *მამამ თქვა:შვილი მოლასლასდა,უკან გაქროლ-ას დაო.*
- *ბებერმა თქვა:ქათამი ბევრად ერთგული ყოფილა,არ მშორდებაო.*
- *უმცროს ძმას უფროსი ბიძა ეგონაო.*
- *მამამ თქვა:უმცროსს მივეხმარები, უფროსი მომეხმარებაო.*
- *უმცროსმა თქვა:მამის ქონების გაყოფა ვერ ვიკადრეო.*
- *მომაკვდავმა მამამ დაიბარა:დიდმა გამასვენოს,პატარამ სახლს მიხედოსო.*
- *მთას უთქვია:ბარს იმდენი მივეცი,პატარა მთა გამოვიდოდა. ბოლომდე უმადური დარჩაო.*
- *ქარაფშუტა ქალის შერთვას,დინებას შერთვა გერჩივნოსო.*
- *ქარაფშუტას დოყლაპია მოსწონდაო.*

## -2-

- ნეკნმა თქვა:შევეწირე კაცის ხუშტურსო.
- ნეკნმა თქვა:ხორცი მქონოდა არ გამწირავდაო.
- ნეკნმა თქვა:კაცს ვერ ვიტან,ქალში გამცვალაო.
- ძაღლმა თქვა:კაცმა შვილს მამაძაღლი დაუძახა,ძმა მყოლიაო.
- მეძავმა დაიჩივლა:საქმე წამართვეს,სახელი დამიტოვესო.
- მეძავმა დაიჩივლა:სხვა საქმეს ვეწევი,პატიოსნებამ ფასი დაკარგაო.
- მოძალადემ თქვა:ქალმა იძალადა მე დამსაჯესო.
- კაცმა თქვა:მეძავთან მისვლას,სახლში მიყვანა ვარჩიეო.
- შურმა თქვა:კაცის ეჭვმა დამღალაო.
- შურიანმა შურიანი მოძებნა,ერთად ვიშურიანოთო.
- მოსაკლავი მოკლულს შენატროდაო.
- ნესვმა თქვა:კაცმა გოგრას დამამსგავსაო.
- გოგრამ თქვა:კაცმა ხაპი მაკადრაო.
- კაცმა გოგრა დათესა,ხაპი მოიმკაო.
- კაცმა ქარაგმა ვერ გაიგო,გამოცანა დაარქვაო.
- ქარაგმა კაცმა მოიგონა,ქალმა დამარხაო.
- ცამ თქვა:კაცმა ისეთი იკადრა,ცას ვერ ეღირსებაო.
- ზაქის სათქმელი კაცმა თქვაო.
- მოვიდა კამარით,გავიდა სამარით.
- მოშემ თქვა:შაბათი ჩემთვის უქმე არ არისო.
- სკოლამ მოწაფის ცოდნა დაიწუნაო.
- მოწაფემ თქვა:ცოდნას ვეძებდი სკოლა ვიპოვეო.
- კარგი სკოლა მოწაფეს არჩევდა,ცუდი აჩვევდაო.
- მოწაფემ თქვა:სკოლამ გასვლის დრო მასწავლაო.
- კაცმა თქვა:უსაქმურმა კამათს მიმაჩვიაო.
- ბრძენმა თქვა:განსჯა ისწავლე,კამათს გასწავლიანო.
- იმდენი იკამათეს,საკამათო დაკარგესო.
- შენი განსჯა არჩიე სხვის კამათსაო.

- *რეგვენი ამტკიცებდა:აზრი კამათში იბადებაო.ბრძენმა თქვა:რეგვენი კამათის შვილიაო.*
- *რეგვენი რეგვენს უმტკიცებდა:აზრის შობას ცხრა თვე უნდაო.*
- *აზრმა თქვა:განსჯა დავკარგე,კამათს გადავეყარეო.*
- *შიშმა თქვა:თვალი არასდროს მინახავსო.*
- *მოთამაშეს ეგონა:თამაშით ვეწევი ბედსაო.*
- *ბედმა კაცი გააგდო,თამაშმა შეიფარაო.*
- *ბედმა გამწირა,თამაშმა დამძირაო.*
- *ნუ მიენდობი თამაშით აგებულ სახლის კედელსა.*
- *მოთამაშემ ერთი მოიტანა,ათი  გაიტანაო.*
- *კამათელს ეშმაკმა ზარი დაარქვაო.*
- *ზარმა თქვა:კამათი არასდროს მიკადრიაო.*
- *ბრძენმა თქვა:კამათელი საკამათოა,რეგვენმა ბედის პატრონად აქციაო.*
- *ნემსი ზვინსა დამალულა,ზაქს მოვერევიო.*
- *ქართველმა ქართველი გაკიცხა:ქარის და ველის ერთობა ვის გაუგიაო.*

*კარი:III*

**-1-**

- *ქართველმა თქვა:მოდგმით თავადი ვარ,ქონება გლეხისა მაქვსო.*
- *ქართველმა თავი არ იკმარა დი(დიდი) მიუმატაო.*
- *ქართველმა თავი კაცს თავმჯდომარე დაარქვაო.*
- *ქართველმა თქვა:ქარმა რთველი შემაძულაო.*
- *კაცმა თქვა:მთავრობამ გამაცურა.არჩევანს ხმის მიცემა დაარ-ქვაო.*
- *გრძენმა თქვა:არჩევანი გააკეთე,ხმა შენთვის შეინახეო.*
- *ხმის მიმცემი ხმას ვერ ამოიღებსო.*
- *ცრუმ თქვა:მთავრობამ მეც მომატყუაო.*
- *ცრუმ თქვა:მთავრობა სიცრუის სკოლა ყოფილაო.*
- *მთამ თქვა:მთა მე ვარ,ვრობა გამაგებინეთო.*
- *ძვალმა თქვა:ვალის ქარაგმა ვარო.*
- *ზაქმა თქვა:ვალი ლომის გრძანება ყოფილა,მე არ მეხებაო.*
- *თარაქამამ თქვა:მეც გაუკუღმართებული ქართის მამა ვარო.(მა-მამა.არ-კაცი).*
- *კაცმა თქვა:ძერა მოვიდა,ქათამი წავიდაო.*
- *ხელმა თქვა:ენა გრძელია,სიტყვა ბნელია.სახელი ხელიაო.*
- *სახელი შენია,სათქმელი ჩემიაო.*
- *გუშინდელმა დღემ ხვალის დღე დაიბარა,მალე დამედევნებიო.*
- *საბელმა თქვა:ზაქის დაკავებას ნუ მომთხოვთო.*
- *სოფელმა თქვა:კაცმა ქალი შეირთო,ქალმა სოფელიო.*
- *კაცმა ქრთამი აიღო,ჩემი ზვარიაო.*
- *შინ კაცი მერქვა,გარეთ მონობას დავყაბულდიო.*
- *მონას სხვისი სახლი დაესიზმრებაო.*
- *მე ვეცადე,ბედმა მომცაო.*
- *ადამის მერე მისი სიხარბე შობილაო.*
- *ევამ ადამი დატუქსა,დროზე არ მომითხოვეო.*
- *ქალმა თქვა:აქამდე მოვიცადე,ახლა მაცალეთო.*
- *მოშეს ეგონა კვირას შაბათი მოსდევსო.*

- *მოშემ თქვა:თურმე ადამი აქ შექმნილა,დუნიას წილი მქონიაო.*
- *მოშემ თქვა:თავიდან შეკელი ავიღე,ახლა ათასი მეცოტავება, მოსათხოვი გამიხდაო.*
- *მოშემ შეკელი თივას გაურია,მერე ზაქი მოითხოვაო.*
- *მომაკვდავმა მოშემ თქვა:ბარემ ქელეხს გადავიხდი,ფული შემომივაო.*
- *მომაკვდავმა მოშემ თქვა:ქალი ჩამაყოლეთ,მინდა ქონება გავიყოლოო.*
- *მიწის ხმა ქათამს ესმოდაო.*
- *ფურმა თქვა:ზაქის შიშით ბერწი დავრჩიო.*
- *სუფრას ღვინო მიაკლდა,თამადას დაბრალდა:თასით მიირთმევდაო.*
- *რეგვენმა თქვა:თამასა დაბლა დავწიოთო.(თამასა-მამის სახლი მთასა)*
- *ტახმა დაიძახა:რეგვენსა ტახი ტალახი ჰგონიაო.(ტახი-ტბა ხარისა).*
- *დათვმა თქვა:გამიმართლა,ზაქმა თაფლის გემო არ იცისო.*
- *მგელმა კრავი გაიტაცა.ძაღლს დაუბარა:ბეკეკა დაგიტოვეო.*
- *მძარცველმა თქვა:სახლს ხელს არ ვახლებ,ოქროს ვიკმარებო.*
- *სანამ მეძებარს ეძინა,კურდღელს სტაფილომ აწყინა.*
- *ტაიჭმა თქვა:ულაყის შემხედვარე გზას ავცდიო.*
- *უქნარა გაიზმორა და გადაყვაო.*
- *ზარმაცმა თქვა:მომიტანეთ,მომიყვანეთ,მერე მივხედავო.*
- *ქორმა ქათამი წაიღო,კაცმა ძერას დააბრალაო.*
- *ცხენმა ძუა აიწია,კაცს ზაქი ვეგონებიო.*

## -2-

- *ვირმა თქვა:ძუა მქონოდა ცხენი ვიქნებოდიო.*
- *მონადირეს დათვის ეშინოდა,დათვსა მონადირისა.*
- *ფულმა თქვა:კაცის სიხარბემ დამაბრმავაო.*
- *ძმების გასაყოფი დებმა გაიყვესო.*
- *კაცმა მემკვიდრის ძებნაში ოცი სიძე იპოვაო.*
- *მემკვიდრემ სამკვიდრო ქალის სახლსა იპოვაო.*
- *ერთი მემკვიდრე ქალისა,ორი მემკვიდრე მტერისა.*
- *სამკვიდრო ორმა გაიყო,მამის სამარე არ იყო.*
- *კაცმა სამარე გაითხარა,გაყოფა არ გაბედოთო.*
- *ღორმა სოფლის ტალახი გარეთ გაიტანაო.*
- *სტუმარმა სტუმარი გაიკვირვაო.*
- *მოკეთემ თქვა:კაცმა იმდენი გაიღოს გულსა არ დარჩესო.*
- *სიკეთის ანგარიში ვალიაო.*
- *კაცმა თქვა:დღეს მომეცი,ხვალ ნაწილს გაგისტუმრებო.*
- *მღვდელმა თქვა:ქათამს ბატკანი მერჩივნა.ბევრად დიდი მადლიაო.*
- *ღვინომ თქვა:კაცმა მაჭარი გასინჯა,ღვინო დაიწუნაო.*
- *კაცმა მაჭარი შესვა,თავის ტკივილი ღვინოს დაბრალდაო.*
- *ღვინომ თქვა:მაჭარი ბალღი ვარო,ჭურსა ქალი მქვია,სუფრასა კაცი ვარო.*
- *კაცმა თავი გამოიჩინა,ასე ვერავინ გამოაჩენდაო.*
- *ნეკი ზის ცერმა მომაკითხოსო.*
- *ნეკმა თქვა:გარეთ მე დავდგები,ცერი შიგნით დარჩესო.*
- *კაცმა ნეკი იტკინა.თქვა:მთავარი ნეკი ყოფილაო.*
- *კაცმა კაცის სიტყვა ზურგით წაიღოო.*
- *კაცის სიტყვამ ზაქი მოიყოლაო.*
- *კბილმა თქვა:ენა გალავანს მორევია,მე რას მემართლებითო.*
- *ზაქმა თქვა:ქალის ენას ერიდეთო.*
- *ქალის ენას ძაღლი დარაჯობდაო.*

- *კაცმა ხახა გააღო,მგელს შეშურდებოდაო.*
- *კაცის ნათქვამი ბარსა,ზაქს დახვედრია მთასა.*
- *მოენეს მეფე გარიდებიაო.*
- *მგელმა თქვა:კაცმა ფარა მომტაცაო.*
- *კაცმა მოინანია,თქვა:ცოდვები აღარ მამძიმებსო.*
- *კაცმა მოინანია,თქვა:ახლა პატარა ცოდვა ისედაც მეპატიებაო.*
- *ცოდვამ თქვა:კაცმა იმდენი ჩაიდინა,განკითხვამდე მიტანა გაუ-ჭირდებაო.*
- *დღეს ეგონა უცოდველი ვარ,ცოდვა ღამის ტვირთიაო.*
- *მოკლე დღემ თქვა:ბევრ ცოდვას ვერ ვასწრებო.*
- *დათვმა თქვა:ზაქის შიშით პანტას შევექცევიო.*
- *მთვარეს ეგონა მზეზე ბევრად დიდი ვარო.დღის განათებას რა უნდაო.*
- *ძველი ჯამი გადააგდეს,ძველი ღვინო გადაასხესო.*
- *ძველმა ჯამმა თქვა:ძველი ღვინო მომენატრაო.*
- *მანამ ტახმა მუხა იპოვა,მუხა სიკვდილმა გაიყოლა.*
- *ტახმა თქვა:ეშვმა ხელი შემიშალაო.*

*კარი:IV*

**-1-**

- *ტახმა რკო იპოვა,მგელის ძებნა დაიწყოო.*
- *ტახმა ტალახი შეირგოო.*
- *ტახი ტალახს მიდიოდა,მანამდე დავიბანოო.*
- *ტახი ტბასა შესულა,თევზი გაწყვეტილაო.*
- *ყორემ თქვა:ამდენი ქვა კლდეს არ ქონიაო.*
- *კაცმა თქვა:ენის ნათქვამი მე დამბრალდაო.*
- *კოჭლის დაცინვამ სოფელი დააკოჭლაო.*
- *გიჟი მოზვერი ფურმა დააშოშმინაო.*
- *სოფლის ეკალი სოფლის ფეხს შეერჭობაო.*
- *კაცის სამდურავმა სოფელი მოიმდურაო.*
- *სოფლის მომდურავი ძაღლი მგელზე უარესიაო.*
- *ბეკეკამ საბძელი იპოვა,თივაზე მოისაქმაო.*
- *თხამ თქვა:ცხვარი ძილის დროს დუმას იწევსო.*
- *ცხვარმა თქვა:თხა გადამეკიდა,ამხელა დუმას რას ათრევო.*
- *მოზვერი ხართან მისულა:ზაქი შემახვედრეო.*
- *ენა მართალსა და მტყუანს ვერ გაარჩევსო.*
- *ენის ტრიალი დათმო,ენის ბზრიალი დაიწყოო.*
- *მოენეს ენამ სადგური ვერსად იპოვაო.*
- *კრავს კარავი სასახლე ეგონაო.*
- *ქვედა ტუჩმა თქვა:ენამ ზედა ტუჩი მომანატრაო.*
- *მოსამართლეს სამართალი გაქცევიაო.*
- *სამართალმა თქვა:მოსამართლემ ტუსაღად მაქციაო.*
- *სამართალმა თქვა:ჩემი ნამდვილი სახელი ვერავინ გაიგოო.*
- *მოსამართლემ სამართალი დაკოდა:შენაირი ავყია გამოგივაო.*
- *მოსამართლემ სამართალს ანდერძი აუგოო.*
- *მოსამართლემ სამართალი ჩაიცვაო.*
- *სოფელმა კაცი გააგდო,ქალაქი გადაიკიდაო.*
- *სოფელმა ნაგავი გადააგდო,სუნი ვერ მოიშორაო.*
- *სოფლის მოძულე სოფლის მტერს მოიყვანსო.*

- *სოფელმა შინაური გააგდო,გარეული მოიმკაო.*
- *მძინარეს ესიზმრებოდა,ფხიზელსა ეღიმებოდაო.*
- *ქორ ვაჭარმა სოფელი გაყიდა,ქალაქს მიადგაო.*
- *მატყუარამ თქვა:თითო ტყუილს ყველა იჯერებსო.*
- *მატყუარამ თქვა:სიმართლე არავინ დამიჯერაო.*
- *ცრუმ თქვა:ჩემი ტყუილის ნახევარი სიმართლეაო.*
- *უქნარას ბეღელმა თქვა:პატრონმა კატის თავშესაფრად მაქციაო.*
- *ზარმაცის ბეღელმა დაიჩივლა:თაგვი არასდროს მინახიაო.*
- *ბეღელმა თქვა:კაცმა სარჩო მოტანამდე გაზიდაო.*
- *ზარმაცის კალოს პური ბეღელს ვერ მივაო.*
- *ბეღელმა დაიჩივლა:თუ არ მიტოვებთ ჩამოატარეთ მაინცაო.*
- *ზარმაცის ბეღელმა თქვა:ქარის მოტანილს ვინახავო.*
- *უქნარას ბეღელმა დაიჩივლა:ქარმა დამცინა, არაფერი გაბადიაო.*
- *კაცმა სახლი ააგო,კარის დაკიდვას გადაყვაო.*
- *ზაქმა თქვა:ქარის ქერს ცალკე ვინახავო.*
- *ძროხა რძეს მიეჩვიაო.*
- *ვირმა ვირის შვილობა იწყინაო.*

**-2-**

- *ძველმა გოდორმა თქვა:ბევრი გოდრის ქსოვას მოვსწრებივარო.*
- *კაცმა თქვა:გოდორის გადაგდებას ნუ იჩქარებთო.*
- *ქალი ვარდსა ჰგავსო:შინ ეკალი,გარეთ ზექალი.*
- *დავითმა თქვა:ქართველმა კაცმა იბრძოლა,ქართველმა ქალმა იშ-რომაო.*
- *სოლომონმა თქვა:ომამდე ქალმა მიმიყვანა,ომიდან კაცმა გამო-მიყვანაო.*
- *ბრძენმა თქვა:ბევრი ომი ქალის მიზეზია,ბევრი მშვიდობა კაცის დარღვეულიაო.*
- *ქალმა სისუსტე მოიგონა,კაცის დამორჩილება ადვილი გახდე-ბაო.*
- *თარაქამა სახლსა ზის,ქალი ყანასა მკის.*
- *გარეთ ალალი,შიგნით მამალი.*

- *მამამ მემკვიდრე გავზარდე,კისრიდან ჩამოსვლას ვერ მივაჩვიეო.*
- *კაცის გული თხილის გულსა ჰგავს,თაგვიც მოერევაო.*
- *შუა კაცმა თქვა:იქეთ წყალია აქეთ მეწყერი შუაში ვარჩიეო.*
- *კაცმა თქვა:ავირჩიე მივენდეო.ბრძენმა თქვა:თვალს ნუ მოაშორებ.მინდობა არჩევანს წაახდენსო.*
- *რეგვენმა თქვა:არჩევანს ერთხელ ვაკეთებო.*
- *რეგვენმა თქვა:ქალაქის თავი ჩემი არჩეულიაო.*
- *რეგვენის არჩევანი,რეგვენი თავიაო.*
- *ბრძენთან ათი გვარი მისულა,სოფლის თავკაცობა მოგვანდეო. ბრძენსა უთქვია:გვარის კაცთა სახელი თქვითო.მისულან. ბრძენსა უთქვია:გვარის კაცნი მცირე გყოლიათ.ვერ წაიღებენ სოფლის ტვირთსა.სამი გვარი თუ მოერევაო.*
- *უკითხავთ გვარის კაცთა:ათი სამზე ვით გაიყოფაო.ბრძენსა უთქვია:გაყოფა გამძიმებთ,ერთობა გირჩიეთო.*
- *უკითხავთ:ვერ შევკრათ,რა იქნებაო?უთქვია:ლხინის მოლოდინს ვერ ზიდავს,ჭირსა ვერ წაიღებსო.*
- *უკითხავთ:სოფელი უპატრონო დარჩებაო.უთქვია ბრძენსა: უთავო პატრონის ყოლასა,უპატრონოდ დარჩენა სჯობიაო.*
- *უკითხავთ:სოფელი დაიქცევაო.უთქვია ბრძენსა:სოფლის დაქცევა სჯობია ქვეყნის დაქცევასაო.*
- *უკითხავთ:ბრძენმა გვირჩიოსო.უთქვია ბრძენსა:თითო გვარმა სამი რჩეული გამოარჩიოსო.*
- *უთქვიათ:გამოვარჩიეთო.უთქვია ბრძენსა:რჩეულნი სამად გაიყოს,ათმა ერთი გამოარჩიოსო.*
- *უთქვიათ გამოარჩიესო.ახლა სოფელმა შვიდი უხუცესი ასაკით გამოარჩიოსო.*
- *უხუცესნი გამოურჩევია სოფელსა.უთქვია ბრძენსა:სამი რჩეულისგან სოფლის თავი გამოარჩიოს.თუ რჩეული არ იტყვის სათქმელსა, ნაცვლად სხვა გამოარჩიეთო.*
- *უთქვიათ:სოფლის თავი გამოვარჩიეთ,მინდობა შეგვიძლიაო.?*

- *უთქვია ბრძენსა:გვარსა თვალი ეჭიროს.რჩეულნი თვალს ნუ მოაშორებენ თავსაო.ეცადეთ სიტყვის ფასი ისწავლოთო.დიდია ფასი არჩევანისა.ფასს სოფელი იხდის, უპირო მოიმკისო. უპირო რჩეული, უპიროს მოიყვანს.ორივე დააქცევს სოფელსაო.*
- *უთავო კაცმა ქალის ოჯახი მოითავაო.*
- *უპირო თავმა ტანი მოიმდურაო.*
- *სოფლის რჩეულმა სოფელი მოიძულა,სოფელმა სხვა მოძულე მოისურვა.*
- *მეფის ტახტს სოფელი იჩემებდაო.*
- *ქვეყნის კაცი სოფელმა წააქციაო.*
- *სოფლის ტაიჭი სოფლის რბოლას მოიგებსო.*
- *კაცი ქალაქმა გაადო,კაცმა სოფლის გაგდება მოინდომაო.*
- *სოფლის დეკეულს სოფლის ბუღა იცავდაო.*
- *ბეკეკა შინ კანკალებს,გარეთ ცახცახებსო.*
- *მშიშარა ძაღლი სახლს შიგან ყეფსო.*
- *ძაღლს ჯაჭვი გაუწყდა,თვითონვე გამოცვალაო.*
- *დიდი თოვლი დიდ ტალახს ფარავსო.*
- *ზამთარი ზაფხულის მტვერს რეცხავსო.*
- *მცირე წვიმა მოიტანს,დიდი წაიღებს ტალახსა.*
- *ზაფხულის მოსავალს ზამთარი გამცნობსო.*

*კარი:V*

**-1-**

- *ძველი კაცის სიტყვა გაცეთილა,ახალს ახალი შეუკერიაო.*
- *ძველი კაცის სიკვდილს,ძველი სიტყვა გლოვობდაო.*
- *ძველმა კაცმა თქვა:ქალი დამიბერდა,სიტყვა გამიგრძელდაო.*
- *ძველმა კაცმა დაიჩივლა:მოსვლა ვერ გაიგეს,წასვლას ვინ იგლოვსო.*
- *ძველი კაცი ზის,დასავლის ქარი ქრის.*
- *ძველმა კაცმა თქვა:ღამე ვერ ვიძინებ,დღისით ვერ ვიღვიძებო.*
- *ძველმა კაცმა თქვა:თვლემა ძილის უდღეური შვილიაო.*
- *მთვლემარე ძაღლი მთვლემარე კაცის სახლს დარაჯობდაო.*
- *ცხენმა თქვა:ძველმა კაცმა ძუნძული მასწავლაო.*
- *ცხენმა თქვა:ბებერი კაცის ლაგამი მე მიჭირავსო.*
- *გულმა თქვა:მუხლი არ მემორჩილებაო.*
- *ზანი მიდიოდა,ხეთი მოდიოდა,იბერი ზვარს არჩევდაო.*
- *თურმე იბერს ორი მამა ჰყოლიაო.*
- *თურმე ზანი და ხეთი მოსულა,იბერი ადგილის კაცი ყოფილაო.*
- *ზანმა თქვა:ხეთმა მემკვიდრე გამიჩინაო.*
- *იბერმა თქვა:მამა ორი მყოლია,დე-და ორად გაუყვიათო.*
- *იბერმა თქვა:მამის მტერმა ამიკლოო.*
- *ხეთმა დაიჩივლა ზანმა მომასწროო.*
- *ზანმა დაიჩივლა:ხეთი ვერ მოვიშორე,ვკვდები იქაც მიმყვებაო.*
- *კაცმა კაცის ნიფხავი ნახა:თქვა ამის თავი რა იქნებაო.*
- *მოკლე კაცი დიდ კაბას მიელტვისო.*
- *კაცი მოკალათდა წასაღები ყოფილაო.*
- *კაცმა მოირგო შერგებას ვერ ეღირსაო.*
- *კამათელი რეგვენის ხელს არჩევს,ჭკვიანს დასცინისო.*
- *კაცმა თქვა:ათი სიკვდილი გამოვცადე,მეთერთმეტე რას დამაკლებსო.*
- *კისერმა თქვა:ცარიელ თავს ქარი აბრუნებსო.*
- *კისერმა დაიჩივლა:რეგვენის თავი ბევრად მძიმეაო.*

- *რეგვენის თავმა კისერი დაამოკლაო.*
- *ლექსის მთქმელმა,ლექსის კითხვა არჩიაო.*
- *მოსამართლეს ეგონა:განაჩენი საბოლოოაო.*
- *მოსამართლემ თქვა:განაჩენს ვერავინ გამომიტანსო.*
- *ბოროტმა ბოროტს ენა მოაჭრა:შენმა ენამ ბოროტად მაქციაო.*
- *კაცმა ენა მოიკვეთა,თავის მოკვეთას გადავრჩებიო.*
- *მოკვეთილი ენა წყლისკენ იწევდა,გადავრჩებიო.*
- *ძმამ ძმას ენა ამოკვეთა:ფეხის ამოკვეთას გადარჩიო.*
- *მოკეთე უთქმელი არჩიე,მტერი მოლაყბეო.*
- *დაღლილი კაცი ისვენებდა,ენა არ ჩერდებოდაო.*
- *კაცმა კაცს უთხრა:შენმა ღვინომ სუფრა დამიძველაო.*
- *პაპა ღვინოს აძველებდა,ლოთი ათბობდაო.*
- *ქიზიყელმა თქვა:გურჯაანელის ღვინოს შვილიშვილი გასინჯავსო.*
- *ქიზიყელმა თქვა:მაჭარის დალევა ისწავლე,გაჯავრებას გასწავლისო.*
- *ქიზიყელი მოკვდა,ხმალი ფეთქავდაო.*
- *მაჭახლელსა მზე და მთვარე ერთი ეგონაო.*
- *მაჭახლის მაჭარმა მოდგმა გააბრაზაო.*
- *მაჭახლელმა თქვა:იმდენი მაჭარი დალეულა,მოდგმა ვერ დამშვიდდებაო.*
- *მაჭახლელმა თქვა:გამაცურეს,მაჭარი მოიტანეს, ღვინო წაიღესო.*

**-2-**

- *მაჭახლელმა თქვა:ზეგანი ქორვაჭარია.მაჭარი მომცა,ღვინო წაიღო,ძირს ხურდა დაარქვაო.*
- *ძღვენმა თქვა:მადლიერმა შემირგო,უმადურმა მიმაგდოო.*
- *კაცმა თქვა:ძღვენს წინ ვეძებდი,თურმე უკან მომსდევდაო.*
- *კაცის ნეკნისგან ენა გამოვიდაო.*
- *კაცი ჩინსა ელოდა,მრავალჟამიერს მღეროდა,*
  *ჩინის საკანსა ბნელოდა,კაცისთვის არა სცხელოდა.*

- *ჭორმა თქვა:კაცმა გამზარდა,ქალმა დამაფრთიანაო.*
- *ძროხა ბალახსა იბრძოდა,მოზვერი რძესა ითხოვდა.*
- *ახალგაზრდა მელოტი ბებრის ჭაღარას შენატროდაო.*
- *მოკლე ენამ საქმე დამიმოკლა,გრძელმა გამიგრძელაო.*
- *კაცმა ხილი იპოვა, ვა-ს პოვნა მოინდომაო.*
- *მდუმარე ბერმა თქვა:არაფერი მითქვიაო.*
- *მდუმარე ბერმა თქვა:გულიანი კაცი მომისმენსო.*
- *ვირის მოსატანი ცხენმა მოათრიაო.*
- *ჯორმა თქვა:თურმე აქლემად გავუზრდივარო.*
- *ნაკლის ნაკლი მახარებსო.*
- *მოსათხოვი მოითხოვე,წასაღები წაიღე,ვალად გექცევაო.*
- *მისაცემი მიურბენინე,მოსათხოვი შეუთვალეო.*
- *რეგვენი იჯდა,მომავლის იმედი ჰქონდაო.*
- *კაცის სიტყვას დაეტყობა,საქმე როგორი ექნებაო.*
- *მოთავე დასაჯეს,მორჩილი დაგმესო.*
- *რწმენას დასცინეს,ურწმუნო გაკიცხეს.*
- *იმდენი მოითხოვე,მოსათხოვი დაგრჩესო.*
- *კაცი საცოლეს ეძებდა,სასიდედრო იპოვაო.*
- *ქრთამმა ქრთამი დაიბარა,გაზრდა მოგისწრიაო.*
- *ქრთამის ამღებს ქრთამის მიმცემი სძულდაო.*
- *ვიდრე ძებნას დაიწყებ,იცოდე შენამდე სხვამ ეძებაო.*
- *ხიდმა აქლემს გაუძლო,ვირი ვერ აიტანაო.*
- *ხიდმა ცხენი დალოცა,ვირი დაწყევლაო.*
- *ზაქმა თქვა:ხიდი ვირის ქარავანს აუგეთო.*
- *აჭარელმა თქვა:ბეჩი ლენჩი მეგონა,ხეპრე ყოფილაო.*
- *მესხმა თქვა:აჭარა ძაბრია,ზეგანი პირია,ქვედა ძირიაო.*
- *ქედამ დაიჩივლა: ზეგანის პირმა,საცერად მაქციაო.*
- *ქვედამ დაიჩივლა:ფური წამართვეს,ფურის სახლი დამარქვესო.*
- *ქედელმა დაიჩივლა:ზეგნელმა თა თქვა,მეგონა მთას მალავდა, თურმე თავი დაუმალიაო.*

- *კაცმა დაიჩივლა:დამღალა ჩერჩეტის წუწუნმა,ყეყეჩის ხუმტურ-მაო.*
- *უწმინდურმა წმინდა სეგისკვერის გემო დაიწუნაო.*
- *დევმა დევი ზღაპარში გაიცნოო.*
- *კოჭლმა დაიძახა გზა დამითმეთო.*
- *კოჭლი გზას სიგრძეს მიაკლებს,სიგანეს მიუმატებსო.*
- *ქარმა თქვა:კაცის მოტანილს წავიღებო.*
- *ქარმა ქარის მოტანილი დაიწუნაო.*
- *ცამდე მართალი ცამ გაამტყუნაო.*

*კარი:VI*

*-1-*

- *ენა ყველა ერთია.მოკლე მძინარეს დაარქვესო.*
- *კაცმა ნაკლი დამალა,ველარ იპოვაო.*
- *კაცმა თქვა:ნაკლის გაყიდვა მინდოდა,ნაკლმა გამყიდაო.*
- *ტაძარს ერთი სანთელი ანათებს,კაცის სულს ათასი არ კმარაო.*
- *კაცის ფასის წახდენამ მეფის ფასი წაახდინაო.*
- *გრძენი მეფის ფასს მისივე ხალხით ზომავსო.*
- *ბებომ თქვა:ქალი ზაქის შინა მტერია,კაცი გარეო.*
- *ბებერმა თქვა:ქარს ვენდე,ქალს ვერაო.*
- *ქართველთა მოდგმას ეგონა ქარის მოდგმა ვართო.*
- *ქარმა თქვა:ქალის დევნამ ნიავად მაქციაო.*
- *ქალი შინა ზის,ქალის სურვილი ქრის.*
- *შენთვის კუზია,შენივე მტრისთვის ტუზია.*
- *კუზი აქლემსა სწყინდება,უდაბნოს მივა ძვირდება.*
- *ქმარმა თქვა:დავშორდი ქალსა,მივდივარ სახლსაო.*
- *კოზაკმა თქვა,კუზი როდის მექნებაო.*
- *ზაქმა თქვა:ზვარი მაჩვენე,ხნულს გაჩვენებო.*
- *ძაღლმა თქვა:კაცმა ქალი და ქათამი მოიშოროს დაისვენებსო.*
- *ძაღლმა თქვა:კაცმა დამაბა ქალი აუშვაო.*
- *ქალმა თქვა:ვიცი კაცის ტვინი უკულმა მუშაობსო.ვავნე შემირთო. შევიძულე შემიყვარაო.*
- *ქალმა თქვა:მოზვერი გავხედნე,ხარი წავახდინეო.*
- *ზაქი აგებდა,ქალი შუაზე ყოფდაო.*
- *ქალსა ორმოცი თავი აქვს,ორმოცი კიდევ იზრდებაო.*
- *ქალმა თქვა:რასაც კაცი მიაგნებს,ვაგდებო.*
- *ქალმა თქვა:ჰგონიათ მეძინა,ქვეყანა მოვიარეო.*
- *ქალის პირობა ახალ პირობამდეაო.*
- *ქალის ჯაჭვის შექმნა კაცს გაუჭირდებაო.*
- *ქალს ჩაყვები ჩაგითრევს,გაჰყვები წაგიღებსო.*
- *მეგონა კოცნა მაჩუქა,გონი წამართვა წავიდა.*

- *შვილმა თქვა:ქალმა გამაჩინა,კაცმა დამარჩინაო.*
- *კაცმა თქვა:ქალი კანიბალი ყოფილა,მთელი ცხოვრება ტვინს ჭამდაო.*
- *ტვინმა თქვა ქალის ტყვე ვარო.*
- *კაცმა თქვა:მეგონა ქალი შევირთე,თურმე ქალს შევურთივარო.*
- *მეძავმა თქვა:ასი ქმარი ვიშოვე,ერთი კაცი ვერ გამოვარჩიეო.*
- *ჯაჭვმა თქვა:ქალის დაჭერას ნუ მომთხოვთო.*
- *შიშითა შენითა მოიპოვე სორო შენიო.*
- *კაცმა თქვა:ქალმა მომიძულა,უფლის გზას დამაყენაო.*
- *კაცს ეგონა:ცათა სასუფეველში ქალის ადგილი არ ჰქონიათო.*
- *კაცს ცათა სასუფეველი,კაცთა სასუფეველი ეგონაო.*
- *მძლეთამძლეს მძლეთამძლე მორევიაო.*
- *კაცმა თქვა:ერა დამთავრდა,ერა დაიწყოო.*
- *კაცმა თქვა:ყველაზე ხანგრძლივი თაობათა ბრძოლა ყოფილაო.*
- *თაობათა ბრძოლას თაობა აგებს,თაობა იგებსო.*
- *ბელადმა თქვა:ტომი მჭირდებაო.*
- *ტალახმა თქვა:ერთი ფეხით გადიან,მეორეთი მოდიანო.*
- *ძაღლი მოსკოვის შიშით,ბაქოს უყეფდაო.*
- *მონღოლმა თქვა:მოსკოვი თავლა მეგონა,მხედართა სახლად უქ-ცევიათო.*

## -2-

- *მძინარე მოსკოვი ბიზანტიას გააღვიძებსო.*
- *მონათა ბაზარი მონათა ვაგზალმა შეცვალაო.*
- *მონათა სყიდვა ღარიბს ეკრძალებაო.*
- *ვაჭარნი ქონებას დიდვაჭართათვის იხვეჭენო.*
- *მორკინალმა წააქცია,ხანმა გაიმარჯვაო.*
- *ბრძენმა თქვა:პირამიდა გადარჩება,ძლევამოსილთა სახლიაო.*
- *თაგვი თხილს დაბლა ეზიდება,კაცს მაღლა მიაქვსო.*
- *კაცმა თქვა:ომი დევის სარეცხი ყოფილა,მთავრობა საშრობიო.*
- *ომის ხახა თვალის ხახას გაუტოლდაო.*

- *ომი ბრძოლამ მოიყვანაო,ტალანტმა გაიყვანაო.*
- *რომაელმა თქვა:მომეცი ერთი ტალანტი,გაჩვენებ ბრძოლასა. მომეცი ათასი ტალანტი,ომს გამოგიცხობო.*
- *ომი ნელდება,ვნება ცხელდებაო.*
- *მეომარმა თქვა:ომი მეფემ მოიგო,მე წავაგეო.*
- *ბიზანტიის დაცემის ხმა,ხევსურის ბებერმა გაიგონაო.*
- *თავრიზის ცხენმა თავრიზს გაქუსლაო.*
- *მტერის ბელადსა სახლის კურდღელის შიში აქვსო.*
- *კოსმოსმა თქვა:მიწის გაყოფა ვინ მოიფიქრაო.*
- *შავმა თქვა:ლაქა მომაშორეთ,თეთრი ვარო.*
- *შიშმა თქვა:გულადი კაბის ქვეშ მმალავს,ლაჩარს გამოაქვსო*
- *მდიდარი სამოთხის ბილეთს ბაზარში დაეძებდაო.*
- *კაცს ერთი სანთელი დაუნთია,იმის იმედით მომკვდარაო.*
- *კაცი სანთელსა ეძებდა,გული ტაძრის გასაღებსაო.*
- *კაცი ცხონებას ითხოვდა,გული სამოთხეს იგლოვდაო.*
- *კაცს კაცი მიასვენებდა,ცოდვა-მადლი მიაცილებდაო.*
- *ღობეს მესერი აკლია,ხელსა სანთელი ანთიაო.*
- *კიბეს გზა ორია:ასვლა და ჩასვლა.*
- *კიბეს ავარდნა ძნელია,ჩავარდნა ბევრია.*
- *მაღალ მთას ძველი კოშკია,დასცქერის ბარსა,შოკშია.*
- *ენძელამ თქვა:მოვასწარი, გავასწარიო.*
- *ძველი ამბავი ძველია,ახლად მოყოლა ძნელია.*
- *ძმების ამბავი ძველია,გაყოფა ისევ ძნელია.*
- *ჭაღარა გამომერია,მოღალატეთა ჯერია.*
- *თმასა ჭაღარა ფერია,მოყვარე თურმე მტერია.*
- *ქრება ენთება სანთელი,გამოაჩინა სათქმელი.*
- *კაცი მოვიდა წავიდა,ქვა დარჩა,იწყებს თავიდან.*
- *მოსვლა ვინატრე კაცისა,მოვიდა, სხვასთან წავიდა.*
- *ქალმა თქვა მოვალ,მოვალო,გზას ავცდი,სხვასთან მივალო.*
- *მოძმეს ვეძებდი ხევებსა,მოვიდა,მოჰყვა მტერებსა.*
- *ძველმა კაცმა თქვა:მოკეთე ბევრი ვარჩიე,ვერავინ გამოვარჩიეო.*

- *კაცმა თქვა:სუფრა გავშალე კაცითა,დავშალე ეზოს ძაღლითა.*
- *ღვინომ თქვა:უმადურის ენამ წამახდინაო.*
- *ღვინომ თქვა:კაცმა დამლოცა,კაცუნა მლანძღავდაო.*

*კარი:VII*

**-1-**

- *ბერწმა თესლი ქილას შეინახაო.*
- *ბერწმა მიწამ ქვა შეიყვარაო.*
- *მკვდარი მკვდარს შესჩიოდა,ჭირისუფალს ვეძებო.*
- *მკვდარმა თქვა:კაცი მტერი მეგონა ჭირისუფალი ყოფილაო.*
- *მომაკვდავმა მომაკვდავს შეუთვალა:გზა ერთი გვქონიაო.*
- *კაცსა კაცის გასაჭირი სიკვდილმა ამცნოო.*
- *კაცი კვდებოდა ღობის მესერს დარდობდაო.*
- *მომაკვდავმა მომაკვდავს შეუთვალა:ნუ დაიკარგებიო.*
- *ცამ თქვა:მთა გაზრდილა,კაცამდე ბევრი აკლიაო.*
- *ცამ მთას შეუთვალა:თავი მაღლა აგიწევიაო.*
- *ცამ მთა გაკიცხა:თოვლი გამოგიგზავნე,ხმამაღლა გითქვიაო.*
- *მონღოლმა მოსკოვი დაწყევლა,გაჩაჩხული გამყოფაო.*
- *მონღოლმა ხორცი დათესა,მოსკოვმა სისხლი მოიმკაო.*
- *ბიზანტიამ მიიძინა,მოსკოვმა დრო იხელთაო.*
- *მონღოლმა კიევი დარგო,მოსკოვი გაიზარდაო.*
- *მოსკოვის ცრემლი მოსკოვია,მოსკოვის თვალი მონღოლია.*
- *ლეკმა თქვა:ჩერქეზი შევიპყარ,უბიხი გავკოჭე,ოსმა მიმასწროო.*
- *ლეკმა თქვა:თარეშმა დამღალა,ბარემ დავესახლებიო.*
- *ლეკმა თქვა:ერეკლე ლეკი ყოფილა,ჩემი სოფელი დაურბევიაო.*
- *კარმა თქვა:არ გავჩერებულვარ,კედელს ვერ გავცდიო.*
- *კარისკაცმა კარს უთხრა:მე გავჩერდები შენ მატარეო.*
- *კარმა თქვა:გზა ამერია,წრეს ვეღარ ვხედავო.*
- *კარმა თქვა:თავბრუ დამესხაო.*
- *შორმა შორს შეუთვალა,მომშორდიო.*
- *მორბენალმა დაიჩემა:მდევარის ხურგს ვხედავდიო.*
- *კაცმა თქვა:შიშმა რბოლას მიმაჩვიაო.*
- *კურდღელი იყო რბოლასა,უკან მისდევდა მწევარსა.*
- *ძაღლმა დაიყეფა:გარეთ ცივა,თოვლი მოვიდაო.*
- *კაცი ბერდებოდა,თვალი შტერდებოდაო.*

- *კაცი მიდიოდა,წილი მისდევდაო.*
- *მომაკვდავის წილს მომაკვდავი დახარბდაო.*
- *ძმებმა ძმა მოკლეს,მაინც ვერ გაიყვესო.*
- *დამ თქვა:ძმების დავამ,მოწილედ მაქციაო.*
- *ფულმა თქვა:ძუნწმა დამთვალა,ხარბმა ამწონაო.*
- *ხარბის ქონება ქამარს ვერ მოირგებსო.*
- *კაცმა თქვა:პატარა გავზარდე,დიდი დავკარგეო.*
- *კაცმა თქვა:ქრთამი მივეცი,ცოდვა მომცაო.*
- *კაცმა ორი სიტყვა გამართა,სიტყვის კონა დაარქვაო.*
- *სიტყვის კონამ კონა დააკნინაო.*
- *მეწისქვილემ თქვა:ბრძენი ვარო.ვერავინ მეკამათაო.*
- *მეწისქვილემ თქვა:ზვარი მომძებნისო.*
- *მშიერი კაცი საშიშია,მაძღარი საშინელიო.*
- *მშიერი ვეძებდი,დავნაყრდი მეძებენო.*
- *კაცი შიგნიდან ბნელია,კაბის ქვეშ საშინელია.*
- *კაცმა თქვა:მოსვლამ დამღალა,წასვლამ დამშალაო.*
- *კაცი წრეზე დადიოდა,სიცოცხლის დრო გადიოდა.*

**-2-**

- *ნესვი მიგორავდა,გოგრა აპირებდაო.*
- *კანონმა თქვა:კაცი დამნაშავედ ვაქციეო.*
- *კანონი ზოგისთვის სარჩოა,ზოგისთვის სახრჩობელა.*
- *მადლმა თქვა:გარეცხილი ცოდვა ვარო.*
- *მადლმა თქვა:ცოდვა ძველი მეგობარი მყავსო.*
- *ცოდვა მადლმა შეიფარაო.*
- *ცოდვამ თქვა:მადლს ვასწრებო.*
- *ცოდვის სახლის კედელი კაცმა მადლის სახელით ააგოო.*
- *ცოდვა მირბოდა,მადლი მისდევდაო.*
- *ცოდვის შვილი კაცის შვილიშვილიაო.*
- *ცოდვამ თქვა:ვინც განმიკითხა ვერ მომიშორაო.*
- *ცოდვის ტაძარი მადლის ლახვარი.*

- *ცოდნა ცოდვის მიგნება ყოფილა,მადლი მის გარეცხვას ჰქვიაო.*
- *ტალღას ტალღამ მოაკითხაო.*
- *ტალღამ ტალღა ნაპირთან დაიბარაო.*
- *ტალღა ბოლთას სცემს,ნაპირს ვერ გასცდაო.*
- *მთვარე მზეს ბნელმა დაამდურაო.*
- *წრეზე მორბენალი მეორეს ეკითხება:წინ რომელი ვართო.*
- *თურმე მზეს და მთვარეს ფინიშის ხაზი მოპარესო.*
- *წვიმამ თქვა:თუ მზეს ვძულვარ,რატომ მოვყავარო.*
- *წყალმა მარილი დამალა,მარილმა წყალი შეიფარაო.*
- *კაცმა თქვა:ქალს მივსდევ გამირბის,მივრბივარ მომსდევსო.*
- *კაცმა თქვა:მამა შვილმა დამარქვაო.*
- *ჯიხვი ქარაფზე დახტოდა,მგელი ხრამის ძირს ელოდა.*
- *მეძავმა მეძავის დედა მოიკითხაო.*
- *ცხენმა ძუა დაივარცხნა,თურმე ქალი თმით იპრანჭებაო.*
- *ცხენმა თქვა:ქალს ძუა მივეცი ქალად ვაქციეო.*
- *წამს წუთი დაწევია.წუთი საათს შეუპყრიაო.*
- *მოკლულმა მკვლელი ჯოჯოხეთში მიაგნოო.*
- *კაცი მირბოდა,განსაცდელი მისდევდაო.*
- *ფინიამ თქვა:დიდი ძაღლი მოკვდა,მე შიშმა გადამარჩინაო.*
- *ძაღლი მოკლეს,ნაკბენი ვერ მოიშორესო.*
- *ძაღლმა მეზობლის ძაღლი მგელს მიუყვანაო.*
- *ძაღლმა პატრონი გაკიცხა:ან გამიშვი ან დამაბიო.*
- *კაცმა ძაღლი დააბა:ახლა ღრმად დავიძინებო.*
- *ძაღლმა პატრონი გაკიცხა:თოფი მომეცი,ანდა ხმა გაიგონეო.*
- *კაცმა თოფი იყიდა,კარი ღია დატოვაო.*
- *ღია კარმა ქურდი აცდუნაო.*
- *კაცმა კაცი გაკიცხა:საბანი მოკლე გქონიაო.*
- *ძაღლმა თქვა:ღამე დამაბეს დილას გამიშვესო.*
- *მგელმა ცხვარი მოიპარა.თქვა:ნაგაზის ვალი ავიღეო.*
- *ანგელოზმა ანგელოზის კაბას ლაქა იპოვაო.*

*კარი:VIII*

**-1-**

- *კაცმა თქვა:ტანი მამძიმებს,თავი მამცირებს,ანგელოზი ვარო.*
- *ძველმა ანგელოზმა ახალი ანგელოზის კაბა დაიწუნაო.*
- *ანგელოზმა თქვა:რეგვენის დევნამ ფრთები მატკინაო.*
- *ანგელოზმა თქვა:კაცი ცოდვის სიმძიმემ გააჩერაო.*
- *ქორმა ქათამი წაიღო,ძაღლმა ამბავი გაიგო.*
- *მელა საქათმეს ერჩოდა,ნაგაზის ხვრინვა ესმოდა.*
- *მომძულდა კაცი, ქალია,ცხოვრება მათი ბრალია.*
- *დილას ქალი მისდევს,საღამოს ქალი მოათრევს.*
- *მამალს ქათამი კაკანმა შეაძულაო.*
- *ქათამმა იმდენი ჩხრიკა,ზაქი ჩავარდაო.*
- *კაცსა თმა ცვიოდა,ქალის თმას ჩიოდაო.*
- *მგელმა ლომის ბოკვერი დაიცვაო.*
- *კაცი მოკვდა,მოკეთე დაიმალა,სახლი დაიცალაო.*
- *კაცის სიკვდილი ეშმაკმა იგლოვაო.*
- *კაცი ეშმაკთან ზის,ქალი სუფრასა შლის.*
- *კაცმა ეშმაკი იპოვა,ქალმა ქონება იშოვა.*
- *მოსვლამდე ეშმაკი მომსდევდა,ახლა ეშმაკი მაცილებსო.*
- *პირველმა თქვა,ბოლო რა იქნებაო.*
- *პირველმა სარკე იპოვა,თქვა:ბოლოს ნუღა მაჩვენებთო.*
- *პირველის გონებას დასცინოდნენ,ბოლოსას დასტიროდნენო.*
- *პირველმა ქალი ითხოვა,ბოლომ დაცვა ითხოვაო.*
- *ხალხს ბრძენისა შურს,რეგვენი გულით სურს.*
- *ბრძენმა რჩეული ნახა,ხალხი დაიტირაო.*
- *ხალხი ბრძენს გაიმეტებს,რეგვენს დაიბედებსო.*
- *რეგვენმა ხალხი აცდუნა,ეშმაკი რაღას იზამდაო.*
- *რეგვენი ქალაქის თავი,ძღვენი ქალაქის კარი.*
- *ბრძენმა თქვა:ქალაქმა რეგვენი არჩია,თავი დაკარგაო.*
- *ბრძენმა თქვა:ქალაქის კარი მაჩვენეთ,ქალაქის თავს გაჩვენებთო.*
- *ქალაქმა ბრძენი მოკლა:რეგვენმა ერი მიაყოლაო.*

- *ბრძენი გარბოდა:ეს ხალხი რეგვენის ღირსიაო.*
- *ბრძენმა ქალაქი გაზომა:ხალხის წონას გავიგებო.*
- *დილას ილოცე,ღმერთმა რეგვენი გარიდოსო.*
- *რეგვენმა თქვა:ამდენ რეგვენს თავი უნდაო.*
- *რეგვენის კარისკაცი რეგვენი იქნებაო.*
- *კარისკაცმა კარი მოიძულა,ამდენმა ფიქრმა დამღალაო.*
- *ქალაქს რეგვენი მართავდა,ქალაქი თავსა ბაძავდა.*
- *რეგვენი ქალაქი ბრძენს დასცინოდაო.*
- *კაცმა თქვა:რეგვენი ვარჩიე,ახლა ვეჩვევიო.*
- *ბრძენი ადიოდა,რეგვენი ჩადიოდა.*
- *ბრძენმა კარი მიხურა,რეგვენი პირღია დარჩაო.*
- *ქალაქმა ვაცი ასწია,ვაცმა კენწერო არჩია.*
- *ყოჩმა თქვა:ვაცის კიკინზე ვერ ვიცეკვებო.*
- *ვაცმა ყოჩი მოიძულა:ფარა ამირიაო.*
- *ყოჩი კლდის ძირსა გაჩერდა:აქ დაგელოდებითო.*
- *ვაცმა მოზვერი ნახა:თქვა კაცი მარტო დარჩენილაო.*
- *ვაცი ჯიხვმა მოისროლა:ჩარბენა ისწავლეო.*

**-2-**

- *ფარა ქარაფსა სცვიოდა,ვაცი მომყევით ყვიროდა.*
- *ვაცის დამჯერი ცხვარიაო.*
- *ფარა ყოჩს ვერ გამოარჩევს,ყოჩი თვითონ არჩევს ფარასა.*
- *ფარასა ყოფნა ძნელია,ყოჩის არჩევა ძნელია.*
- *ფარა ვაცს და ყოჩს ვერ არჩევს,გზას როგორ აირჩევსო.*
- *მგელმა დაგლიჯა ცხვარია,შიშითა ათი მკვდარია.*
- *დათვმა ცხვარი წაიღო,მგელმა გაირეკაო.*
- *ძვალმა თქვა:ძაღლის ცოდვა მომკლავსო.*
- *ღარიბმა ქილა იშოვა,თქვა:სიმდიდრეს უნდა მივეჩვიოო.*
- *ღარიბმა ქილა იპოვა,გახსნამა გადაიყოლა.*
- *ოქროს მაძებარი ნაღმმა იპოვაო.*
- *ბრძენმა ნაღმი გააკეთა,რეგვენმა ააფეთქაო.*

- *მეთაურმა თქვა:ნაღმის მპოვნელი დასაჩუქრდებაო.*
- *ნაღმი მპოვნელმა გადაათრიოსო.*
- *რეგვენი ბრძენს დასცინოდა:წონა მეტი მაქვსო.*
- *შინ ეკალია,გარეთ მეტანია.*
- *ბევრზე-ბევრი კაცმა მცირედ აქციაო.*
- *კბილმა თქვა:ენამ დამაჭირაო.*
- *კაცმა მტერი დასძლია,ორმოს თხრა ვერ მოიშალაო.*
- *ორი და ოცი კაცმა ორმოცად აქციაო.*
- *შუამ თქვა გვერდები მაწუხებსო.*
- *კევრმა თქვა:კალო გავლეწე,კაცი სიტყვას ღეჭავსო.*
- *კაცმა ენკენის თვეს პურის თესვა მოისურვაო.*
- *ძაღლმა ძვალი გადააგდო,თქვა:გემო დაკარგაო.*
- *კაცმა ქართული ისწავლა,ქართველი შეიძულაო.*
- *ბეკეკას ეგონა:კაცი არ გამწირავსო.*
- *კაცი ენას ჯოხით იფხანდაო.*
- *კაცმა სიკეთის სასწორი იშოვაო.*
- *კაცი ზამთარმა გაკიცხა:მოვედი გეწყინა,გავედი გეტკინაო.*
- *კაცი სიკვდილსა გაურიგდა:არ მიმტრო,გნებდებიო.*
- *მოსეს უდაბნო ხალხის სამრეცხაო ეგონაო.*
- *მოსემ თქვა:ორმოცი წელი ფეხი ვერ დავიბანე,კაცის განწმენდას ვინ დაიჯერებსო.*
- *ძმამ ძმას სახლი გაუყიდა:ორი ჰქონიაო.*
- *მოსემ თქვა:ორმოცი უდაბნოს წელი ოთხმოცის ტოლიაო.*
- *ოფოფმა მეფობა დაიჩემაო.*
- *სომეხმა სომეხი შეიძულა.ჩემზე ადრე გაქართველდაო.*
- *ელინმა თქვა:ზანის მოსაკითხად მოვედი.ისე დამხვდა წასვლა აღარ მინდაო.*
- *ხეთმა ზანს უთხრა:აქამდე მომიყვანე,ახლა გამიყვანეო.*
- *ბერძენმა თქვა:ზანთა ზეგანი მომწყინდა,თაბორის მთა მომინ-დაო.*

- *ელინმა არმენი გააფრთხილა:ქართველის გასაგონად გაგკიცხავო.*
- *ბერძენმა სომეხი გაკიცხა:ძმა გითქვია,ბიძაშვილი ვარო.*
- *ძველი ელინი ძველმა სომეხმა გაკიცხა:მოსვლა დამიმალეო.*

*კარი:IX*

**-1-**

- *სომეხმა ქართველი მოიძულა:,ძველი დამიმალაო.*
- *სომეხმა თქვა:მაშტოცის ხელი იბერის ხელზე გრძელია.*
- *სომეხმა თქვა:ქართველს ვერ ვენდობი,კაცი მეგონა კა და ცი ყოფილაო.*
- *ძერამ წიწილა წაიღო,თქვა:ეს დღე დაკარგულიაო.*
- *ჭოტმა ბუს უთხრა:ბუ-ჭოტი მოძველდა ჭოტი-ბუ ვთქვათო.*
- *ჭოტმა ბუ მოიძულა:კაცმა წინ დაგაყენაო.*
- *თახვმა თქვა:(ხ)არმა თაგვად მაქციაო.*
- *კაცმა მოინდომა,ზაქმა მოისვენა.*
- *კაცმა კაცი შეიწყალა,უფალმა მიუტევაო.*
- *მონას ეშინოდა:პატრონს ვკარგავო.*
- *კაცმა განიზრახა,ქალმა განიკითხაო.*
- *პირმა თქვა:სათქმელი ვთქვი,ხელი დავიბანეო.*
- *ძმებმა იჩხუბეს,დებმა წაიღესო.*
- *მოზვერის სიტყვა მოზვერმა დაიჯერაო.*
- *მოვედი უფლის ნებითა,გავდივარ თქვენი ხელითა.*
- *სახარებასა სწერია:ქალსა ეშმაკის ხელია.*
- *სახარებასა სწერია:კაცისა სული ბნელია.*
- *ბნელმა სიბნელე იპოვა,სინათლემ გამოიგლოვა.*
- *სამჯერ უფალი ვახსენე,ასჯერ ცოდვანი ვაჩვენე.*
- *მორკინალმა მორკინალი წააქცია.თქვა:უფლის ხელიაო.*
- *შავი ქათამი კაკანებდა:შავი კვერცხი არ გამომდისო.*
- *ხეპრეს ეგონა:ქვეყანას ჩემი იმედი აქვსო.*
- *ქალსა მთვარის ჩრდილი უფლის ნიშანი ეგონაო.*
- *სახარებასა სწერია:შენი თქმა შენი მტერია.*
- *კაცს მოჩვენება აწუხებდა,ზეციურ ხილვას არქმევდაო.*
- *დილას თვალი აეხილა,ქვეყანას მოსდო.საღამომდე დაეხურაო.*
- *მორწმუნეს თავი ზეკაცი ეგონაო.*
- *ენძელამ ვარდი დაიწუნა.ვარდმა თქვა:როდის მიხილაო.*

- შარაგზა შარახვეტიას სადგომიაო.
- კაცმა შარი შარაგზას იპოვაო.
- კაცმა თქვა ქარაფშუტა ქენქერა მეგონა,ქარახვეტია ყოფილაო.
- შაოსანმა შაოსანი შეიძულა,შენი ძაძა შავიაო.
- შურმა შური მოიტანა,შავმა კაცი გააშავაო.
- კაცი გონებას ძაბავდა,გონება ძაფსა ართავდა.
- ცოლმა მომიტანა,მერე გამატანაო.
- კაცი ქალს ეჩხუბა,კაცს ეკამათაო.
- კაცმა კაცი შეიძულა,თქვა:ქონება დიდი ჰქონიაო.
- შავი ქათამი ზის,თეთრი კამარას შლის.
- კაცმა თქვა:წყალს  გადავეკიდე,ხავსს ვენდეო.
- კაცი მდინარეს მიჰქონდა,კაცი მეგზურსა ითხოვდა.
- ბეკეკამ თქვა,ქარმა თმა ამიშალაო.
- კავკასიონი ცერია,ნეკსა ზეგანი სჭერია.
- კავია კავკასიონი,ზაქი ზარია სიონის.
- ბეჩი ზანების შტერია,ჩიბე ოსების ბრძენია.
- ბესლანი ზაქის ხელია,სოსლანი ზაქის მტერია.
- ხელმა ისწავლა ხელობა,გულსა მოუნდა ქველობა.

## 2

- კატამ თქვა:კაცმა გადამირბინაო.
- ძაღლი კატასა მისდევდა,კაცი საქმესა იხევდა.
- თაგვმა თაგვი დაწყევლა:კატამ გადაგირბინოსო.
- კაცმა საქმე იშოვა,გაძღოლა ვერ ისწავლაო.
- კაცმა დაიჩივლა:ხელმა საქმე დამაკარგვინაო.
- უპირო კაცის საქმე,უფერული ყოფილაო.
- კაცმა ნდობა დაკარგა,ძებნას გადაყვაო.
- კაცისა საქმე ბევრია,საქმესა ერთი ხელია.
- საქმემ თქვა:უსაქმურმა მოისაქმაო.
- კაცმა თქვა:ხელი შევიყვარე,საქმემ შემიყვარაო.
- საქმე უსაქმურს ემალებოდაო.

- *საქმესა ხელის გულია,კაცის მორევა რთულია.*
- *საქმემ თქვა:უსაქმურის ტყვე ვარ,გულიანისა მზე ვარო.*
- *საქმემ თქვა:კაცის გამოცდა მიყვარსო.*
- *შაბათმა თქვა:ადგილის გამოცვლა მინდა,ლოდინმა დამღალაო.*
- *უქნარა მიდიოდა,ბარაქა მოდიოდაო.*
- *ბუმ თქვა:მომავალ ბუს ნიშანს დავუტოვებო.*
- *არწივი მომკვდარა:კურდღელი მომსპარა.*
- *არწივმა თქვა:ცოცხალი კურდღელი არ მიგემიაო.*
- *ქალი კოშკსა ზის,მთასა სურვილი ქრის.*
- *ელასაო მელასაო,მოვრჩი ქალის რჩენასაო.*
- *კაცი კაცის წამალია,ქალი კაცის საბანიო.*
- *ბებერმა თქვა:ენას ვეღარ ვერევიო.*
- *ცხვარი გაცხარდა,ძაღლი გამწარდა.*
- *მოგონება მომეძალა,თურმე ხელი მომეცარა.*
- *დნება, იღვრება სანთელი,თანდათან ქრება ნათელი.*
- *ტაძარს დავანთე სანთელი,ვუამბე გულის სათქმელი.*
- *ამეშალა ნერვები,გამოვცალე ქვევრები.*
- *მომძულდა ცუდი,აუგი,სიყვარულს ძაფი გავუბი.*
- *სადაც სიკეთეს ვთესავდი,მერე ხრიოკსა ვხედავდი.*
- *ნაკლი მქონია კაცისა,ბედმა ქალობა მაღირსა.*
- *ვიყავი დევი,გოროზი,დამრჩა ზრახვანი ბოროტი.*
- *სადაც ვიმარჯვე,დავძლია,ადგილი მტერად ვაქციე.*
- *ძალიანს მერქვა მართალი,უძლურსა მიმაქვს ამბავი.*
- *ძღვენმა გამიხსნა კარები,ციხესა დავიარები.*
- *ვეძებდი კაცსა მართალსა,დავეძებ კაცის ნათქვამსა.*
- *სანამ მოყვარე ვიპოვე,სუყველა გამოვიგლოვე.*
- *დავძლიე შიში სიკვდილის,ვხედავ სიცოცხლე წინ მიდის.*
- *გავიგე კაცის ზრახვანი,ძირს მოვადინე ბრაგვანი.*
- *სანამ ტაძარი აიგო,კაცი სიკვდილმა წაიღო.*
- *ტაძარს სანთელი ანთია,გარეთ ცოდვილი ხალხია.*
- *მინდოდა მეთქვა სათქმელი,თქმასა ვარჩიე სანთელი.*

*კარი:X*

**-1-**

- *სანამ შემეძლო ვიცავდი,მერე გაკიცხვას ვიტანდი.*
- *მომძულდა ძველი იგავი,თურმე რაცა ხარ, იყავი.*
- *მორჩა წავიდა,არ არი,ვერ მოუსწრია მთავარი.*
- *კაცი სიკვდილმა წაიღო,მოყვარემ მტრისგან გაიგო.*
- *მტერ-მოყვარესა ვარჩევდი,სიმართლის სადგურს გავჩერდი.*
- *მტერი,მოყვარე კაცია,სიხარბემ გამოარჩია.*
- *მოძველდა კაცის იგავი,დალპა სამარის ფიცარი.*
- *მგზავრმა მეგზური ვიპოვე,გამომყვა, ვერ მოვიშორე.*
- *ვისაც ვენდობი მენდობა,მადლობა გარემოებას.*
- *მოვედი, დავდგი კარავი,მომიყვანია მპარავი.*
- *კაცი ქალისა მორჩილი,ქალი კაცისა ბორკილი.*
- *კაცმა თქვა:ქალი შევირთე,ბუხარსა კვარი შევინთე.*
- *მოძღვარი მოძღვარს მოძღვრავდა,მოწაფე მონას როზგავდა.*
- *კაცისა საქმე ძნელია,საქმესა ბევრი ბნელია.*
- *კაცმა კაცობა დაიცვა,ქალი მამასთან გაიქცა.*
- *მართალი გზასა არჩევდა,მდევარი უკან დასდევდა.*
- *ცოდვა და მადლი გზაშია,კაცმა მეზობლად აქცია.*
- *კაცმა დაკარგა გონია,თურმე მიზეზი ჰქონია.*
- *ტვირთი გზას ააგებს,აქლემის ქარავანსა მოიყვანსო.*
- *ბნელსა ვინა თქვა ნათელი,სულსა ვერ აგნებს სანთელი.*
- *მითხრეს უზრახე მოყვარეს,მივალ,მითხრიან სამარეს.*
- *კაცმა მარცხენა მოიკვეთა,მარჯვენა აცდუნაო.*
- *მოყვარემ მოყვრის ქონება დაიტირა,მტერმა შეირჩინაო.*
- *მოყვარე სახლის გასაღებია.ციხე მოყვარის გატეხილია.*
- *აქებენ კაცის ქველობას,ხოტბას ასხამენ ქონებას.*
- *კაცსა უმტყუნებს გონება,ქონებას დაემონება.*
- *მეზობლად სახლი ჰქონია,თურმე მოყვარე მყოლია.*
- *სიმართლე მხოლოდ ერთია,იმის სათქმელად ღმერთია.*
- *თქმა სიმართლისა ძნელია,დაფარვა გულის მტერია.*

- მთისა ღირსება ის არი,ბარსა არ მივა ხიზანი.
- ვისაც უსვრია ისარი,მას დაუკოდავს მიზანი.
- მთას ჰკითხა მთასა მისულმა,დაგიდგამს დიდი სახლიო,
  მოკეთე ვერ ამოსულა,დიდი გქონია ნაკლიო.
- მთამან თქვა:თა ვარ მოდგმითა,ასე მიცნობდა ხალხიო,
  შორითა ვხედავ მოკეთეს,მოშურნეს ხურავს თალხიო.
- მოკეთეს მოსვლა ვინატრე,მტერმა გამიღო კარიო.
- კაცმა თქვა:ქალმა გამცვალა,არ დამელია დარდიო,
  მოვიდა სახლი წამართვა,წავიდა მიაქვს მადლიო.
- სვავმა თქვა ბევრი მინახავს,ლეშისა ვიცნობ გემოსა,
  ზაქი მოკვდება ვტირივარ,მტერმა არ მოილხინოსა.
- დათვის დაკოდილმა ბელს აზღვევინაო.
- ბეკეკას ზაქი დათვი ჰგონიაო.
- ძაღლმა თქვა ავი სიზმარი,მესიზმრა მგელთან ვიყავი.
- ენკი და ბენკი გითხარი,თურმე მძინარე იყავი.
- კაცი ზის გზასა გასცქერის,გზა მომავალი ჰგონია,
  თურმე წასვლის გზა ყოფილა,თურმე წასვლის დრო ჰქონია.
- კაცი გზასა დგას მკვდარია,ნაბიჯს გადადგამს მგზავრია.
- კაცმა თქვა ქალის მდევარმა,ახლა მაჯობის მწევარმა.
- დაღამებამდე კაცია,ეზოს შემოვა ვაცია.
- ქალმა თქვა კაცის დარდია,მყავდეს ეზოსა ძაღლია.
- კაცმა თქვა მგზავრად ვიქეცი,გადამავიწყდა სახლია,
  ქალი სხვა კაცთან წასულა, მეზობლად ჩემი ძაღლია.

**-2-**

- მოვკალი ქურდის იმედი,საღამოს სახლსა მივედი.
- მთიდან ჩამოვა მდინარე,დახვდება ხალხი მძინარე.
- დრო მიდის არა ჩერდება,გზას მიმავალი ბერდება.
- ამა სოფლისა სტუმარი,მოსულა მიდის მდუმარი.
- დასაბამიდან ასეა,სოფელი კაცის მახეა.
- სიცოცხლე სოფლის თავია,სოფლის ბოლოსა შავია.

- *კაცმა თქვა დროზე მოვსულვარ,გზას მომავალი ბევრია,*
  *მოსვლა ვერავინ გაიგო,წავიდე რა დამრჩენია?.*
- *დათვმა თქვა ზაქი გამოჩნდა,მოსულა ძველი მტერია,*
  *დღისითა სძინავს ვჩუმდები,საღამოს გასვლა ძნელია.*
- *ზაქმა თქვა დათვი მოსულა,სახლი ჰქონია ტყესაო,*
  *მოვძებნი სახლსა დავუქცევ,დაწყევლის მოსვლის დღესაო.*
- *ცამეტი თარსი რიცხვია,თურმე უთქვია "ბრძენსაო",*
  *ცა-მეტი კაცსა უქია,ღამემდე ვხედავ მზესაო.*
- *მოვკალი შურის მთესველი,მოვიმკე შურის მძებნელი.*
- *შურმა თქვა კაცი ვიციო,კაცისა ზნესა გეტყვიო,*
  *კაცისა დარდი მცირეა,შურითა ხდება მეტიო.*
- *სანამ ქალია სახლსაო,ჯაჭვი გექნება ტანსაო.*
- *კაცმა ისმინა კაცისა,დღემდე მდუმარე დადისა.*
- *შენი სახელი იქნება,ღვაწლსა ნუ მოშლის დინება.*
- *მეგონა კაცი ზღაპარი,თურმე კაცია ვაჭარი.*
- *ამბავი მითხრეს კაცისა,ვნახე დახლია ვაჭრისა.*
- *მითხრეს კაცია მაგარი,დახლია,კაცი სად არი?*
- *ვაჭრისა ფასი დახლია,დახლისა ფასი სახლია.*
- *კაცმა ვაჭრობა არჩია,კაცობა მიდის, გზაშია.*
- *ძღვენი დიდია ზაქისა,ქერი ფასია საქმისა.*
- *მოძღვარი ამას მირჩევდა:ფასი იქნება შენიო,*
  *დღესა სათქმელი გადადე,საქმენი დღესა ჰქენიო.*
- *შიშველმა კაბა ჩაიცვა,კაბამ შიშველი დაიცვა.*
- *თამადა ღვინოს მასმევდა,ღვინო კაბასა მართმევდა.*
- *მოთამაშეთა ჯარია,მხედარი ომსა მკვდარია.*
- *ცრუ და რეგვენი თავია,სიცრუის ნიაღვარია.*
- *ხელმა თქვა:დასანანია,ამდენი დასაბანია.*
- *ტყვიამ იპოვა მიზანი,მიზანმა ჰპოვა ფიცარი.*
- *გზას დაცემულა სიკეთე,აწი რას გამოიმეტებს?*
- *კაცი მოწილე ვიპოვე,საქმესა ვერ დავიყოლე.*
- *საქმე მივანდე მოწილეს,კარი გავუღე მოცილეს.*

- *კაცის მოწილე კვდებოდა,ათი მემკვიდრე რჩებოდა.*
- *საქმესა შიგან გაყოფა,მუდამ გექნება სამყოფად.*
- *ძველი კაცისა თქმულია,საწილო დაკარგულია.*
- *მოკეთეს ცოტა მიეცი,ბევრი შეხვდება მტერსაო,*
  *მოკეთე შენთან დარჩება,მტერი წაგივა შორსაო.*
- *გრიყვმა თქვა:ცამეტი თარსია,გაყოფამ მტერად მაქციაო.*
- *სიბერეს ბევრი ელოდა,გზასა სიკვდილი ბნელოდა.*
- *კაცსა სიბერე ეღირსა,მომდურავია ბედისა.*
- *სიბერე უფლის ძღვენია,მადლიერება შენია.*
- *კაცმა თქვა:სიბერე კაბის გარეცხვის ხანა ყოფილაო.*
- *რეგვენს ახალგაზრდობა ძღვენი,სიბერე სასჯელი ეგონაო.*
- *კაცისა გაზრდა ძნელია,კისერი ღონიერია.*
  *ხე დაბერდება კაპრაში, მისი მოდრეკა ძნელია.*

*კარი:XI*

**-1-**

- *სიკვდილი მოვა უცილოდ,სიცოცხლე არ მოიცილო.*
- *ანთებენ-ქრება სანთელი,სინათლეს მოგცემს სარკმელი.*
- *ქარი ქრის,ქარი ზუზუნებს,დაბლა ხევს,მაღლა მთასაო,*
  *რეგვენი მუდამ წუწუნებს,გარჯა უხდება ხარსაო.*
- *მოსვლამდე კაცი წასულა,ვერ დატოვებდა კვალსაო.*
- *ძმის სახლსა მამა დარჩება,მალე სტუმარი გახდება.*
- *კაცმა იღვაწა,აშენა,შვილი ამადლის დარჩენას.*
- *თურმე რეგვენსა უთქვია,გაზარდე ვითა მტერიო,*
  *მტერისა გაზრდა ვინა თქვა?,სახლსა აკლია კველიო.*
- *ძუნწსა სანთლის ხარჯი,სიბნელეს მიაჩვევსო.*
- *რეგვენსა ოქრო ჰქონია,ქისა სიმდიდრე ჰგონია.*
- *რეგვენმა ოქრო იპოვა,დიდ რეგვენად იქცაო.*
- *რეგვენი ბევრსა იპოვის,ბევრსა მოიხმარს ბრძენია.*
- *ვისაც მივეცი მტერია,დავზოგე,დარჩა,ჩემია.*
- *მოსვლამდე ერქვა ჩემია,წავიდა გახდა მტერია.*
- *მოყვარეს პირში უზრახე,რეგვენსა სიბრძნე ჰგონია,*
  *მოყვარედ ბრძენი არჩიე,საზრახი არა ჰქონია.*
- *მოყვარე გყავდეს შენია,მტერი მკვდარიცა მტერია.*
- *ცბიერი მტერი გასწავლის,ძლიერი მოგცემს ზღუდესა,*
  *შენი რეგვენი დაგამცრობს,გაგიყვანს გზასა მრუდესა.*
- *მოძველდა ძველი იგავი,მოდი, ახალი მითხარი.*
- *ღვინოს სიძველე ამკობდა,კაცი ჭურებსა ამხობდა.*
- *ღვინომ თქვა კაცი იზრდება,გაზრდილი კაცი ბრძენია,*
  *რეგვენი მაჭარს მიირთმევს,ძველი ღვინისა მტერია.*
- *ჭურმა თქვა კაცმა დამტოვა,თურმე გაუყვა მოდასა,*
  *თეთრი სასმელი არჩია,მალე დაიწყებს ბოდვასა.*
- *ბარტყი ბუდესა ბარტყია,მუდამ ალერსი არტყია.*
- *ფიქრმა მაჩუქა დუმილი,დუმილმა ფიქრის სურვილი.*
- *მოვედი,მომყვა ცდუნება,მივდივარ,მინდა კურნება.*

- *მძარცველმა კაბა წამართვა,ნამუსი მე დამიტოვა,*
  *სიხარბემ კაბა მომართვა,კაცობა ვერსად იპოვა.*
- *ბრძენმა თქვა:სავსე სტომაქი, კაცისა ზომას გაზრდისო,*
  *სტომაქი ღორის სჯობია, შესდის და მალე გასდისო.*
- *ყველაფერს ფასი აქვს,ფასის გარეშე ხრიკიაო.*
- *წყალობის მოლოდინი,მორჩილების საზომიაო.*
- *მეფე ურჩსა წყალობით მოდრიკავსო.*
- *მოწყალე მეფეს ბევრი მორჩილი ჰყავსო.*
- *მოწყალე მეფე მხედრობას დაკარგავსო.*
- *მოწყალება ყველაზე დიდი ცდუნება ყოფილაო.*
- *ვეძებდი კაცთა გულებსა,მივათრევ ზაქის უღელსა.*
- *ბრძენმა იფიქრა,დაწერა,საგანძურს იცავს ქარაგმა,*
  *მოდგმა რეგვენი გამოდგა,კვალი დაკარგა,ალაგმა.*
- *რეგვენი მოძღვარს ემდუროდაო.*
- *კაცმა სანთელი წაიღო,ტაძარი დააბნელაო.*
- *ჩამქრალი სანთელი ტაძარს ვერ გაანათებსო.*
- *მოღვაწე კაცი სანთელია ქვეყნისა,მადლიერი დაანთებს,უმადუ-*
  *რი წაახდენს.*
- *წინა სანთელი ჩირაღდანია უკანა კაცისა.*
- *რეგვენმა მკვდარს სანთელი თან გააყოლაო.*
- *ძველი კაცის ბილიკი,ახალის საქარავნე გზაო.*
- *ახალი წარმავალია,დაძველდა მომავალია.*
- *მოვიდა მოსვლა ინება,წასვლისა ქრთამსა იღებდა.*
- *დაღამებამდე ჩემია,დაღამდა ჩემთან სცხვენია.*
- *მწევარი მზეს ერიდებოდა,ღამე სიბნელის ეშინოდაო.*
- *პილატემ ხელი დაიბანა,სახელი გაისვარაო.*
- *პილატემ ცოდვის გაზომვა ცოდვილებს მიანდოო.*

## -2-

- *დაღამეზამდე ელასა,დილამდე ცოდვა ხელასა.*
- *ელი უთქვია უფალსა,ხელით უქნია მდუმარსა.*
- *ელისა მთქმელი ბევრია,ხელისა პოვნა ძნელია.*
- *ვინცა ეძია იპოვა,პოვნა კაცისა ძღვენია,*
  *რეგვენმა ცოდვა იპოვა,მადლსა ეძებდა ბრძენია.*
- *მომართვით,მასვით მაჭამეთ,ნუ დამამადლით მსახურთა,*
  *თამადობასა ვიკისრებ,დაგილევთ ღვინოს კახურსა.*
- *ქრთამი კაცისა ფასია.*
- *კაცის ყურსა ესმოდა,თვალსა ეშინოდაო.*
- *ლაჩარი ენით ლოცავდა,გულით წყევლიდაო.*
- *მთა ბარსა ჩამოვა,ბარი მთას ვერ იხილავსო.*
- *ბარმა თქვა:მთა მარჩენს,ვერ შევიყვარე,მძულსო.*
- *კაცი მცირესა გაექცა,დააფასე მსახურად მოგივაო.*
- *მოვძებნე კაცის სისუსტე,თურმე ფასია სიზუსტე.*
- *მანამ მოწყალე ვიყავი,ვერ მოვიხურე ჭიშკარი.*
- *მქონდა,ვეძებდი მიმეცა,თურმე გაჭქონდა კიდეცა.*
- *მომავალს გეტყვის მკითხავი,წასვლასა კუბოს ფიცარი.*
- *მკითხავსა ასე უთქვია:მოსვლისთვის წასვლა უქია.*
- *წამსვლელი ჯაჭვსა წაიღებს,მომსვლელი ციხეს აიღებს.*
- *კაცის ბუნება ძაღლია:დააბამ გარბის,გაუშვებ ჭაჭვსა ითხოვსო.*
- *დაძველდა ძაღლის იგავი,დაბერდა ისევ ის არი.*
- *ქათამი ქორსა იწვევდა,ძაღლი საქათმეს იწევდა.*
- *ძუნწსა ორისა და ოცის გაყოფა თანაბრად უმძიმდაო.*
- *დაბელის ხელი დაბასა,ტბასა ხელია ტბელისა.*
- *დაბასა ზაქი ყოფილა,მთასა სახელი ზაქისა.*
- *დაბას მომკვდარა დაბელი,მთას შეუნახავს სახელი.*
- *დაბასა სახლი დაცლილა,მთასა მოწაფე გაზრდილა.*
- *დაბას მდუმარე ბერია,მთასა დაბელის ხელია.*
- *კაცმა თქვა კაცის ამბავი გზამ მიამბოო.*
- *რეგვენი კაცის კვალს ეძებდა,გზას გადაუხვიაო.*

- *ბრძენის გზა ტაძართან მიგიყვანსო.*
- *რეგვენი შიგნიდან ამტვრევდა,ბრძენი გარედან აგებდაო.*
- *მოვიდა სწავლა ბეზრდება,წასვლის წინ ყველა ბრძენდება.*
- *უფალმა მომცა ძღვენია,გზას შემახვედრა ბრძენია.*
- *თუ კაცი მადლიერია,სახლსა მიუვა ბრძენია.*
- *კაცი იწრთო და იწვალა,თვალის გახელა ისწავლა.*
- *კაცი სხვას შენატროდა,ბედი კაცს დასტიროდა.*
- *მინდოდა მეთქვა სათქმელი,ვწერე,ვერ ვქმენი საქმნელი.*
- *შენი სახლისა ბოლოსა,ბედი წასვლასა გლოვობსა.*
- *მოკვდა,დაიქცა ტაძარი,დაუდგამთ დახლი ვაჭარის.*
- *წასულა წარმავალია,არა სჩანს მომავალია.*
- *კაცმა დაიჩივლა:წარსულმა მომავალი წამართვაო.*
- *რეგვენი ამბობდა: წარსული უკან დამრჩაო.*
  *ბრძენმა თქვა:გაგასწრო,მომავალი ვერ დაგეწიაო.*
- *რეგვენმა ძიებას ქექვა დაარქვა,ქექვა ძიება ეგონა.*

*კარი:XII*

**-1-**

- *ზაქი ზაქისა კაცია,კაცმა ზეცამდე ასწია.*
- *მდუმარე ზაქი ელოდა,თურმე უფალსა ესმოდა.*
- *ზაქმა უღელი წაიღო,უფალმა ძღვენი მოიღო.*
- *ამბავი,დროთა დინება,ტყესა ფოთოლთა შრიალი.*

  *ქარის დროს ტყეთა ფაფარი,ამბავსა წაშლის ტიალი.*

  *მძინარე ტყესა აღვიძებს,მაღლა ფოთოლთა ფრიალი,*

  *ამბავი ქვასა სწერია,მოიტანს დროთა ტრიალი.*
- *ლაბას უღელი მიჰქონდა,წიქარას ზვარსა უხმობდა.*
- *ზამთარმა ჩამაცვა ზაფხულმა გამხადაო.*
- *მოვკალი კაცის იმედი,ქალის ოჯახსა მივედი.*
- *მთასა ქარი და ქარბუქი,ბარს მივა სიო ლაქუცი.*
- *კაცისა კაბა ქამარი,კაცი გამხდარა მამალი.*
- *ძმარი ვერ დაღვინდება,ტკბილი აძმარდებაო.*
- *შენმა თვალისა ეშხმა გადამაქცია ეშმად.*
- *მოვდივარ ქვათა გორებით,მივდივარ ხეთა მორებით.*
- *ქართველთა ძმათა ომია,თათარი მოძმე ჰგონია.*
- *მოდის და მოდის თათარი,ამდენი მიწა სად არი?*
- *ქართული სიტყვა კაზმული,გადაქცეულა მგზავრული.*
- *მოსმენა კაცთა წესია,მოთმენას გადაეჩვია.*
- *მოლხენა მინდა კაცსაო,მოდის მთავაზობს ქალსაო.*
- *მორკინალი ვარ გულითა,დაცემული ვარ სულითა.*
- *მორკინალი ბოლოს წაიქცევა,მეფის სახლი დაიქცევა.*
- *მორკინალს მორკინალი დაჯაბნის,მეფეს სხვა მეფე მოერევაო.*
- *გზას მიმავალი მგზავრია,სახლს მიმავალი კაცია.*
- *მგზავრმა თქვა:კაცობა მერჩივნაო.*
- *მოსაკრებელი მოკრიბეს,გადასაცემი მოკბილეს.*
- *მოკლეა კაცთა გონია,სიცოცხლე დიდი ჰგონია.*
- *მოძველდა დაფი,ნაღარა,როცა მოვიდა ჭაღარა.*
- *ცამეტი შეხვედრია ცამეტსა,თარსი თორმეტმა გაარჩიოსო.*

- *კაცმა თქვა მეცამეტე შვილი ვარ,მეშინია არ დამკლანო.*
- *ქალმა თქვა დავიკარგები,გავეპარები მამასა,*
  *სოფელი ძებნას დამიწყებს,გადავეყრები მამალსა.*
  *მამალი კაცად არ ვარგა,არ დავუჯერე მამასა,*
  *კაცისა ძებნას დავიწყებ,შევაბერდები მამალსა.*
- *ქალმა თქვა კაცსა ვეძებდი,ვეხეტე გზა და შარასა,*
  *კაცი ზვარებსა ყოფილა,გადავეყარე მამალსა.*
- *ქალმა თქვა ახალგაზრდასა,მომწონდა ძაღლის ლაქუცი,*
  *დავბერდი ახლა ქალი ვარ,შემზიზღდა კაცის ღლაბუცი.*
- *ენკენის თვესა მომინდა,ბეღელი სავსე მქონოდა,*
  *ქერობამ შემომითვალა,ზვარს მისვლა მოგეთხოვება.*
- *მოვდივარ მომიხარია,თავსა ორპირი ქარია.*
- *ქათამი ამას ამბობდა,დამკლან წახდება ქვეყანა,*
  *დაკლეს ქათამი ილხინეს,ბუდეს სხვამ დაიკაკანა.*
- *კაცმა თქვა:მოდის სიკვდილი,მალე ეზოსა მოვაო,*
  *ღობესა მესრით ჩავრაზავ,სხვაგან იქნება გლოვაო.*
  *გათენებამდე მოსულა,ეზოსა ჩამოთოვაო,*
  *ერთი მესრითა წამიღეს,ღობემაც არ იგლოვაო.*
- *ჩიტმა ჭიკჭიკი ისწავლა,გალობა ვერ დაისწავლა.*
- *ბუ და ჭოტია ღამისა,მეგობარია მთვარისა.*
- *ბეკეკა ბეკეკას დაეჯახა,მერე ყოჩისკენ გაიწია.*
- *ძვალი და რბილი ხორცია,ძვალსა მიჰყვება პორციად.*
- *მთასა ზამთარი ცივია,ბარსა სიცხესა ჩივიან.*
- *სამოცი წელი კაცისა,გამოცვლა ექვსი ხარისა,*
  *ზვარი პატრონსა გამოცვლის,მოასწრებს ოთხი ზაქისა.*
- *ვაცის კისერსა ეჟვანი,ზაქის კისერსა ზარია.*
- *ძაღლი ვერ მოშლის ძაღლობას,ლეკვები შობელძაღლობას.*
- *ბერქამ თქვა:ძაღლის ღალატი მაცინებს,ცხენისა მატირებსო.*
- *მოძღვარმა თქვა:აღზრდა დამაკლეს,მე სხვას დავაკელიო.*
- *მოდის ახალი თაობა,გაზრდა დაიწყო ჭაობმა.*
- *ჯაფამ თქვა:მაჯობა ჭიანჭველამო.*

## -2-

- *ვიცი სადგომი ზაქისა,არ მეშინია დათვისა.*
- *დათვმა თქვა:ცხოველთა მეფე ლომი მეგონა,ზაქი ყოფილაო.*
- *ყურმა ისმინა გაიგო,ბინა ვერასდროს დაიდო.*
- *მაოცებს სხვისი აბჯარი,მე დამიჟანგდა ხანჯალი.*
- *მივსტირი დროსა წარსულსა,მივყვები დროსა გასულსა.*
- *მეგონა ზაქი ვიყავი,ხალხსა ვუცნივარ ჭილ-ყვავი.*
- *დავიარები შარასა,ვერ მივაგენი კარავსა.*
- *მოზვერის გაზრდა ვინა თქვა?მოზვერს გახედნა სჭირდება.*
- *დავეცი,შიშმა დამძლია,მიწამ ხელები ასწია.*
- *მტერთა მოძულე კაცი ვარ,თუ დათვი მოვა ზაქი ვარ.*
- *ბედმა მიმუხთლა ტიალმა,დამაფრთხო კარის ჭრიალმა.*
- *მომეცა დიდი გულია,მამისგან მერგო ფულია.*
- *მამისა მამა მოვკალი,მამა მომიკლეს შვილებმა.*
- *მოვა დრო გაგახსენდება,ეს დღე წარსული გახდება.*
- *ბევრი ვეცადე ვიწვალე,ვერაფრით გამოვიცვალე.*
- *სამრეკლოს ზარი კიდია,დარეკავს, ტაძარს მიდიან.*
- *მოვიჩქაროდი მოსვლასა,გზას მომეწია სიბერე,*
  *გონება განათებულა,თვალი დანებდა სიბნელეს.*
- *შენამდე მოსვლა მინდოდა,თურმე გზა სხვასთან მირბოდა.*
- *ბედსა უწოდეს მუხთალი.ბედმა თქვა:თავსა უთხარი.*
- *ბედსა ვეძებდი გზაშია,თურმე მელოდა სახლშია.*
- *ძღვენი ვითხოვე,მომეცა,შერგების ცოდნა წამექცა.*
- *მადა ჭამაში მოდისო,მშიერსა რაღა მოსდისო.*
- *მოძველდა დათვის თამაში,დათვი წასულა ქალაქში.*
- *დათვის ჭადრაკი თაფლია,კაცმა თამაშად აქცია.*
- *მეცვა კაბა და ხალათი,ქალმა მომიგო შამათი.*
- *შავი და თეთრი ფერია,უფერო ფერის მტერია.*
  *ბალახი მწვანედ ბიბინებს,წყალი ბალახის ფერია,*
  *წყარო დაშრება ზაფხულსა,ბალახი ჩალის ფერია.*
  *წყალი უფერო მეგონა,თურმე ამდენი ფერია.*

*ჩალის ფერია ბალახი,გამხმარა,თურმე მკვდარია,*
*წყალი სიცოცხლე ყოფილა,წყალი სიცოცხლის ფერია.*
*მიწასა გვალვა იქნება,ნაპრალი მიწის წყლულია,*
*ბუნება წვიმას მოუვლენს,წყლულსა მალამო სწყურია,*
*კაცი შიმშილსა აიტანს,მწირსა დაიცავს წყალია,*
*უდაბნო წყლისა შიმშილი,უდაბნო-მიწა მკვდარია.*
*მიწას ყივილი ცოდნია,თურმე მიწის ხმა წყალია,*
*გზა დედამიწის ყურია,წყარო მიწისა თვალია.*
*მიწა ცოცხალი ყოფილა,მდუმარეს დარდი ბევრია,*
*მწუხარებასა ვერ მალავს,მდინარე მიწის ცრემლია.*
*მიწა ირყევა ცოდვითა,გულსა გიზგიზებს ცეცხლია,*
*კაცი ოქროთი გაივსო,მაცხოვარს შეცვლის ვერცხლია.*
*მიწასა გული ჰქონია,ბზარია გულის ჩივილი,*
*გულსა ბალღამი გადმოსდის,მიწა ირყევა ტკივილით.*

- *სიკეთეს ძალა სჭირდება,ღონესა გაუჭირდება,*
  *კაცისა ძალა რწმენაა,რწმენას ზნეობა სჭირდება,*
  *ზნეობა კაცის გაზრდაა,გაზრდას სინათლე სჭირდება.*
  *სინათლე კაცის თვალია,გონებას კარი სჭირდება.*
- *მონადირენი მოკლავენ.მოკლულთა მადლით მოსავენ.*
- *დღეს ღვინო დამალევინა,მერე თქვა პარასკევია.*
- *მოთამაშეთა ჯარია,თურმე ბურთისა ბრალია.*
- *ვერ მომიგია დღესაო,კიდევ გამოვსცდი ბედსაო.*
- *მოთამაშისა თამაში,ჩაიქცა სახლი თავლაში.*
- *წაგება მოთამაშისა,მოგება ხდება მსაჯისა.*
- *დაველოდები იღბალსა,თამაშით თავი იმართლა.*
- *მოვკალი ქვეყნის იმედი,აზარტის სახლსა მივედი.*
- *კოშმარი კოშმარს მისდევდა,საკოშმარეთი იწვევდა.*
- *ვისაც გინდოდეს უთხარი,თამაშმა მოკლა იღბალი.*
- *ძროხა აზარტით მაკდება,ჩვილი აზარტსა ვარდება.*
- *ხარისა ძროხა მშრალია,აზარტი მიუტანიათ.*
- *მოგებულისა ბრალია,წაგებულისა ჯარია.*

- *აზარტმა გახსნა კარია,მოზვერად იქცა ხარია.*
- *თავს ლაფი,ფეხსა ორმოა,კარსა აზარტი რომ მოვა.*

*კარი:XIII*

**-1-**

- *დავლიე,ვნაყრდი ჭამაში,მერე მომინდა თამაში.*
- *აზარტსა,ჭოკის ტრიალსა,ვერ დავეწიე იღბალსა.*
- *კაცი სატანის ბინასა,უფალსა სთხოვდა იღბალსა.*
- *ტვინსა მიჭამდა ჭიაო,თურმე აზარტი ჰქვიაო.*
- *აზარტსა ორი რჯულია,ცხონდე, მოგება რთულია.*
- *მოგეცა ნება თამაშის,საფასურს ვითხოვ ამაში.*
- *კაცმა სახლი წააგო,მესრის მოგებას ხარობდაო.*
- *მეძავი სხვისი ქალია,აზარტი სხვისი ვალია.*
- *მეგონა კაცი გავზარდე,თურმე აზარტსა ჩავაგდე.*
- *რაც მქონდა ყველა წავაგე,ამით ქვეყანას რა ვარგე?*
- *მეძავი ბოლოს ნებდება,აზარტი არა ჩერდება.*
- *თურმე სამყარო ტრიალებს,ვერაფერს ვშველი იარებს.*
- *კაცის დაქცევა მოგინდა?აზარტი ამას მოგიტანს.*
- *სასწავლი რა დამრჩენია,ქვეყნად ამდენი ბრძენია.*
- *სახლს შინა ათი ბრძენია,სიბრძნესა რა დარჩენია?*
- *დაბადებიდან ბრძენია,კაცი სიბრძნისა მტერია.*
- *სახლს შინა ბრძენთა ჯარია,სიბრძნე თაგვს მოუპარია.*
- *ჭაობსა სიბრძნის ბაქანი,სიბრძნესა დაარქვეს ყაყანი.*
- *თუ ბრძენმა სული დალია,ბრმას აეხილა თვალია.*
- *ქვეყანას დროთა ტრიალი,ჩემს გზასა ისმის ჭრიალი.*
- *სად გაგონილა?ვინა თქვა?,ცოცხალსა მიმაქვს მკვდარის ქვა.*
- *ამ ქვეყნად ვერა გავიგე,იმ ქვეყნად ვერა წავიღე.*
- *რა გინდა ბედო?რას მერჩი?ქვეყანას კაცი შემოვრჩი.*
- *ვერ გავაჩერე ტიალი,წაღმა-უკუღმა ტრიალი.*
- *გვიან იქნება ტირილი,ბედელსა მოკლავს შიმშილი.*
- *მღვდელი საყდარსა მისულა,გამოწკეპილა მდიდრულად.*
- *მძლეთა-მძლეს სჯაბნის მძლევია,ჯერ არვის დაუძლევია.*
- *ძვირი ყოფილა სიცოცხლე,ხარბი ვარ ცოტა ვიცოცხლე.*
- *მაცალეთ, დავტკბე მზერითა,ქალი დავაჭკნე ბზე ვითა.*

- ქალსა ვეტრფოდი,ვმალავდი,ვერ ვნახე კუბოს კარამდი.
- სამართალია სამყარო?ნაგავი სად გადავყარო?.
- ქვეყანა ნაგვის საყარი,ნაგვის დამყრელი სად არი?
- თუ მოვისმინე ბარგია,თუ მომისმინეს კარგია.
- ქვათა ღაღადი დაწერეს,ღაღადსა შუბი აძგერეს.
- ქვათა ღაღადი გაიგეს,ზარები რეკდა,წაიღეს.
- ღაღადი ქვათა გაიგეს,მესია მოკლეს,დაკიდეს.
- მესია კაცზე მეტია,ამ გზასა ვერ დაეტია.
- ბერწობას-მაკე იყავი,გზას დგეხარ ჩრდილი იყავი.
- მოვინანიე კაცმაო,თურმე დაიკლო ფასმაო.
- მოძღვარმა ასე მასწავლა,გიყვარდეს ვინცა გაწვალა.
- ტახტის მემკვიდრე თუ არ ხარ,კაცის მემკვიდრე იყავი.
- კაცმა ღირსებით იარე,ჭაპანი ხარმა ზიდოსა.
- მოდის ცოდვათა მდინარე,ვერაფრით გადმოვიარე.
- მერცხალი დაბრუნებულა,ზვარი ვერ გაღვიძებულა.
- მითხარი ბედო რას მერჩი,მარტო ვარ, ეტლსა ჩამოვრჩი.

-2-

- სანამ ვიყავი ვიღვაწე,იმ ქვეყნად რასა მივაღწევ.
- მინდოდა ბევრი მეშოვა,ზამთარსა ოქრო ეთოვა.
- სიბერემ მითხრა რა სურდა,გამომშრალს ფეხი დაცურდა.
- კაბა შავი და თეთრია,შიგნიდან კაცი ერთია.
- მონადირე ვარ ჟამისა,მომზეზრდა ფიქრი ღამისა.
- დავეხეტები ეულად,ქვეყანა ქვაბად ქცეულა.
- ქვეყნად იმდენი ბრძენია,ხელი ვერ გამინძრევია.
- მიდის და მოდის ზამთარი,მთავრდება კაცის ზღაპარი.
- მთას მიხვალ შავი ნისლია,ვინ მოიტანა,ვისია.
- დაღონებულა მდინარე,ვით ზაქი გამოვიარე.
- მასმევდა ბილწსა წყაროსა,იმან არ გაიხაროსა.
- მთას ახვალ,იქით სერია,მელის ამდენი წელია.
- მინდოდა ცეკვა ხორუმის,მიშლიდა ყარაყორუმი.
- დასავლით მზესა მივსდიე,ამოსვლა მზისა ვიხილე.

- *კაცი კაცისა მხარია,დაცემა გაუხარია.*
- *მომართვით დავლევ ღვინოსა,ქათამმა მოიწყინოსა.*
- *ვინც თქვა:შარბათი-ღვინოსა,იმან ვით მოილხინოსა?*
- *მოიტათ დოლი ფანდური,გავმართოთ ბჭობა ქართული.*
- *სტუმრისა მოსვლა მახარებს,ქათამი აღარ კაკანებს.*
- *ლაზი და ჭანი ძმებია,შუა ჩამიდგეს მთებია.*
- *ზარზმა, პარხალი სიწმინდე,სხალთა ვარ,მეცა შემინდე.*
- *ორი მთა წმინდა მიზანი,სხალთა აქციეს ხიზანი.*
- *ფურტაველს ეძებს ტეტია,სხალთას არ გაუხედია.*
- *ზოსიმეს კვალი დაკარგეს,დაბელი ვერა აკადრეს.*
- *სხალთა სახლია კაცისა, ქედები მთაა წმინდისა,*
  *თავი და მხარი ღირსისა, გული ჰქონია „ბილწისა“.*
  *უვიცნი მიდი-მოდიან, ბრმათა გზას ორმო რწმენისა,*
  *წმინდა ნინო და ანდრია, კვალი დაბელი ბერისა.*
  *ათასი წელი მდუმარე, ესმის ზახილი მთებისა,*
  *დაბასა ვაცთა კიკინი, წაშალეს კვალი გზებისა.*
  *ზოსიმეს გზანი უგია,ტაძარნი ქრისტეს რწმენისა,*
  *ხევსა ანბანი მოხატა,ცასა საზომი დროისა,*
  *ქორონიკონი მდუმარე,ავსებს თვალებსა მტერისა,*
  *გაზაფხულს წყალი ბობოქრობს,ხმაა მდუმარე ბერისა.*
  *სხალთასა თვალი შეავლე,ყური მიუგდე დაბასა,*
  *წყარონი მოგიყვებიან,დაბელი ბერის ამბავსა.*
  *მთასა კაცისა სახლია,მთიელნი გრძნობენ ამაგსა,*
  *სიბნელეს კაცსა რა უნდა,კაცსა იპოვი ტაძარსა.*
  *დარეკე სხალთის ზარები,გეტყვიან კაცის ვარამსა,*
  *ზარის ხმა დაბას მიგიყვანს,ხიხანსა ციხეს მთავარსა,*
  *კალოთა მთაა ლომისა,დარაჯობს წმინდა ხევებსა,*
  *ბაკო სახლია კაცისა,იდგა, ებრძოდა დევებსა,*
  *სახელი ცამდე ასწია,ზეცა ეჭირა ხელებსა,*
  *სახელი სახლად აქცია,ხატავდა გმირთა ფერებსა,*
  *სხალთას პოემა ვინა თქვა?ციხე ჰქონიათ ტბელებსა.*

- *მთაწმინდას მოუწყენია,დარუბანდს მოულხენია.*
- *მომეძალება ბალღამი,ვერ შემიბია ლაგამი.*
- *ადექით ძმანო ვინცა ხართ,წმინდანი გამოისახა.*
- *ოღონდ მართალი მითხარი,მტერიც მართალი იყავი.*
- *ავდარმა დარი მაჩუქა,ავდარსა კიდევ რა უნდა?*
- *გულსა მომეცა იმედი,დაკარგულ გზასა მივედი.*
- *თოვლი და თქეში ვაკვლიე,ვერაფრით გამოვარკვიე.*
- *თურმე მეკიდა ზურგსაო,მთასა გადასვლა მსურდაო.*
- *გვყოლია პეტრე იბერი,ჰანსა გამოჩნდა ლიდერი?*
- *პეტრე იბერის მოდგმასა,კაცი მასწავლის ძმობასა.*
- *კაცი მოკეთე ვიტირე,ქელეხსა მტერი ვიხილე.*
- *გამიწყდა ჯაჭვი,ჯავშანი,მტერსა ვეგონე ჯაბანი.*
- *სოფლისა თავსა ვირები,ნუ მეტყვით-გადავირევი.*
- *ქვეყნად ვირების ჯოგია,ჩარაზეთ ჩვენთან მოდიან.*
- *ვერავის ვეღარ ვენდობი,დათვი ვარ,ტყეს მივენდობი.*
- *ნურავინ მომთხოვთ ამასა, გაძლება უნდა ღალატსა.*
- *მოღალატე ვარ ენითა,დასტური ნაცრის გვემითა.*

*კარი:XIV*

**-1-**

- *თუ გიღალატე მითხარი,იქნება მე არ ვიყავი.*
- *კაცმა იმდენი იწვალა,მოსმენა ვერ დაისწავლა.*
- *მოსმენა თუ ვერ ისწავლე,დადექი ცოტა იწვალე.*
- *ვარდი ვარ მზერას მაყოლებ,ეკალსა გამოვაყოლებ.*
- *ქალი ზამთარსა მერჩივნა,ზაფხულსა მარტო მეძინა.*
- *კაცი იტირეს მოკვდაო,ეგონათ ამით მორჩაო.*
- *დავბერდი,ღონე წამერთვა,უძლურსა კიდევ რა მეთქვა?*
- *მარტო კაცი ვარ ეული,დავიარები ცალადა,*
  *გამკიცხეს ვითა წყეული,იღბალმა არ იძალადა?*
- *ვახსენე ძველი სათქმელი,მომთხოვეს ძველი საქმენი.*
- *ბედმა ტუსაღად მაქცია,განა ასეთი რა მცხია?*
- *ძვალი და რბილი კაცისა,თავი ჰქონია ვაცისა.*
- *მტერსა მოყვარე ვიცანი,მოყვარეს ვტყორცე მიზანი.*
- *ყაყანებს ველი,მთა-ბარი,ამდენი ყური სად არი?*
- *მოძღვარსა უმზერს თვალსაო,ყური ჰქონია სახლსაო.*
- *სოფელსა სავსე ტეტია,შარასა შარახვეტია.*
- *ბერი და მრევლი დირესა,ვინ ნახავს ბეწვსა მცირესა,*
- *მღვდელსა ჰქონია ტრაპეზი,ღვინოს მოვიტან,წავედი.*
- *მეორედ ვის გაუგია,პირველი ვერ მომიგია.*
- *მგ ზავრი ვარ,გ ზასა ვადგივარ,მახლავს ვინმე თუ ვახლივარ.*
- *გამოიცანით ვინა ვარ,ცასა თოვლი და წვიმა ვარ.*
- *დაკარგავ მოსვენებასა,თუ ვერ მოუგებ ენასა.*
- *როს მივეჩვიე თმენასა,გადავეჩვიე რბენასა.*
- *ვიცოდი ფასი ამაგის,შემხვდა მომთხოვა ათმაგი.*
- *მოძალადე ვარ ბედისა,ბედს მოსვლა ვეღარ ეღირსა.*
- *შარასა რა გაწრიალებს,ბედი კალოსა ტრიალებს.*
- *კაკლისა ჩრდილსა მეძინა,პაპა მელოდა,ეწყინა.*
- *კაკლის ხე მეტყვის ნანასა,თურმე უთქვია პაპასა.*
- *კართაგენს ბრძოლა ჰქონია,რომსა რომ მოუგონია.*

- *ბელელსა თაგვი ყოფილა,პატრონსა გამოყოფილა.*
- *მოსავალს თაგვის წილია,თაგვს დაუტოვე თხილია.*
- *ცოდნა მცოდნესა ჰქონია,სხვა ცოდნა მოუგონია.*
- *მცოდნე ბევრია ცოდვილი,უმეცარია ცნობილი.*
- *მომადრეკინა კისერი,მარტო კაცი ხარ,რას ელი?*
- *ტბასა ასულა კალმახი,ბევრი ჰქონია ნანახი.*
- *სევდა ჩამომდის გულისა,მდინარემ გამაგულისა.*
- *მონადირე ხარ,არ მოვა,ასჯერ ესროლე გამოვა.*
- *ტახსა ვესროლე ისარი,გაიყოლია მიზანი.*
- *თურმე დაღვრილა სისხლია,თურმე ამდენი იციან.*
- *ზღვარგადასული მოყვარე,შეიპყარ,დილეგს მომგვარე.*
- *თავს მომახვია ალერსი,უფსკრულსა თავით დავეშვი.*
- *მომიჯახუნა კარები,სხვა კარსა მივეფარები.*
- *დამექცა სახლის კედელი,ძველი ყოფილა,ბებერი.*
- *ბელელსა ქარის სახლია,სხვასა დარაჯობს ძაღლია.*
- *ძაღლი ყოფილა ორგულა,მშიერმა ვერ მიერთგულა.*
- *ძაღლი წასულა ძაღლთანა,ქალი მისულა სხვასთანა.*
- *მეგობრის ძებნამ დამღალა,დამამეგობრა ძაღლთანა.*

**-2-**

- *მღვდელს აღსარებას ვაბარებ,თვალებსა გვერდით ვაპარებ.*
- *მოვინანიე ცოდვები,მერე ახალსა ვეძებდი.*
- *ნაკლი ჰქონია კაცსაო,შეუმჩნევია ქალსაო.*
- *კაცისა ვიცი ნაკლია,ვერ ვამჩნევ,თვალსა მაკლია.*
- *ჩემი ძმა ჩემი მტერია,სხვა ქალსა ვთხოვე ხელია.*
- *შენმა სიკვდილმა მატკინა,შენმა სიცოცხლემ მაწყინა.*
- *დავაზავებდი მეფესა,ეს ქოხი რომ გამელესა.*
- *მერქვა მეფისა ვეზირი,დამარქვეს ყარა*,რეზილი*.*
- *ხეპრესთან შორსა იყავი,მოდი კაცისა მითხარი.*
- *ნუ მეტყვი ახალ ამბავსო,გული ვეღარა მალავსო.*
- *მოგისმენ, ყურსა დაგიგდებ,გეტყვი სახუმრად აგიგდებ.*

- *ხეპრე გასულა გზასაო,მისდევს მდინარის წყალსაო.*
- *სადამდე მივალ არ ვიცი,ვიცი ბოლომდე დავიწვი.*
- *ნაკლებსა იტყვი,ნაკლია,იტყვი დაგცინებს ხალხია.*
- *მოვესწარ,თურმე ბედია,ვდგევარ,ვერ გამიბედია.*
- *მთა ჩამოიქცა,ღვარია,თურმე ბებიას ბრალია.*
- *გარსა ზვავისა ზვირთია,მთასა მოაკლდა ტვირთია.*
- *გარსა არ მიდის ნისლია,მთასა ვერ მისწვდა,ღირსია.*
- *ხვალ რა იქნება,ვინ იცის?მცხეთასა მოჰყვა თბილისი.*
- *ბევრი ჰქონია ნანახი,ხიხანს რქმევია პანთახი.*
- *ხეთა ძირძველი მეგონა,ხეთი ხიზანი ყოფილა.*
- *პირველი ზანთა კაცია,მამა მოსულა კასპიას.*
- *უფლისა საქმე მიკვირდა,ძღვენი მიბოძა,მიჭირდა.*
- *ქართულად გამიგონია,ბერძნულად მომიგონია.*
- *ნეტა ვინ იყო მოძღვარი,რომ დამავიწყა მოცხარი?.*
- *თხილი მომართვა ნოინმა,ბერძენ-თათართა ოინმა.*
- *თურმე ავიშვით რიდენი,უცხოსა გავეკიდენით.*
- *შენსა ბოსტანსა რა ყრია?სხვის ყანას დიდი მადლია.*
- *კაცები კაბას ყიდიან,ქალები გაღმა მიდიან.*
- *სოფელმა მითხრა სოფლისა,მოსვლამდე მამცნო წასვლისა.*
- *დიდი ჰგონიათ სამყარო,ორჯერ წასული.მოხვალო.*
- *ბასკი ალპებსა გაიქცა,მთასა მისული წაიქცა.*
- *კოლხას პატრონი ქალია,თურმე ზაქისა წყალია.*
- *ოსი გადმოდის ეჩვევა,დარიალს ვეღარ ეტევა.*
- *მოსვლამდე იყო ტეტია,კარებსა ვერ გაეტია.*
- *თუ მოგინდება მითხარი,აბჯარ ასხმული იყავი.*
- *ჩიტი მოშორდა შინასა,გუგული ართმევს ბინასა.*
- *კაცი მცოდნე და ტეტია,სიბრძნითა გაურეკია.*
- *მომესალმა და მიამბო,კაცსა პატივი მიაგო.*
- *თაგვსა დაუქცევს სოროსა,კატამ ვერ გაიხაროსა.*
- *მომნატრებია მოლხენა,მოლხენის მერე მოწყენა.*
- *რომ მომაბეზრა თავიო,ვნახე,თაგვია შავიო.*

*კარი:XV*

**-1-**

- *ციხეს ჰქონია კარები,მეგონა გავიპარები.*
- *თუ გაიზარდა ციცხვია,ლაფისა ქვაბსა ისვრიან.*
- *დამღალა ქათმის კაკანმა,უსაქმურისა ქაქანმა.*
- *ქალი ვარჩიე ქალასა,ქალი სურვილსა მალავსა.*
- *შავ თმასა თეთრი ვარჩიე,სიბნელეს გამოვარჩიე.*
- *შაოსანია ქალიო,ვერ დაიტირა ქმარიო.*
- *საწადელსა სწვდა ტეტია,შეირთო შარახვეტია.*
- *მთასა მოასკდა თაკარა,იმ მთამა ტანი აყარა.*
- *მთვარე მეგონა ნათელი,დილას დავანთე სანთელი.*
- *ენძელამ უთხრა იასო,ამდენ ხანს როგორ გძინავსო.*
- *ენძელამ უთხრა ყაყაჩოს,შენი სურვილი დამახრჩობს.*
- *ვარდსა ჰქონია კოკორი,ვაცსა ეგონა ქოჩორი.*
- *ნარი ეკალსა ებრძოდა,ბალახი თავსა ესხმოდა.*
- *ტალახმა ღორი გაკიცხა,გუბესა წოლილხარო.*
- *სამრეკლომ ზარს შეუთვალა,დღე არ ჩაგეთვალაო.*
- *ასი კალათი ვიშოვე,ახლა დავეძებ პანტასა.*
- *სიკვდიმდე კაცი იტირეს,როს მოკვდა დაისვენესო.*
- *ენძელა კლდესა იზრდება,ბუნებამ ასე ინება.*
- *კაცსა ვუთხარი ქარაგმა,ჩემი სახელი ალაგმა.*
- *ხევსა ზარის ხმა აკრთობდა,სამრეკლო არვის ახსოვდა.*
- *მთას იქით კიდევ მთებია,ერთმანეთს ეჯიბრებიან.*
- *წიწამურს ჰკლავენ ილიას,ქაშუეთს გულით სტირიან.*
- *წაბლი ეჩხუბა მუხასო,ტახი საძირეს ბილწავსო.*
- *მუხამ თქვა მოვკალ ყვავიო,ძერამ მოიკლა თავიო.*
- *ბებერი მუხა ამბობდა,პაპის ხმა ტყესა ამკობდა.*
- *ფოთოლმა ბევრი იფრინა,ძირამდე ჩამოირბინა.*
- *მუხა ყოფილა ამაყი,ვერვინ გაიგო ასაკი.*
- *ცა ჩამოიქცა მთასაო,მთა დამხობია ბარსაო.*
- *შურმა გაზარდა შურიო,მამას ჰქონია წყლულია.*

- *მოკეთე შენი ის არის,ვისი მოსვლაცა გიხარის.*
- *ვერ გავანათე ბნელია,ვებრძვი ამდენი წელია.*
- *მაცალეთ ჩემი სახლია,სტუმარს სტუმარი ახლია.*
- *მივედი მასთან უმძიმდა,ჩემი არ ყოფნა უკვირდა.*
- *დამალავ გახსნას ელიან,გახსნი გუდასა გწყევლიან.*
- *ვიწვალე მეთქვა იგავი,ენასა უცხო მითარგმნის.*
- *თურმე გაცემა მადლია,გაცემულს მადლი აკლია.*
- *კაცად დარჩენა მწყურია,გარშემო ვირთხის სუნია.*
- *შავია შავი ქათამი,შავად დაიწყო კაკანი.*
- *ენასა მაზის სატანა,თურმე ამდენ ხანს გასტანა.*
- *ცასა ყოფილან სულები,ჩვენ დავჩით გარიყულები.*
- *არ მოვითხოვე არ მომცეს,მოვითხოვე და ამომცხეს.*
- *ვისთან მივიდე არ ვიცი,კაცი ლოდინსა განვიცდი.*
- *მენატრებოდა იაო,აპრილსა გაჰყოლიაო.*
- *კლდის წვერსა თურმე საჯიხვე,კლდის ძირსა თხაა საჯიშე.*
- *დაველოდები ქროლასა,მომეხმარება რბოლასა.*
- *ვზიდე რაც საზიდარია,ამდენი ვირი მკვდარია.*

**-2-**

- *მიგაქვსო რქანი დამადგეს,ხარსა უღელი დამადეს.*
- *ნეტავ ვინ იყო პირველი,ვინ მოიგონა უღელი.*
- *სამრეკლოს ზარსა რეკავენ,მერე ტაძარსა კეტავენ.*
- *სულმა სიმტკიცე დაკარგა,კაცისა ფასი დავარდა.*
- *უკვე ათასი წელია,სახელი ქვასა სწერია.*
- *წარმავალია დინება,ახალი მოედინება.*
- *გამოვიარე ქალაქი,გამომაყოლეს ღალატი.*
- *სოფელი დიდი მგონია,ამდენი მოუგონიათ.*
- *ძაღლების ამბავს განვიცდი,რა ვერ გაიყვეს. არ ვიცი.*
- *ენძელა გაზაფხულია,მერცხალს მოსვლია გულია.*
- *თუ ხალხში გამომაჩინე,ან მომკალ,ან დამარჩინე.*
- *მამას მოსვლია გულია,შვილმა არ მომცა ფულია.*
- *სახლი ვიყიდე ფასითა,მამა მოვიდა გაზიდა.*

- *მამის ამაგი ვიცანი,ეს კაცი ვერ გავიცანი.*
- *სოფელმა კაცი გაზარდა,მამის სახელი გავარდა.*
- *მამას ვეგონე ლაჩარი,თურმე ვყოფილვარ ჩაჩანი.*
- *მამობა დიდი ტვირთია,მოვა წაიღებს,მისია.*
- *ბრძენი კაცობას მაჩვევდა,წაველ მამობა დამჩემდა.*
- *ძველია ბრძენის ნათქვამი,ენას მოაბი ბაწარი.*
- *ვცოდავ ამდენი წელია,ყველგან ეშმაკის ხელია?*
- *უღელი მხარსა დავიდე,რა მიმაქვს ვერა გავიგე.*
- *ძაღლი მისდევდა მელიას,ქათამი ბედნიერია.*
- *საქმე ბრალდება მელიას,ყველა ქათმისა მტერია.*
- *დიდი მოძღვარი მყოლია,ჩემს მეტი არა ჰყოლია.*
- *მეგონა მარჯვე ვიყავი,კლდეს ავაცილე ისარი.*
- *გამკიცხეს,თურმე ბედია,იმათაც დაუყბედიათ.*
- *ასე ყოფილა თაობა,ადრე გაყოფილს დავობდა.*
- *დამიძახებენ გმირსაო,მივალ, გავკიცხავ შვილსაო.*
- *არ შემრჩა მამის ღალატი,გოდრიანს მომცეს კალათი.*
- *ყბედმა იცოდა ყბედობდა,მიკვირს, მე ვითა მჯეროდა.*
- *ომსა იბრძვიან მამები,ველარსად დავიმალები.*
- *რამდენი რამე გვაკლია,რამდენი რამე მეტია.*
- *დადექი ზღვისა ნაპირსა, ბევრსა იპოვი ღარიბსა.*
- *კიდევაც დაიზრდებიან, გაიზრდებიან, კვდებიან.*
- *სიკვდილი მოკვდავთ აშინინებს,მოკვდავთა შიში აცინებთ.*
- *დავიღალენით თმენითა,ახლა ვიღლებით ღრენითა.*
- *სახე სახელი სახლისა,კაბა,კაცობა,კაცისა.*
- *ქონება დიდი ტვირთია,თურმე ღარიბსა უთქვია.*
- *მომეცით დიდი ქონება,ქვეყანა დამემონება.*
- *შენი ამბავი მითხარი,ჩემია არ საკითხავი.*
- *ქყვეყანას ბევრი ლაქია,დიდი ლაქია აკლია.*
- *ომი და ომი ფიცხალი,რას ვერ იყოფენ მითხარი.*

*კარი:XVI*

**-1-**

- *იყოფდნენ ვერა გაიყვეს,დარდი იმ ქვეყნად წაიღეს.*
- *იუპიტერს დაუძახია,როს მიწა დაუნახია.*
- *სირიუს სულთა სავანე,მიწა ჰქონია საყანე.*
- *ვით არ გავოცდე მითხარი,ისარსა მიაქვს ისარი.*
- *ცეცხლსა მახვილი სჯობია,ორივე დასაგმობია.*
- *ვასმევდი ღვინოს მიქებდა,დათვრა ანდერძსა მიგებდა.*
- *არ ვიცი ამდენს რას ჭამენ,მალე სასწორსა დადგამენ.*
- *მჭირდება თქვენი მხარია,ნაგავი გასატანია.*
- *თურმე ჭაობი შრეებოდა,კაცი ვედროთი შველოდა.*
- *ყორესა ყორეს საფარი,ნაგავთან მიაქვთ ნაგავი.*
- *ჭინჭველას კაცი დარქმია,სახლი სიმაღლეს ასწია.*
- *ერთი გავზარდე ათამდე,ლაწირაკს ვერ ვზრდი კაცამდე.*
- *დაყოფა,დაშლა ვისწავლე,აღდგენას ვერ მოვიცალე.*
- *დაიარება ცალადა,სახედრის ფასი დავარდა.*
- *დედალი მამალს განსჯისო,ძაღლი ორივეს დასჯისო.*
- *ხვალ რა იქნება,რა გველის?სახელი გახდა სასჯელი.*
- *დედალს და მამალს ვიხმობდი,თურმე სასჯელსა ვიმკობდი.*
- *კაცმა დედალი ვიყიდე,მთავრობა გადავიკიდე.*
- *თურმე ახალი მოდაა,სახლი, სასახლე ოდაა.*
- *სახელს ვურჩევდი შვილებსა,დანომრეს გაადვილესა.*
- *ადრე მოდგმითა ვეძებდი,ნომრითა ვეძებ შვილებსა.*
- *ვერ იტყვი არასწორია,ის ღორი მისტერ ღორია.*
- *ღორსა თუ იტყვი ტყეშია,დასჯიან,ახლა წესია.*
- *კაცსა ნუ იტყვი კაცია,ჯარიმა დიდი ფასია.*
- *ამოსვლას არქვეს დაისი,საით მივყავარ?რა იცი?*
- *ყველას ხელი გვაქვს იქეთა,მთავრობამ რა გაიმეტა.*
- *საღორეს კაცი არჩიეს,აქლემი გამოარჩიეს.*
- *საღორეს აღარ მინდაო,ეს ლაფი დაიწმინდაო.*
- *ბელადი საბანს კერავდა,ახლა ქვაბისა ჯერია.*

- *ვკითხავდი ვისი გორისა,ვარჩიე ვისი ნომრისა.*
- *ცა დედამიწას ჩამოდის,მიწა ვით ვსტყორცო ცასაო.*
- *ანბანი,რისი კაბალა,ათი ნიშანი მაკმარა.*
- *ვეძებდი აქეთ მომქონდა,თურმე აქედან მიჰქონდა.*
- *ვის დავუჯერო არ ვიცი,ფაფასა ჰქვია ხავიწი.*
- *აქამდე მტერს ვუმალავდი,ახლა მოყვარეს ვუმალავ.*
- *ზემოდან დიდი ხედია,ყველანი ქვაბსა შედიან.*
- *მონღოლთა ხორცი ჰქონიათ,ყურძენი მოცვი ჰგონიათ.*
- *მოვიდა ჯალალ ედ დინი,იკითხა სალაჰ ედ დინი.*
- *ვერაგსა ასე სჩვევია,მონღოლი მოუწვევია.*
- *დავამხეთ ზანთა რანიო,მოდის მონღოლთა ხანიო.*
- *თამარის თვალსა დირესა,ჯალალი მოითმინესა.*
- *შოთას ესროლეს ტალახი,სძოვეს ყაენის ბალახი.*
- *კვალი ჭკვიანთა წაშალეს,ასე ამბავი დამალეს.*
- *ასი ათასი მოწამე,ტანი ვით გაზრდის მოწაფეს.*
- *თურმე უფალმა ინება,მივყვეთ მდინარის დინებას.*
- *ვიცოდი წინა მიდიან,ჩატყდა იმხელა ხიდია.*

  *-2-ვერ დავეწიე წინაპარს,მომსდევდეს არვინ მინახავს.*
- *ბაზარსა დიდი რიგია,თურმე ტყუილსა ჰყიდიან.*
- *თურმე მქონია კაბალა,დასწავლა ვინ დამაცალა.*
- *შოთა სიყვარულს მალავდა,ახლა თაობა გაჯავრდა.*
- *კაცისკენ ტალახს ისროდნენ,ახლა პასუხსა ითხოვენ.*
- *შოთა წავიდა,რა გითხრა?აჯობე, ტაში დაგიკრა.*
- *გვყოლია მოძღვართ-მოძღვარი,ახლა მოცვია მოცხარი.*
- *ამდენი სიბრძნე გვქონია,ჯორი აქლემი მგონია.*
- *შოთა გადარჩა ძამია,ვერავის შეუჭამია.*
- *წმინდა მამათა მოძღვარი,მოცვი ერქვა თუ მოცხარი?*
- *მონოს და დიოს რჩევითა,ათას ხუთასი გავიდა.*
- *კაცმა თქვა ვამბობ დიოსა,მერე მონომან მსდიოსა.*
- *ქარაგმას დიო გითხარი,მონოსა მთქმელსა მიჰყევი?.*
- *ზოსიმემ გვითხრა მურვან(ოს), საბუთი რა მოიტანოს?*

*რუსთველმა,ბრძენი დიონ(ის),იბერი ვით მოიყვანოს?*
*მოძღვართ-მოძღვარი ყოფილა,მოწაფე ვინ მოგიყვანოს?*
*ქართველთა ამოსაცნობი,ქარაგმა ვით მოგიტანოს?*

- *სად არის ძველი დიდება,კარგ ფასად გაიყიდება.*
- *ბილიკსა ბევრი ბარდია,კაცნი შორი გზით დადიან,*
- *ველოდებოდი მთვარესა,თურმე ელოდა ღამესა.*
- *რამდენი რამე მქონია,ხარბი ვარ ცოტა მგონია.*
- *ასე პატარა სად არი? ზღაპარს ვუამბო ზღაპარი.*
- *პაპამ თქვა პაპის ამბავი,ვინ ჩაიწერა? სად არი?*
- *ეს კაცი გამიგულისდა,დღეს ვერ ვუთხარი ხვალისა.*
- *ეძებე სიბრძნის ტაძარი,ბევრია ცოტა არ არი.*
- *სახელსა ვერ მორევია,თავადი გამორევია.*
- *რას მერჩი?ჩია რად გინდა?,მტერობა კაცის მერჩივნა.*
- *ქართველი ზის და ტრაბახობს,დედ-მამა უცხო არ მყავსო.*
- *შენი ბებიას ბებია,ადამის მოდგმის წევრია.*
- *კაცმა ბებია შეირთო,მერე თქვა გადამაშენაო.*
- *ფერი ყველასთან ფერია,მხატვრთან ფერნი მღერიან.*
- *თავსა ნელ-ნელა აჩქარდი,ბოლოს ნელ-ნელა დაწყნარდი.*
- *ხელ-პირი დასაბანია,თურმე ბინძური წყალია.*
- *სად ვძებნო,ვისთან იქნება,ქართული რომ მავიწყდება.*
- *დავიპყარ მთელი ქვე ყანა,ბარემ მომეცით ზე ყანა.*
- *ვა-ს ვიტყვი ვაი ჰგონიათ,თახი ვთქვი შარი ჰგონიათ.*
- *მამა გამეხსნა ბოლომდე,ჩემგან არაფერს ელოდე.*
- *ვიცოდი ამას იტყოდი,შენგან უარესს ველოდი.*
- *აქეთ ვთქვი მტერი ჩემია,იქეთ ვთქვი ჩემი მტერია.*
- *დაშავდა, ჩემი ბრალია,ახლა ამისთვის მცალია?*
- *ვეძებე ვერსად ვიპოვე,ქვეყანა გამოვიგლოვე.*
- *დარდს მიემატა დარდია,მიმაქვს, არაფრად მარგია.*
- *სიტყვას მიეცი სმცირე,სითბო მიეცი გულსაო.*
- *სანამ იტყოდე აწონე,მერე ნათქვამი გაზომე.*
- *მთაწმინდას სეტყვა ყოფილა,იმათი ცოდვა ყოფილა.*

*კარი:XVII*

**-1-**

- *ქვეყანას კაცნი მიდიან,ზემოდან კაცთა ჩრდილია.*
- *კაცსა ბეზრდება ქონება,სანამდე დაემონება.*
- *ოფოფმა ძერას უყივლა,მერე არწივთან უჩივლა.*
- *რას დაეთრევი შარასო,მე ვეხეტები რა მარგო?*
- *კარგი ამბავი გითქვია,მოკეთეს ჭორად მისვლია.*
- *მდუმარეს დაუმალია,მოლაყბეს გაუტანია.*
- *ძმასა ჩავაცვი ჯავშანი,ჩემი საფარი სად არი?*
- *წამიხდა ნირი,ხალისი,არ მითხრა,კიდევ რა იცი.*
- *მდინარე მთასა ხელდება,ზღვასა მისვლამდე ბერდება.*
- *გულსა ვინახავ იარებს,ვერავის გავუზიარე.*
- *კაცთან მეწყერი ცვიოდა,მეზობლის ყანას სტკიოდა.*
- *ზვავმა წალეკა ზვარიო,ძმის ყანა კიდევ არიო.*
- *ბნელმა ლოყასა მაკოცა,დამპილწა, ჩამომახოცა.*
- *ბნელსა მიელტვის ხავსია,რას ითხოვ?ბნელის მსგავსია.*
- *სად იყო?მითხარ ვინ არი?,მიპოვა,ახლა წინ არი.*
- *უშენოდ ძილი არა მაქვს,დავწვე,საწოლი არა მაქვს.*
- *ქალსა ბეჭედი,ნიშანი,რა ქვასა ვეცე მითხარი.*
- *ჩემს ქოხმახიდან მიწურსა,ათამდე ელჩი მისულა.*
- *წმინდა წიგნებსა სწერია,ამბობდა ყველა ბერია.*
- *ნეკი მიადგი ნეკსაო,ნუ შეაწუხებ ცერსაო.*
- *სად გაგონილა მითხარი,ყვავმა მომპარა ნიფხავი.*
- *კაცის გამოცვლა ძნელია,საცვალი გამოლევია.*
- *ზანტი ვარ,მიყვარს მთქნარება,დიდი ხე მომეფარება.*
- *თუკი სიკვდილი ზღვარია,ამდენი ტვირთი სად მიაქვთ?*
- *მოთარეშეთა გვარია,თარეშმა სულ გადარია.*
- *მომართვი ზაქი ვიყავი,წამართვი შენი ვინ არი?*
- *მოჯამაგირე კარსაო,ჯამაგირსა მთხოვს ძვალსაო.*
- *მომცა,მომთხოვა მივეცი,ვითხოვე,აღარ მივედი.*
- *მოსამართლესა ამაგსა,სასჯელი დაუმალავსა.*

- *მოენემ აიტეხაო,წინ ენა  წაიტეხაო.*
- *მეწველი ძროხა ტიროდა,ფასი მომკვდარმა იცოდა.*
- *ქურდმა თქვა,მოსაპარია,რამდენი მოუტანია.*
- *მოვიპარე და გამკიცხეს,მოიპარეს და აღრიცხეს.*
- *სამჯერ სამასი ცხრა კაცი,ვერ შევარჩიე ძმაკაცი.*
- *ნეტავი ადრე მეფიქრა,ნაფიქრი გადამეფიქრა.*
- *მონასა უთხრა ბატონმა,დაგჩაგრა მეფის კანონმა.*
- *მოკვდა იმდენი იბრძოლა,სამარე ველარ იპოვა.*
- *სამი ათასი წელია,ოთხიათასსა ელიან.*
- *მოკვდები კაცის ვალია,მოგკლავენ შენი ბრალია.*
- *ნუ ელოდები ჭაღარას,ლოდინმა ჩამოატარა.*
- *უფალი მწყალობელია,ბულბული მგალობელია,*
  *ყვავის ყრანტალი მოგესმის,თუ საქმე გამოგელია.*
- *რას დაეძებდი კვირასა,ისვენებს, ბედსა სძინავსა.*
- *ნეტავ არწივად მაქცია,ჯიხვის კლდე ჩამოაქცია.*
- *ყველა დავხოცე მარტო ვარ,სიკვდილმა დამიმარტოვა.*
- *რას ელოდები შარასა,ბეღელი მიაქვს მპარავსა.*
- *კარი გავაღე მივდივარ,მეგზურად არვის ვუნდივარ.*

**-2-**

- *კარგია კარგი ცხოვრება,თუ მოკვდი,რა გეშველება?*
- *ვიყავი ზაქის ბადალი,აღარ მიჯერებს არავინ.*
- *სვავი და ღორი ჩხუბობდა,ლეში ჯობია ლაფსაო.*
- *რამდენი რამე გავიგე,დავტოვე, ვერა წავიღე.*
- *უფალმა მითხრა მადლია,ცოდვას ხელიდან მაცლიან.*
- *კრავმა პერანგი ჩაიცვა,კარავს სახელი გაითქვა.*
- *მგელი მისულა კარავსა,ძაღლი ბატკანსა მალავსა.*
- *რამდენი რამე მეგონა,რამდენი არ გამეგონა.*
- *ლეში ვიგემე სვავისა,ჩემმა ღირსებამ გამიშვა.*
- *მგელი დავკოდე ისარით,კარავს მოსულა ის არი.*
- *მგელი ვარ ბატკანს დავეძებ,მწყემსი ხარ,კარავს დაეგდე.*
- *ცბიერმა კაცმა მკითხაო,თუ მიმასწავლი მკითხავსო.*

- *ქარი ებრძოდა კლდესაო,ჯიხვი წავიდა ტყესაო.*
- *ჯიხვმა თქვა:კლდისა ქარაფი,ვერ მოიშალა ღალატი.*
- *ძუ ვეფხვი მისწვდა საჯიხვეს,ჯიხვსა ეძებდა საჯიშეს.*
- *მზის მოლოდინი თუ არი,ღამეს რად არქვეს სტუმარი.*
- *ქვეყნად ამდენი წყალია,ეს მიწა მოურწყავია.*
- *ჩემი საფარი ეული,სხვისია გადარეული.*
- *მომიყვა ავი სიზმარი,ჩემთვისა ცხადი ის არი.*
- *მითხრეს ის ქალი მუაო,ველარ ისწავლა ჭკუაო.*
- *თუ საქმე გამოგელია,ქადაგი მოსაწყენია.*
- *კაცისა ღვაწლი დამთავრდა,კლდესა სიკვდილსა ხატავდა.*
- *ვიღვაწე,არ ვარ ჯაბანი,ვის ჩავაბარო ჭაპანი?.*
- *ხარსა ჭაპანი მიმქონდა,მკვდარსა ჯაბანი მიხმობდა.*
- *გამოერია კაციო.მოდგმას მიეცა ფასიო.*
- *მდინარეს პაპის ხიდია,მოდგმანი წილსა ჰყიდიან.*
- *მთასა მდინარე ადიდდა,ჭაობი ნახა,გაგიჟდა.*
- *რამდენი რამე უთქვიათ,რამდენსა კიდევ იტყვიან,*
  *უვიცნი გზასა მიდიან,ყველაზე მეტი იციან.*
- *უტვინო მიდის ზვარსაო,ყურსა არ უგდებს ქარსაო.*
- *რბოდა, გაჩერდა ტაიჭი,ვირსა უთქვია გაიწი.*
- *ბედის ბორბალი ბრუნავსო,წავა მწყინს,მოვა მთრგუნავსო.*
- *სად ვიყავ,სად არ მივედი?,სად არ ვარ,სად არ მოვედი?*
- *ბებერმა ქალმა გამკიცხა,ბებერმა კაცმა დამწიხლა.*
- *კაცმა იმდენი იშოვა,ეშმაკმა გამოიგლოვა.*
- *თავი და ბოლო გითქვია,შუაში გამოგიცდია.*
- *არ მოველოდი ამასო,მიწა მიბრუნებს ამაგსო.*
- *ზევით ავხედე ზეცასა,როცა დავეცი მიწასა.*
- *ვინ შემხვდა, კაცი უცხოა?,დავკარგე,თურმე ურგოა.*
- *მეზობლად კაცის სახლია,კაცი არ დამინახია.*
- *მოსამართლე ვარ გულითა,სამართალს მოგცემ ფულითა.*
- *სიტყვა და საქმე ამებნა,დაცემულს მეტი რა მექნა?*
- *ქართველთა მორკინალია,მონღოლთა მარგინალია.*

*კარი:XVIII*

**-1-**

- *ენასა ძვალი არ აქვსო,დამკოდა,მირტყამს დანასო.*
- *მთავარი კაცსა ჰგონია,მთავარს არ გაუგონია.*
- *კაცმა მიზანი დასახა,საით წავიდე,რა გზასა?*
- *ავაგე დიდი სახლია,მარტო ვარ,არვინ მახლია.*
- *საიდან მოვა,სად წავა,რას მიდიოდა,თუ მოვა?*
- *ძველი კაცისა თქმულია,ნათქვამი დაკარგულია.*
- *მეგონა რამე ვისწავლე,ისა ვარ,ფერი ვიცვალე.*
- *პატარა კაცსა მიყვარდა,გაზრდილა,გადამიგვარდა.*
- *პატარა კაცსა მეგონა,დიდი წიფელა ეტყოდა.*
- *ახოს წიფელას ვუთხარი,არ განძრეულა,იქ არი.*
- *არ მომარგებდა,შორია,იმ წიფელასა ცოდნია.*
- *პატარა გული მიცემდა,პატარას ვინ მომისმენდა?*
- *კაცი გამრიყა სოფელმა,არ ვარგიხარო მშობელმა.*
- *ერთი სიცოცხლე მერგება,სუყველას ვერ მოერგება.*
- *მოძღვართ-მოძღვარი ყოფილა,მიშველა დედიშობილას.*
- *პატარას დევი მიწოდეს,მე მივუტევე იცოდეს.*
- *თავსა ინდომეს ვაცია,გაწყდა სოფელსა კაცია.*
- *იმ სოფლის მადლი მითხარი,თუ ჩაქოლვაა მიზანი.*
- *სოფლისა ფასი რითია?დაკარგა გზა და ხიდია.*
- *ამ სოფელს მეფის ცოლია,დღეს კაცი არა ჰყოლია.*
- *დაუკარგიათ სახელი,ვაცია თავსა,რას ელი?*
- *სოფელსა ეზღო ვაცითა,ფასი გაიღო კაცითა.*
- *მსმენელმა მოისმინოსა,უღირსმა მოითმინოსა.*
- *სოფელსა,ვაცის გონება,მეწყერსა დაემონება.*
- *იმ სოფელს ისევ ბინდია,ისევ იმ გზითა მიდიან.*
- *იმ სოფელს ისევ ვაცია,მგონი იმათი ხატია.*
- *იმ ვაცსა რომ შეჰხარიან,მგონი წარმართნი არიან.*
- *კაცი სამყაროს ზომავდა,სამარხსა არვინ ქომაგად.*
- *რასა იტყოდა იოანე,ენახა კაცის სავანე?*

- *ოდესღაც იყო კაცია,ვაცმა სადგომად აქცია,*
- *თურმე ჰქონია მამული,თავისთვის გადამალული.*
- *თურმე ეგონა ვაცსაო,სადგომსა ჩეკდა კაცსაო.*
- *სადგომსა გამოჩეკილა,კაცი ყოფილა წიწილა.*
- *ამათ სათქმელსა ვინ ეტყვის,ვისა აქვს ყური,ვის ესმის?*
- *უფალმა მომიტევოსა,სიტყვა ვისროლე მდელოსა.*
- *წმინდანთა ნატერფალია,დაბლა ზი,მაღლა ალია.*
- *რას იფიქრებდა ხარია,იქეთ კი,აქეთ მარია.*
- *სოფელს ვერ გაუხარია,არია ზაქის ხარია.*
- *ზარი ვერ ვპოვე დავრეკო,ლამის შევირყა,გავრეკო.*
- *მიწასა დიდი მადლია,ტალახს ერევა ხალხია.*
- *უფალი მწყალობელია,მოსულა, წარმავალია.*
- *ამ ხალხისაგან რას ელი?ხარსა არჩიეს საბზელი.*
- *ტაძრის გზას იყო ხიდია,ახლა უკუღმა მიდიან.*
- *მტერი იხილავს,ხარხარებს,მიწა ირყევა, ზანზარებს.*
- *თურმე ტაძარი შობილა,ახლა ეშმაკის ყოფილა.*
- *სამი გზა სამი ტაძარი,ერთი ვერ ვპოვე,სად არი?*

**-2-**

- *რა ვქნა,ამომხდა ჩივილი,მომესმა მიწის ყივილი.*
- *ნისლი ფიქრია უთქვია,რა ფიქრი?ვნახე ნისლია.*
- *მთის თავსა ბინდი,თალხია,ერგო, ითხოვდა ხალხია.*
- *თამარმა თქვა:მეგონა შამქორს ვერავინ დაივიწყებსო, ახლა ვნატრობ ვინმემ გაიხსენოსო.*
- *მოძღვარმა მკითხა ამბავი,დამაწყებინა კანკალი.*
- *დავითის დადგენილია,თამარის დაწერილია.*
- *მეგონა დევი ვიყავი,თურმე ჩამაძრეს ნიფხავი.*
- *შინა ზის კაცი გმირია,ეზოსა გავა რწყილია.*
- *შიში კაცისა მდევია,უშიშრად დადის დევია.*
- *მოსანათლია მორწმუნე,მოვნათლავ თუ დავარწმუნე.*
- *სანამ დადიხარ ცოცხალი,ცოცხალი კაცი იყავი.*
- *ცასა მისვლია ამბავი,მთასა აკლია ნიშანი.*

- *მოვისმენ ასე მგონია,მომისმენს მოსაწყენია.*
- *მორკინალი ვარ მძლევია,ბრძოლამდე ვერ მომერია.*
- *სიკეთის ახსნა ძნელია,ცბიერს სისუსტე ჰგონია.*
- *ჩემამდე ასე ყოფილა,კაცი შიშველი შობილა.*
- *ნიჭი დავთესე ყანასა,უნიჭო ქელავს ბალახსა.*
- *მოვინადირე გულია,დაკოდილს მოკლავს წყლულია.*
- *ნებიერა ვარ ჟამისა,მორთული შესაბამისად.*
- *დავაგვიანე,დამასწრეს,მივსდიე მაინც გამასწრეს.*
- *ჩინი ჰქონია პაპასა,უჩინოს მოუპარავსა.*
- *დილამდე ხმალსა ლესავენ.დილასა სიკვდილს თესავენ.*
- *კაცისა მოკვლა მინდება,პასუხი გამიჭირდება.*
- *შიშსა დიდი აქვს თვალია,დღეს-ღამე გამოჰპარვია.*
- *რას დავეტაკო მითხარი,კედელია და ჭიშკარი.*
- *ძმათა საკეპი ომია,საბაბი მოუგონიათ.*
- *მივწერე,ვეღარ მივედი,მომწერა,მოკლა იმედი.*
- *ბედის საძებრად ვიარე,სხვის ბედსა გადავეყარე.*
- *ბედსა ვეძებ თქო,ვუთხარი,სხვისი ვიპოვე მუხთალი.*
- *ვიპოვე,ბევრი ვიქურდე,დავკარგე, არა შეგშურდეს.*
- *ვერ დავეწიე მცნებასა, "თურმე უფალსა ნებავსა".*
- *რამდენი რამე მტკენია,არვისთან გამიმხელია.*
- *მიჭირდა,მიველ ჩემია,ვუთხარი,თურმე მტერია.*
- *დამჩაგრეს,კაცსა ვუთხარი,წაიღო ბოლო ნიფხავი.*
- *თუ მეგობარი ჩემია,მტერობა რად დასჩემია.*
- *მეგობარს ვარჩევ ფრთხილადა,ნარჩევმა რად მიღალატა?*
- *კაცი კაცისა იმედი,დავკარგე როცა მივედი.*
- *ლექსი,იგავი შენია,სათქმელი გითქვამს ჩემია.*
- *მთაწმინდა პანთეონია,წმინდა მთის მოსაგონია.*
- *წმინდა მთას წმინდა მდგმურია,წამოწვა უწმინდურია.*
- *გრიგოლ ხანძთელის მთა წმინდა,წაშალა დრომა,გაწმინდა.*
- *მეგონა ქველთან მივიდა,ანგარიშსა სთხოვს დილიდან.*

*კარი:XIX*

**-1-**

- *გამაცნეს კაცი ქველია,ქველობა დაუჭერია.*
- *ქველი კაცი ვარ,რას მერჩი,ჩიტსა მივეცი საკენკი.*
- *ღმერთო შეუნდე, ქალია,ეშმაკთან წილნაყარია.*
- *რა ვქნა,რა ჩემი ბრალია,სასჯელად მერგო ქალია.*
- *ქალმა შვიდასი წლის მდუმარე ადამი შეაცდინაო.*
- *ქალი მაკლია,დავეძებ,ვიპოვე სადღა გავექცე?.*
- *გაძვირდა ძვირის ფასია,იაფისა ფასი ასწია.*
- *დავითმა უთხრა და-ვითას,შენთან მოვალო კა-ვითა.*
- *გზარი ჰქონია კედელსა,გული სტკენია ბეღელსა.*
- *ზაქისა მონაგარია,ქარისა მონაპარია.*
- *სოფელმა სოფელს გასძახა,ახლოს მოიწი,შორსა ხარ.*
- *ბნელი სიბნელეს ებრძოდა,სინათლის წყევლა ესმოდა.*
- *კაცმა მოიგო თამაში,გადაიხადა ამაში.*
- *ბნელა,სიბნელე მაწუხებს,თანდათან ზრდიან მარწუხებს.*
- *ბნელსა მოსვლია ნათელი,გაუგონია სახელი.*
- *ღატაკმა უთხრა ღატაკსა,შენ რაღა ჭირი გეტაკა.*
- *ღატაკმა განძი იპოვა,განძმა ღატაკი იგლოვა.*
- *ძმებმა თქვეს ძმებად დავრჩითო,უქონელთ რაღა გაგვყრისო.*
- *ბნელსა ყოფილა ტეტია,ხარჯი ვერ გაუმეტია.*
- *პირველი ხარი ისა არი,ქერობა ჰქონდეს მიზანი.*
- *სამი თაობა ვიხილე,მეოთხეს ვეღარ ვიტირებ.*
- *მძინარე ლომი დამარქვეს,გაღვიძებული ვერ მნახეს.*
- *ტბელმა თქვა თამარს ვიცავდი,ერთგული კუბოს ფიცრამდი.*
- *ტბელისა ენა ქარაგმა,ვერა გაიგო ქალაქმა.*
- *მონაწილე ვარ ბრძოლისა.დამარცხებულთა შორისა.*
- *ბრძენმა თქვა კაცი მომგვარეთ,თქვენს მომავალსა ვახარებ.*
- *დამოკლეს ხმალი კიდია,ვერავის გაუყიდია.*
- *ბნელს მიეჩვია ბნელია,ძილმა დარია ხელია.*
- *ვებრძოდი ბნელთა ჯარებსა,დავმარცხდი, გაიხარესა.*

- *ბნელი კაცისა მადლია,ცოდვა მივიდა, დასძლია.*
- *მოსაკითხია ამბავი,სიბნელის ზღვარი სად არი.*
- *შექმნა ქართული ანბანი,ვერ მოიტანა ამბავი.*
- *ანბანის ქება უთქვია,ქართველთა ვერ გაუგიათ.*
- *ანბანსა ჰქმნიდა გონია,კაცი არ მოგვიგონია.*
- *დაბადებულა ლაჩარი,აურჩევია ჩანჩალი.*
- *მოძღვარსა წიგნი მიჰქონდა,ჩვენი იმედი არ ჰქონდა.*
- *სოვდაგარისა ქარავანს,სიგრძე და განი არა აქვს.*
- *კოშმარმა მოყვა კოშმარი,ღმერთმა დაგვიცვა,შორს არი.*
- *ძალიან მძიმე ჯვარია,დაბერდა ზაქის ხარია.*
- *თავი და ბოლო ერთია,შუას აჯამებს ღმერთია.*
- *თურმე წავიდა, დასრულდა,დამტოვეს,ვრჩები წარსულთან.*
- *ჭოტი უღრანსა ეჩვევა,სიბნელის კვალი ემჩნევა.*
- *თურმე იტირეს ქალებმა,ლაჩარი დაიბადება.*
- *ბეკეკა კიბეს ავიდა,იქ დარჩა,აღარ გავიდა.*
- *სოლომონმა თქვა მგონია,ვერაფრით მომიგონია.*
- *ბარაქა მომცეს უფალმა,ვიარო თავისუფალმა.*

**-2-**

- *დამძინებია დაღლილსა,დამიკარგია ამ დღისა.*
- *მოსარწყავია ჭალაო,ბალახი გაიპარაო.*
- *მოსაპირია ცელია,უპიროდ ვერა ვქენია.*
- *დაღამებამდე ვთიბავდი,დილამდე სათიბს ვიცავდი.*
- *მომართვეს თიხის სასმისი,შიგ რა ჩამისხეს არ ვიცი.*
- *მოვთხოვე რქანი ჯიხვისა,ენა დამება,რა მრჯიდა?.*
- *დაბადებიდან ვირჯები,მივხვდი,ამისთვის ვისჯები.*
- *ჩემს წინ გარბოდა კვიცია,ვინცა იპოვა მისია.*
- *მოსალოცია იცოდე,არ ვიცი ხელი ვის გავუწოდე.*
- *მომაკვდავმა თქვა იგავი:მეგონა მართლა ვიყავი.*
- *მოვინანიე,მეგონა,რაც გამყვა არ გამეგონა.*
- *მოძულდა თქმა და პასუხი,ვიტყვი,პასუხსა არ ვუცდი.*
- *საცა ადამის სახლია,ვნახე ქალაქი გახსნილა.*

- *ბევრია ღია ჭრილობა,არავის უნდა ცილობა.*
- *დღენი გარბიან ფრენითა,მიმაქროლებენ ეტლითა.*
- *ძმასა ვუთხარი მამისა,პასუხი აღარ მაღირსა.*
- *ტბელი ყოფილა რუსთველი,ერთსა ვერ ზიდვენ,ორს ელი?.*
- *მესხი ვარ, კაცსა უთქვია,არ ესმათ,ვერ გაუგიათ.*
- *თამარს ვაქებდეთ მინდაო,სიბილწე დაიწმინდაო.*
- *თამარის ქმარი სოსლანი?,ვერ დამალავდა მგოსანი.*
- *მეფისა ქება უთქვია,დიდი დავითი უქია.*
- *თურმე დარჩება ამბავი,ხელია მისი დამცავი.*
- *თუ რამე დამალულია,ნუ იტყვი დაკარგულია.*
- *თუ მდინარესა წყალია,ხიდი დგას,მისი ბრალია.*
- *ნება იბოძა მდინარემ,კალაპოტს ჩამომდინარემ.*
- *საცოდავია დუშმანი,უთქვია აბაზ-თუმანი.*
- *თუ მტერი ვერ მომერია,სიბილწე გამომერია.*
- *შავი დავარქვი მტერსაო,დამაყრის შავსა დღესაო.*
- *ვერ მოვუარე ენასა,ვიძუნწე კბილთა რჩენასა.*
- *ბოსტანი ოხრად ჰქონია,ზვარი თავისი ჰგონია.*
- *რა იქნებოდა, შემეძლოს,დასაწყისს ბოლო ეწეროს?.*
- *მოვინადირე ჭიუხი,ძუნწობით არა სიუხვით.*
- *რა მინატრია პატარას,სოფელი შემომატარა.*
- *დამაძაბუნა ღირსებამ,ღირსება თუ მეღირსება?*
- *მომდურავი ვარ ბედისა,სამდურავი ვარ ქვეყნისა.*
- *დაბადებიდან გზაში ვარ,რა ვქენი?,რატომ დავდივარ?.*
- *სადაც მივედი უცხო ვარ,წავედი თურმე ურგო ვარ.*
- *ნათესავი მყავს ურიცხვი,მეტყველია და ნუ იტყვი.*
- *ნათესავებმა გამკიცხეს,რა დავუშავე არ მითხრეს.*
- *ვერ მოვუსმინე მოლასა,ძველი ბუხარი ბოლავსა.*
- *მოსულა,მიწა რგებია,ჩემი ხმა მონატრებია.*
- *საგონებელსა ჩამაგდეს,მიმიპატიჟეს,გამაგდეს.*

*კარი:XX*

**-1-**

- *დამილოცნია კაკალი,კაცია თანაც მაღალი.*
- *თხილი ყოფილა ბერძნული,სხვისი დაირქვა,ვემდური.*
- *კინაღამ დავუძლევივარ,გუგულსა ავურჩევივარ.*
- *მერცხალი აგებს ბუდესა,ნეტა ვინ დაიბუდებსა.*
- *ანგარიშებსა ვიბარებ,იწვიმებს,გამოიდარებს.*
- *ღრუბელი მზესა ფარავდა,ეგონა მოიპარავდა.*
- *ვერ შეახვედრეს მთვარესა,უნახავს შეაყვარესა.*
- *სიბნელემ რომ შემაშინა,სინათლემ ხომ შემარცხვინა.*
- *საძირკველს დიდი ქვებია,თურმე ხარისა მხრებია.*
- *დასაძინებლად მივედი,დავწექი,სხვაგან წავედი.*
- *მოკლეა კაცის სიზმარი,კაცის სიცოცხლე ის არი.*
- *სამძივარისა ქალისა,საზომი დარდის,ბრალისა.*
- *და გაურიგდა დასაო,მომანატრებენ მჭადსაო.*
- *წარჩინებული გვარისა,რა ჩინმა გაახალისა?.*
- *ჩემი ქვეყანა წრიალებს,თრიაქის სუნი ტრიალებს.*
- *მეტყველი რომ ხარ იციან,ჩასაფრებულან,გიცდიან.*
- *დროზე რომ ეთქვა მეტყველსა,დაიფარავდა რეგვენსა.*
- *ლექსი დავთესე ყანასა,რეგვენი ეძებს,ბარავსა.*
- *დიდი მგოსანი ფარავსა,რეგვენი მოიპარავსა.*
- *ჩემია,შენთვის მითქვია,აქამდე ვერ შეგიტყვია.*
- *გადავსებულა ბალღამი,თურმე მიუშვი ლაგამი.*
- *უღირსთ აქლემთა ჯარია,ღირსება ვირის მგზავრია.*
- *სკასა ფუტკარი მოსვლია,ბაღდადს ხალიფას ცოდნია.*
- *ეძებე სულის ცხონება,სამყარო დაემონება.*
- *ეკედრე,რწმენა,გონება,ვერავინ დაეტოლება.*
- *მოძღვართა ძველი წესია,სიკეთე დაუთესია.*
- *დაუყივლია ძერასა,აუტანია წერასა.*
- *ზაქისა ფური გარბოდა,პატრონმა ზაქი დაკოდა.*
- *მძევალი გავხდი შიშისა,გარეთ გამოსვლას მიშლიდა.*

- ნესვი გაგორდა მინდორსა,ბრძოლის ნიშანი იყოსა.
- ნეხვისა ახლოს ვიყავი,თავსა ღობითა ვიცავდი.
- ნაკლი,ნაკლები,ნაკელი,გამრავლებულა სახელი.
- ნება იბოძა ქართველმა,მტერი მოსული დაწყევლა.
- თამადა ვიყავ სუფრასა,ველარ ვახერხებ სუნთქვასა.
- ვიცოდი კაცი ბერდება,ფეხის ბილიკი გრძელდება.
- მოსმენა დროზე მესწავლა,უვიცსა ცოტა მეწვალა.
- სასუფეველსა ცასაო,ადგილი დაემატაო.
- ვერ დავიცავი მცნებანი,ვერ დავიოკე ვნებანი.
- მეომრად აღარ ვარგივარ,ვითომ საომრად დავდივარ.
- ძვალი და ხორცი მტკიოდა,სული ცხონებას ჩიოდა.
- მარტო ვარ,ბედის ამარა,ბედი მიმათრევს თაკარას.
- სოლომონ ბრძენსა უთქვია,დამალეს,ვერ შემიტყვია.
- სადაც ვიყავი მართალი,ქვა არ დატოვეს მაღალი.
- ბედსა დავარქვი სახელი,შენ მოიხვეჭე, ნუ ელი.
- დამძიმდა სოფლის სამსჯავრო,დღეიდან მონა, ყმა ხარო.
- ზღვა ღელავს,ნაპირს ასკდება,მოსაკითხია რა ხდება.

-2-

- დაისი მირჩევს ჩამოდი,მზე მექაჩება ამოდი.
- კარავსა მივალ,მგელი ვარ,ქარავანს მივსდევ ბნელი ვარ.
- მაცალეთ მანამ ვარგივარ,ტვირთსა მივათრევ,კარგი ვარ.
- თუ არ შემაქებ,მითხარი,სად ავაცილე ისარი.
- თუ ვერ ისროლე ისარი,მიზანთან ახლოს იყავი.
- საგალობელი ბევრია,გალობას ვერ მოერია.
- საგალობელთა მრავლობას,ერთი სჯობია გალობა.
- დიდი ქველობა კაცისა,კაცობა ვერსად გაყიდა.
- გამოვაკელი შაბათი,ველარ ვიგემე შარბათი.
- ძმებმა სათოხი გაიყვეს,კალოსა ჩხუბი დაიწყეს.
- კაენმა მოკლა აბელი,ვერ მოკლა კაცის სახელი.
- ლიხი ყოფილა ზღვარია,დავითსა გაუტანია.
- ცივი,პანთახი ხარის თა,ამდენს არავინ გარისკავს.

- *ღაღადსა სწერდა კაცია,ათას წელს გაუტაცია.*
- *წმინდა ანდრიას ხელია,თაკარას დაუხევია.*
- *მე მოვიდოდი ფარავნის ტბითა,გამოვიარე პანთახის გზითა.*
- *მესხთა ტაძარი უგიათ,მცხეთასა ვერ გაუგიათ.*
- *ნეტავი ის გზა მაჩვენა,კაცსა კმაროდეს სარჩენად.*
- *დასვენება და ძილია,ხარისთვის დადგენილია.*
- *თავი და ტანი კაცისა,სულია ანდამატისა.*
- *იცოდი ?-მონაწილე ხარ,იცავდი?-დამნაშავე ხარ.*
- *თაბორის მთასა სერია,პაპის ზაქს დაუსერია.*
- *სურვილი,ვნება ნელდება,მიხვდები კაცი ბერდება.*
- *ყმაწვილი კაცი მღეროდა,სიბერე კართან ელოდა.*
- *კაცი სიბნელის მძლევია,დიდ მადას თუ მოერია.*
- *ქორმა ქათამი წაიღო,მდინარეს თევზმა გაიგო.*
- *მომართვი თასი ღვინისა,მოგცემ გასაღებს ბინისა.*
- *ნელდება ცეცხლის ალია,გადაიხარა ნალია.*
- *ლესმა თქვა:დაბლა დამტოვეს,ზე ასვლა არ დამაცალეს.*
- *ფარდასა ავხდი უთქვია,მისულა,გადაუთქვია.*
- *გამოცდილ კაცთან იარე,გამოცდას ნუ ჩაიბარებ.*
- *გამოცდა განსაცდელია,დაძლევა გასავლელია.*
- *მოსემ თქვა: გამოვატარე,სიბნელე გამოვაცალე.*
- *ამდენი გზა და ხიდია,ესენი წყალსა მიდიან.*
- *თუ მომანატრე სიკეთე,ბოროტსა ნუ გაიმეტებ.*
- *შენი საქმენი ბევრია,გახსოვდეს კართან გელიან.*
- *ბედმა მორჩილი დამარქვა.არ კმარა?,მეტი რაღა ვქნა?*
- *სამარის ქვასა სწერია,სიკვდილმა მოკლა მტერია.*
- *ქვეყნად იმდენი შტერია,სამყარო დასაჭერია.*
- *ერთად გვარგუნა სამყარო,მირჩიეთ ვით გავეყარო.*
- *მეფეთა ხვედრი ძნელია,ნებითა ვერ შელევია.*
- *რა გითხრა,რით გაგახარო,გალეშილია სამყარო.*

*კარი:XXI*

**-1-**

- *ასი პირველსა ამბობდა,ასივეს ბოლო დაგმობდა.*
- *ასი ეძებდა საწილეს,ერთი ვერ გაინაწილეს.*
- *თავისად დაიგულესა,გასწირეს,მოიძულესა.*
- *რა ბრალი ჰქონდა ძირულას,ჩაძირულ-ჩამოკიდულა.*
- *ხევების გზებმა დამხარა,ზეგანმა ვერ გამახარა.*
- *მტვრიანი წვიმა მიტევდა,ფეხი ტალახსა იწევდა.*
- *კარგმა თქვა: დავიკარგები,ცუდმა თქვა:გავიბლანდები.*
- *მორთულა მთა და ბარიო,მოსულა სითბო,წყალიო.*
- *დედისა ძუძუმ მაწყინა,დავეცი,გადამარჩინა.*
- *ჩვენმა მტერებმა წაიღეს,დაკარგეს ვერა გაიგეს.*
- *ზანთა მოდგმისა ზანია,წყაროსა ავაზანია.*
- *შენთან მოვედი სათქმელად,ქარი ვაქციე ქართველად.*
- *დღვანი,ბესლეთი,მარეთი,დავარქვი სამდუმარეთი.*
- *საგანძური აქვს ძაღლსაო,თვალი გაურბის ძვალსაო.*
- *თუ მტერი შემოგეჩვია,გაგაგდებს, მისი წესია.*
- *დამოკლეს თავსა მახვილი,მოკლე ყოფილა მანძილი.*
- *არ დაიშალო,იღვაწე,საღვაწსა მაინც მიაღწევ.*
- *საიდან მოველ სადამდე,მივდივარ გადაკარგვამდე.*
- *თუ მოიკელი სინათლე,უნდა მოიკლო სიმართლე.*
- *თუ შენი გვარი შტერია,იცოდე შენი მტერია.*
- *ორმოს ჩავარდა ტეტია,ჯოხი ჩაუგდე წესია.*
- *თუ გამოაჩენ იარებს,ელოდე, დაგაზიანებს.*
- *შიშმა შიმშილი დასძლია,ვერ მოუვლია,გასცლია.*
- *პატარა ზვარი მარჩენდა,პატარას ვინ შემარჩენდა.*
- *პატარა საქმე მომეცა,მადა მივეცი ღორებსა.*
- *დიდსა დავუთმე პატარა,მოვიდა არა მაკმარა.*
- *კაცმა დევები დასძლია,კაცუნამ გვერდზე გასწია.*
- *კაცსა სახელი ადიდებს,პატარას შურს განადიდებს.*
- *ვიღვწი ათასი წელია,ისევ ტალახის ფერია.*

- *ნიჭსა დაუხშეს კარები,უნიჭოდ გავიპარები.*
- *ძმებო გიამბეთ,იცოდეთ,მოიხმართ,გამოგიწოდებთ.*
- *ბედი გაწვრთნილა ამაში,,არ წაუგია თამაში.*
- *ახალ-ახალი სენია,მიზეზი დასადგენია.*
- *მიდის,რთულდება ცხოვრება,მრუდე გზა არა სწორდება.*
- *ქვა და ტალახი ძმებია,ორივე მომენტს ელიან.*
- *კლდესა ქარი და ბუქია,მძინარეს ვერ გაუგია.*
- *ცა დედამიწას შეჰხარის,მე რა მივნია მითხარით.*
- *ყორეს ნაგავი აყრია,დიდება დასამარხია.*
- *ქვეყანა ნაგვით გაივსო,თურმე პატრონმა წაიღო.*
- *დაიგვიანეს კაცებმა,ანაგვიანეს ბატებმა.*
- *პრობლემის დიდი ნაკლია,გამოსავალი აკლია,*
- *ქარმა მომართვა ძღვენია,მეზობლად შეუძენია.*
- *ვკინძე და ვკინძე იარა,დაღრმავდა,არ გამიარა.*
- *რომ შემძლებოდა დავძლევდი,რაც მქონდა იმას ვაძლევდი.*
- *მომეძალება ბალღამი,როცა მომიჭერს ლაგამი.*
- *მივეძალები ღვინოსა,ბალღამმა მოითმინოსა.*

**-2-**

- *უშნო ვარ შეუხედავი,მოზვერი გაუხედნავი.*
- *შენი ლექსები ძამია,ჩემს ვირსა შეუჭამია.*
- *ლექსი მიეცი მკითხავსა,რად აწვალებდი რითმასა.*
- *ვერ დავეწაფე წყაროსა,ლექსი ვით დამეხმაროსა?*
- *რაც მოვისმინე,გითხარი,მოძღვრად გამეცნო მკითხავი.*
- *მოკლედ ნათქვამი კარგია,სიტყვა სათქმელის ბარგია.*
- *მასწავლეს,სიტყვა გაკრიჭე,გავპარსე,ვერა გაიგეს.*
- *შენი ნაკლია,მითხარი,ჩემი ნაკლია,გითხარი.*
- *თუ გაიკითხავ,გეტყვიან,შენგან არაფერს ელიან.*
- *ქალაქს დავაგდე სახელი,დავარდა,არ აქვს საშველი.*
- *ქალაქი ფულით მზომავდა,მთასა სიმაღლეს წონავდა.*
- *მოძულემ ბევრი ეძება,სამტეროდ დაეხეტება.*
- *ჩემი აქლემი ჯორია,გამოთქმა არასწორია,*

*ვირი აქლემად მონათლეს,სასამართლოსა ომია.*

- *პოეტსა რითმა ჰქონია,სიტყვა არ გამიგონია.*
- *რა წიგნი დაგიწერია?,სათქმელი არაფერია.*
- *წიგნი დავწერე,ვიწვალე,წიგნის დაწერა ვისწავლე.*
- *მწერალი არქვეს,ყაყანებს,ზვარი აქცია საყანედ.*
- *ბატის ფრთა კარგი მგონია,თურმე არავის ჰქონია.*
- *წერენ და ხოტბას უძღვნიან,აგდებენ,არ გაუსვრია.*
- *არა მგონია მართალი,ვირმა თქვა კაცის ამბავი.*
- *ბატმა არწივი გაზომა,იხვი ჰყოლია საზომად.*
- *არაფერი მაქვს სათქმელი,შეუტანიათ სარჩელი.*
- *ყველა თავს თითო ზარია,ყველა ზარს თითო ბზარია.*
- *მაჩვი ეგონა მელიას,მაჩვების დედოფალია.*
- *საღორეთს ტახი კაცია,,საღორეს ნეზვი ქალია.*
- *დაფასდა კაცის ამაგი,მოდგმამ აიღო ათმაგი.*
- *კალამსა ვებრძვით ყველანი,გამოცლილია მელანი.*
- *ჭრიჭინას ჭირი ჰქონია,სამკალი მოუგონიათ.*
- *წაწყდა,წაბილწეს სამყარო,სუფთა ხარ,არ მომეკარო.*
- *თუ მოხველ შვება მითხარო,თუ არა, აბა ვინ ხარო?.*
- *ვიზრდები ტვირთი მეზრდება,მგონი იზრდება სამყარო.*
- *უფლისა ნება დიდია,ყველა მდინარეს ხიდია.*
- *უფლისა ძღვენი მომეცა.მითხრეს მადლიერს მელოცა.*
- *გებოძა მოგეკითხება,არავის დაეკითხება.*
- *კაცსა ბუნებამ ასწავლა,ფუფუნებასა გაცვალა.*
- *მდინარეს უფლის ხიდია,უფლის გზას თავქვე მიდიან.*
- *ენა ამბავსა ყვებოდა,გული არ ემოწმებოდა.*
- *ცოდვით გაივსო ხევია,მთა უკან დასახევია.*
- *ხევსა ამბავი მარხია,ბრმასა ვერ დაუნახია.*
- *თუ მოგეცემა იცოდე,უფალი გამოგიწოდებს.*
- *ვდგავარ ამდენი ხანია,რაც ვნახე,დასანანია.*
- *მომავლის მქონდა იმედი,წამოსაღებად მივედი.*

*კარი:XXII*

**-1-**

- *დამბლა დაეცა რწმენასა,უფალს ვთხოვ განკურნებასა.*
- *შენი სასახლის სიმცირე,ქვაბს მიდი,მწირთან იხილე.*
- *ნებასა რწმენა აცოცხლებს,ურწმუნოს ძალა აოკებს.*
- *გზას ვნახე ბევრი მოჰქონდა,მიბრუნებულა,მიჰქონდა.*
- *თურმე იმდენი ვიშოვე,უფლის გზა არ დავიტოვე.*
- *ვიმკე,ვიხვეჭე,ჩემია,სხვისია განაჩენია.*
- *გონი გაქვს,ძარცვა ისწავლე,ზვარსა თუ მიხვალ,იწვალებ.*
- *ვიყიდე ნება ძარცვისა,ვყიდი კანონსა დასჯისა.*
- *ჩემამდე გაუძარცვია,მისი ოხერი მაცვია.*
- *ავიკიდებდი სამრეკლოს,ღონე რომ მქონდეს,შემეძლოს.*
- *ყველგან სამრეკლო რომ იყოს,იქნება კარი გაიღოს.*
- *ვერაფერს ამბობს ზარია,სათქმელი(ენა) მოუპარიათ.*
- *ენას აგლეჯენ ზარებსა,ხალხი ვით გაიხარებსა.*
- *მზარავსო ველარ ამბობენ,ზარი ჩამოხსნეს,ადნობენ.*
- *ნიანგსა გული არ აქვსო,ნიანგის ცრემლმა დამახრჩო.*
- *ტაძარსა დასდეს ბრალია,ცრუ მღვდელი მოუყვანია.*
- *მაღლა ასულა,მთას არი,ტაძარის დამაქცევარი.*
- *ცრუთა ზარები რეკავენ,მართალთა გამორეკავენ.*
- *სასჯელმა მოკლა იარა,სატანამ გამოიარა.*
- *დაიგვიანა სასჯელმა,დრო დაითვალა დამსჯელმა.*
- *დავლეწე ხრმალი,ფარები,გავიხდი მივებარები.*
- *თურმე თავიდან ყოფილა,წავიდა დედიშობილა.*
- *დაკეტეს ტაძრის კარები,ცოდვასა მივეპარები.*
- *ტაძარი დაუქცევიათ,ბაირაღი აუწევიათ.*
- *თუ მოაკვდინეს მოძღვარი,სოფელს ვით არგებს ტაძარი.*
- *მთვარე ღამეს რომ ანათებს,ვალი აქვს?,ჩვენი რა მართებს.*
- *სოფლად ორი ძმა ვიყავით,ქვეყანა ვერ გავიყავით.*
- *ყველამ დაკეტა კარები,ქვეყანას მე ვეძალები.*
- *ქვეყანას კუჭი აშლია,ფერთა გამაა,მარშია.*

- *დასავლით გამოიდარებს,ამინდი იქ დაიბარეს.*
- *საბედნიეროდ გადარჩა,ტანი გაიხრწნა,რა დარჩა?.*
- *სადაც ამდენი ომია,აბჯარი გასაზომია.*
- *მოსადრეკია სამყარო,არ ვიცი, სად დავიბარო.*
- *დამისხი, დასხმა მადლია,დალევას თუ დამაცლიან.*
- *მომართვი ღვინო დაგლოცავ,თუ მივაღწიე სალოცავს.*
- *ღარიბ-ღატაკებს ესვრიან,თურმე რაინდთა წესია.*
- *დაფნას გადგამენ მაშინვე,თუ თეთრი გამოაჩინე.*
- *ღორები სუფრას უზიან,ყვავის გალობას უცდიან.*
- *ბულბულნი დარსა ელიან,ღორნი საფარსა მღერიან.*
- *რას ელოდებით,რა გინდათ?,საღორეს დადგეს მაგიდა.*
- *ეს ღორი დაღონებულა,არ ყოფნის,გაღორებულა.*
- *სიტყვასა ამბობს ბახუსი,ღორმა ახადა ნამუსი.*
- *ცამეტსა თარსი დარქმია,ათას ცამეტსა რა ჰქვია?.*
- *ქვეყანა დაუქცევია,ხელი არ გაუნძრევია.*
- *ვნახავ მადლსა და სიკეთეს,თუ ციდან გადმოვიხედე.*
- *ჭადარმა დაგმო ჭადარი,ტაძარმა ვერ სცნო ტაძარი.*

**-2-**

- *ღორსა დიდება ჰქონია,საღორე დიდი ჰგონია.*
- *ყვავილს ეძებდა ფუტკარი,გზა მივასწავლე,ვუთხარი.*
- *მგელმა იხილა თაფლია,დაგმო,დასწყევლა დათვია.*
- *ქვეყანა კვიცის თვლაშია,გზასა ვერ ვნახე რაშია.*
- *ანდერძსა ვტოვებ მიდამოს,დამინდეთ,არ დაითვალოთ.*
- *სამასი კაცი მებარა,სუყველა გამომეპარა.*
- *სინათლეს ვერ მოვუარე,სიბნელეს გამოვიარე.*
- *კიდევ იქნება საცილო?,ღრუბელი რომ მოვაცილო.*
- *ცასა სიწმინდე მგონია,თურმე ღრუბელი ჰქონია.*
- *დაკეტილია ურდული,გალიას ტეხავს ბულბული.*
- *სამოთხეს ეძებს მილეთი,გაყიდულია ბილეთი.*
- *ყანასა ღორსა სდევნიან,საღორეს ხაარსა სწყევლიან.*
- *გულმა მიკარნახა:გულს მოუსმინეო(<u>მეფე თამარისა)</u>*

- *მთები მოდრიკა კაცმაო,კაცი მოდრიკა ქალმაო.*
- *ზაქიეთია ზაქისა,სათახვე მამა-პაპისა.*
  *თუ კაცმა პაპა არ იცის,ვინ ეტყვის ფასსა ზაქისა.*
- *კაცმა იღვაწოს მიაღწევს,დაძლევს აღვირსა ბედისა,*
  *ქვეყანა ბედის სამჭედლო,კაცია გამობრძმედისა.*
- *სანამ იქნები იცოდე,დრო ხელსა გამოგიწოდებს.*
- *მორწმუნეს დიდი ქონება,ღმერთო მიეცი გონება.*
- *უგვანომ გვანი იპოვა,ჟ დარჩა,ვერ მოიშორა.*
- *სიწმინდე როგორ დამეცვა,წმინდამ ვისურვე მოხვეჭა.*
- *ნათესავი მყავს,იხვეჭდა,ჩემი ძმა ხელებს იკვნეტდა,*
  *კაცის სიხარბეს კიცხავდა,ჩუმად,შეფარვით უჭვრეტდა.*
- *შენი ნაკლია იცოდე,სხვის განსჯას ვერ მოგიწონებ.*
- *შენი გზა აგირჩევია,თავი ვერ დაგიღწევია.*
- *სამოცი წელი კაცია,ოცი სამოცის ფასია.*
- *ვითა სანთელი ვიწვოდი,ქარავანს ვირსა ვიცნობდი.*
- *პატარა კაცი ჩიოდა,თურმე არ ეცვა,ციოდა.*
- *ცუდი ამბავი დავყარე,შევირთე არ გავეყარე.*
- *დაბინდულია გონება,ბურუსსა დაემონება.*
- *მაწვალა,არ დამაცალა,დამიხშო,რაცა მასწავლა.*
- *ძმანო მოიცათ,გაჩერდით,თქვენი ვარ,კარსა ვაღებდი.*
- *კუს მორიელის რა ესმის,დაკბენის ეშხი,ჰავესი.*
- *კუს მორიელი მიჰყავდა,ჯავშანით თავსა იცავდა.*
- *კაბა და ჩოხა ჩავიცვი,ვნახავ კაცობის რა ვიცი.*
- *მეგონა კაბა მიცავდა,თურმე საომრად მიჰყავდა.*
- *რა ცეცხლი გამოვიარე,რა შემარჩენდა იარებს.*
- *ვერ გამიგია, არ მესმისა, ვერა ვთქვი, ხმა ვერ დავყარე,*
  *ხევსა ტბელისა ხელია, სელიმსა ამოვეფარეთ,*
  *კაცისა ციხე გვიხმობდა, სერ-ყანას გამოვეპარეთ,*
  *ცასა კაშკაშა ვარსკვლავი, ჭრაქსა გულითა ვატარებ.*
  *ყვავი ქადაგად მისულა, რომ გითხრა,ვით გაგახარებ?.*
  *ყვავის ყრანტალი ზღუდეა,სიტყვასა ვერ მიაკარებ,*

*აქეთ და იქით სიწმინდე,შუა ნაგავი დავყარეთ,*
*ქვათა ღაღადი მომესმის,გითხარი,ვერ გაგახარე.*

- *ბნელი სიბნელეს ეტრფოდა,ისმენდა რაცა ესმოდა.*
- *ვერ დაიჯერეს ტბელისა,დარჩათ ქადაგი ბნელისა.*
- *რას ვაგდებ მოდგმის ყოლასა, თუ დაემგვანა ქო-ლასა.*

*ცხენი თავლასა დაბერდეს, ვირთან ნუ მივა რბოლასა,*
*მიწასა საგანძურია, ვერავის ვამჩნევ ქონასა,*
*პატრონის სახლი დავკარგეთ, გავეკიდენით მონასა.*
*დაბას ზოსიმეს ზახილი,სხალთასა ესმის,კანკალებს,*
*კაცი ხევისა პატრონი, ვერაფერს გამოაპარებ,*
*მთაწმინდას მიხმობს ხანძთელი,ზარზმასა ამბავს მაბარებს,*
*ყური მიუგდეთ ზახილსა, მიწა ირყევა,ზანზარებს.*
*ნაპრალი მიწის კვნესაა, ვით შევუხვიო იარა,*
*ანდრია დაბას გაჩერდა.ქალწულმა გამოიარა,*
*წმინდანთა ნატერფალია, სიწმინდე გაგვიზიარა,*
*სათახვე ცოდვამ წაიღო, მეწყერი მიაქვს იარას.*

- *ბოლო მომიღო დარდმაო,კვალი წაიღო ბარდმაო.*
- *ბოდიში მომითხოვია,უდაბნო ვერ მიპოვია.*
- *დაღარულია სამყარო,მარილი არ მიაყარო.*

*კარი:XXIII*

**-1-**

- *ხარმა დატოვა ჭაპანი,შემოვლას ცდილობს ჯაბანი.*
- *ამაყობს დიდაჭარასა,მოლას უყვება ამბავსა.*
- *რაც ვნახე,რომ დავიწუნე,ჯერ სახე ვერ დავიბრუნე.*
- *ჩაძირულია ქალაქი,ვერ მოიშორა ტალახი.*
- *ვერ დავიტირე,ვინ იცის,ამოწურულა ლიმიტი.*
- *პანთახი ზანთა კაცია,ღარისა ჩოხა აცვია.*
- *მისმინე ზედა წმინდაო,ური ვარ ზეგანს მინდაო.*
- *პირველად იყო სიმღერა,ბოლო ვარ, არვინ მიმღერა.*
- *მრავალჟამიერს მღერიან,მარტო ვარ,ვერ მიმღერია.*
- *ვცდილობდი გამორკვევასა,ვეცადე გამოქცევასა.*
- *თურმე ტიროდა ხანძთელი,მე რა მამღერებს,რას ველი?*
- *მიწა ბრუნავსო,ტრიალებსა,რამდენჯერ მომატრიალეს.*
- *თუ დედამიწა ტრიალებს,ვინ გაგაჩერებს?,იარე.*
- *ვერ მოვერიე ფრიალას,ქვეყანა რამ დააბზრიალა?.*
- *გამიწყდა ქანცი,დავეცი,ყვავი დამჩხავის,რას მერჩის?*
- *ნალი ხან კოჭლია,ხან ბედაურიაო.*
- *სომეხი გაქართველდა,მიწამ არ მიიღოო.*
- *თუკი მთის დაძვრა გწყურია,გამოუთხარე ძირია.*
- *კაცი სოფლისთვის იღვწოდა,სოფელი დასჯას ითხოვდა.*
- *ქარმა მიამბო ამბავი,ვის მიუტანა ნაგავი.*
- *თომა მოციქულმა თქვა:მერჩივნა მომეთმინა,თავი წავაგეო.*
- *შახი იყო თუ ყაენი,მოყარა მომთაბარენი.*
- *ზანზალაკები დაკიდეს,ბეხრეკი ძვირად გაყიდეს.*
- *ბაგა ყოფილა კისერი,კისერსა ხალხი მშიერი.*
- *ზაქმა თქვა:მაზის კისერსა,თავი არა აქვს მშიერსა.*
- *უნდოდა ზაქის მოდრეკა,ზაქსა კისერი მოტეხა.*
- *საბანი ისე გაშალო,მე ხელი არ შემიშალო.*
- *ვეძებდი შუქსა მთვარისა,დავეძებ ჭრაქსა ღამისა.*

## 2

- ხიბლია კაცის ბუნება,გონება გაეყინება.
- დამბადებელმა იცოდა,კაცი ცოდვილი მიწოდა.
- ვარამთან დამეძინება,არავინ შამეცილება.
- თუ სამართალი დადგება,ქათამი სუფრას დაჯდება.
- სუყველა რაც კანონია,ქათმისთვის მოუგონიათ.
- მითხარი რა დავაფარო,მინდა შევღებო სამყარო.
- ვერა თქვეს სოფლის კაცებმა,სუყველა დაბარბაცებდა.
- ხმა დაუგდია კაცსაო,დაუჯერია დათვსაო.
- სოფელი თავსა იქებდა,ლოცვას საღამოს იწყებდა.
- სოფელსა ვირი ჰყოლია,ვირსა მომყოლი ჰქონია.
- მთელი სოფელი ღრეობდა,სახედარს ჰქონდა ძეობა.
- გახსნა თოვლისა კვალიო,გადახდილია ვალიო.
- სოფლისა თავი ჩიოდა,ვერ ვნახე სამართალიო,
  თოვლიან გზასა დავდივარ,იშლება ჩემი კვალიო.
- ერთი ღირსება იბოძე,მარაგი გამოიზოგე.
- დაუკლავს ბოლო ქათამი,ჯავრობდა კვერცხი სად არი.
- სოფელს მამალი ჰყოლია,ყივილსა გადაჰყოლია.
- სოფელსა გაუქექია,ძაღლები გაურეკია.
- სამართალს ადგენს მელია,ნაგაზი დასასჯელია.
- სოფელმა იხმო მელია,იტანს სამასი წელია.

## -3

- ერთხელ ირჩევენ მელიას,მერე არჩევანს ელიან.
- თავსა ადგენენ მელიას,ბოლოს სამართალს ელიან.
- სოფელი დასაცლელია,საქათმეს აგებს მელია.
- სოფელმა სახლი დაცალა,დაცლილი გზასა გაცვალა.
- ქვეწარმავალი მიწოდეს,ზეწარმავალმა იცოდეს.
- სოფელმა დაგმო ქვემძრომი,ქვემძრომსა ეძებს ზემძრომი.
- ქვეყანა ქვედა ყოფილა,ზეყანა არ გაყოფილა.
- ქვედა დამარქვა ზედამა,უშნომ და შეუხედავმა.
- ცულმა თქვა ტარს მომაცილებ,ხის ძირსა გამოვიძინებ.

- *ცოდნისა ფასი ძვირია,არაფრის ცოდნა მჭირია.*
- *მგლის თავსა  სახარეგაო,ჩაუდო არ დადგეგაო.*
- *თუ შეხვალ საღორესა,გერქმევა სტუმარი ღორისა.*
- *გრძენმა თქვა:ქვა დგომამ დაამძიმაო.*
- *შეძლებითა  მძლეველსა შეგნებით ძლეული არჩიეო.*
- *კაცმა იწვალა,მოკვდაო,მოამზემ ათჯერ მოკლაო.*
- *ყრუს ზარი არასდროს დარეკავსო.*
- *გრმა სასიძომ საცოლეს კოჭი დაიწუნაო.*
- *ზღვის თავს ქუხილი ისმოდა,უდაბნო სიცხით იწვოდა.*
- *კაცმა თქვა:მამაცი გულადი მეგონა, მამის დრო ყოფილაო.*
- *მამამ თქვა:მეგონა ქალი შევირთე,თურმე ქალს შევურთივარო.*
- *კაცის სიტყვას დედაკაცი იცავდაო.*
- *თურმე ძეს და ქალს ჩაქუჩით არჩევენო.*
- *მეგონა ძვირი მივეცი,თურმე ძვირად მოუციაო.*
- *მეგონა ფასი გავიღე,თურმე ფასი წამიღიაო.*
- *მგონია ძველი გრუნდეგა,ლეღვის ფოთოლი ძვირდეგა.*
- *მოძველდა ქალი,კაცია,სასწორმა ტოლად აქცია.*
- *მიმავალი მეგონა,მომავალი გამოდგაო.*
- *ქათამი ნაცარს ქექავდა,ქალი სიტყვასა კენკავდა.*
- *ბევრად ძველია კაკანი,ვიდრე სახლისა ქათამი.*
- *ქათამმა დათმო კაკანი,კაცმა დაიწყო ქაქანი.*
- *უსაზღვრო ცოდნა სჭირდეგა,გაიგოს არა სცოდნია,*
  *გონეგას მადლი უფლისა,თქვას არაფერი მქონია.*

## ხელი დაბელისა და მისივე მიმდევართა

*იოანე-ზოსიმეს ლიტერატურული ინტერესები მრავალმზრივია.პოეტი-ჰიმნოგრაფი...ჩვენს დრომდე მოღწეულა რამდენიმე ტომი ჰიმნოგრა-ფიული კრებულებისა,გადაწერილი იოანე-ზოსიმეს მიერ.კრებულებში შესულია როგორც ძველი და თანამედროვე ჰიმნები სხვა ავტორებისა (ორიგინალურნი და თარგმნილნი ბერძნულიდან), ისე იოანეს ორი-გინალური პიმნები.ერთ-ერთი ჰიმნოგრაფიული კრებული „იადგარი“ სრულდება იოანეს ანდერძით,რომელიც დაწერილია საერო პოეზიის ტრადიციული მეტრის გავლენით, ოთხმარცვლედი მუხლის დაცვით. ეს გარემოება გვიჩვენებს,რომ იოანესთვის საერო პოეზიის ტრადიციებიც არ ყოფილა უცხო.იოანე ამავე დროს, ჩანს,მუსიკოსიც ყოფილა. სინას მთის ხელნაწერთა კოლექციაში მოიპოვება საგალობელთა ერთი კრებული, გა-დაწერილი იოანეს მიერ, სადაც ჰიმნების ტექსტთან ერთად ნაჩვენებია მათი საგალობელი ხმები,აღნიშნული თავისებური სანოტო ნიშნებით. ჰიმნების მეორე კრებულის „იადგარი“-ს ანდერძში იოანე საგან-გებოდ აღნიშნავს კიდეც, რომ ჰიმნების დანიშნულებაა სიტყვებისა და მუსიკის– „გალობისა ხმეანისა“ შერთვა-„რათა ჩვენცა ვიხარებდეთ–შვე-ნიერად დატკბობილნი ხმათა მათთა სიმრავლითა, გალობითა ბრწყინ-ვალითა...“*

*გარდა იმისა, რომ იოანე პოეტი-ჰიმნოგრაფი ყოფილა,იგი ამავე დროს მეცნიერული „ინტერესებით აღჭურვილი მწერალიცაა.აღსანიშნავია ის წმინდა სამეცნიერო ისტორიულ-ლიტერატურული ინტერესი,რომელსაც იოანე იჩენს ძველ ქართულ მწერლობის ძეგლებისადმი.ასე, ჰიმნების ერთ კრებულში,რომელიც იოანეს დაუმზადებია „მეცნიერისა კაცისათ-ვის“,ჰიმნების თანამედროვე რედაქციასთან ერთად იოანეს მოჰყავს „წუე-ლი“, უკვე ხმარებიდან გამოსული რედაქციები ჰიმნებისა.*

*იოანეს ეკუთვნის ფილოლოგიური ნარკვევი:„უწყებაი და მოსწავებაი დავითის ფსალმუნთათვის,ვითარ პოვნილ არიან, გინა ვითარ შეერ-თებულ, და ვითარ არს განგებაი,და განკარგვაი და განწესებაი მათი“. მასვე ეკუთვნის ნარკვევი ბიბლიის სტრიქომეტრიისა და კანონის შესა-ხებ.ცალკეა აღსანიშნავი იოანე-ზოსიმეს სვინაქსარი (კალენდარი) „კრე-*

*ბაი თთუეთა წელიწლისათაი“.ამ თხზულების შესახებ იოანე წერს: „ესე კრებანი ოთხით დედითა დამიწერიან თავად კანონისაითა,*

*იოანეს მიერ დამუშავებული სვინაქსარ-კალენდარი წარმოადგენს დიდ ისტორიულ-არქეოლო-გიურ ინტერესს. აქ მოცემულია ცნობები პალეს-ტინის ისტორიულ ძეგლთა ტოპოგრაფიის შესახებ.*

*იოანეს კალენდარს უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს.დასასრულ, ...იოანეს ეკუთვნის ახალი რედაქცია ქრონოლოგიური ტრაქტატისა „გამოძიებისათვის ჟამთა და წელთა“.პ.ინგოროყვა,თხზ ულებანი,ტ. IV.*

***თავი ბაკურ დიდისა***

***გურია***-*მთა ურის ხარისა.უდაბნოს ხმაა მწირისა.გადარჩენილა ხმა დიდი ბაკურისა,ფარსმან ქველისა,მეფე ვახტანგისა.*

*წმინდა ანდრია მოსულა ქვეყანასა ქველისასა. შეუპოვარი მეფე იბერთა. მემატიანეს შეუმკია:უძლეველი მეფე იბერთა,შებმია რომსა.წაუღია დასავ ლეთი პართია,მიწა რომის ვასალისა.*

ანისი *პირველი სატახტო ქალაქი ახალი იბერიისა.ხელი რომის მტერისა, კართაგენელი მძვინვარე ლომის,ჰანიბალისა.თავიდან ქალაქის სახელი კარსი ყოფილა.ტახტი დაუდგამს ფარსმან ქველსა.*

ქრისტემდე *კოლხა და ლაზიკა წაუღია რომსა.*

მისულა *ქველი სახლსა პირველი ქრისტიანისა,ზღვარსა რომისა, დიდაჭა რასა.გასულა ზღვარსა დიდი იბერიისა.წაუღია ეგრისი.*

თავიდან *გიურ რქმევია კოლხას მთიანეთსა:სახლი დაბლობის ხარისა.*

გურია *დაურქმევია ზაქსა,ვითა სახლი ხეთთა იბერიელი ხარისა.*

პეტრე *იბერის ქარაგმით (ია) ვითა ახალი იბერია.ძველი იბერია (ირ).*

ზაქის *ქარაგმით :გ-(ურ)-ი(ა).გიხეთთა ხარი,იგივე ზაქი.(ურ) დაბლო-ბი შუამდინარეთისა.ვაკე მდინარისა.*

მცირე *იბერია,ვითა ეგრისი ქველისა.(ულ) დაურქმევია იბერსა.(გურ) იგი ვე (გულ)ი იბერისა.*

გურიანთა *დაურქმევია რუსთველსა.ქარაგმა: მთა რიტორისა  და კაცის სა ხლი დაბლობსა.*

გულიანი *ორი ქარაგმით:სახლი კაცისა და ხარი დაბლობისა (ულ)ისა.*

# *სარჩევი*


| № | დასახელება | გვ. |
|---|---|---|
| | *შესავალი* | 3 |
| 1 | *კარი:I* | 6 |
| 2 | *კარი:II* | 10 |
| 3 | *კარი:III* | 14 |
| 4 | *კარი:IV* | 18 |
| 5 | *კარი:V* | 22 |
| 6 | *კარი:VI* | 26 |
| 7 | *კარი:VII* | 30 |
| 8 | *კარი:VIII* | 33 |
| 9 | *კარი:IX* | 37 |
| 10 | *კარი:X* | 40 |
| 11 | *კარი:XI* | 43 |
| 12 | *კარი:XII* | 48 |
| 13 | *კარი:XIII* | 53 |
| 14 | *კარი:XIV* | 57 |
| 15 | *კარი:XV* | 60 |
| 16 | *კარი:XVI* | 63 |
| 17 | *კარი:XVII* | 66 |
| 18 | *კარი:XVIII* | 69 |
| 19 | *კარი:XIX* | 72 |
| 20 | *კარი:XX* | 75 |
| 21 | *კარი:XXI* | 78 |
| 22 | *კარი:XXII* | 81 |
| 23 | *კარი:XXIII* | 85 |
| 24 | *ხელი დაბელისა და მისივე მიმდევართა* | 88 |
| 25 | *გურია* | 90 |
| | *სარჩევი* | 91 |



მწირის ხმა უდაბნოსა,გადარჩენილა ხმა კაცისა.მოუტანია ზაქსა:

-ძველი ქურუმის ენასა შური ვერ ჰკადრებს წყენასა.

-ზაქის სიტყვას ომოლი ვერ დაერქმევაო.

-დევი ზაქის სიტყვას ვერ მოერევაო.

-ძღვენი შენია მოგართვეს,დაცვა პირისა მოგანდეს.

-ძმას შენი შური ჰქონია,კარგი რომ გაუგონია.

-და-ძმა ქიშპობას ეჩვევა,მათივე სახლსა ემზნევა.

-მოკლეს,სამყარო გაძარცვეს,მკვლელსა მოუნდა გადარჩეს.

-მოკითხვა ზაქის ვალია,მოვა იმღვრევა წყალია.

-ძმებო მომეცით ნიშანი,სოფელს თუ ნახოთ ხშირდანი.

-ბელელი ბელელს ეტრფოდა,დაიცლებოდა ერჩოდა